პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების — და — სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექტ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებანი:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან— 80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმეორებული განცხადება განცხადების ფასისა იაფდება 10%. საქალაქო განცხადება, თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

- — ჟენევაში ჩავიდა საბჭოთა კავშირის დელეგაცია.
- — გაიხსნა პოლონეთ - გერმანია - საბჭოთა სარკინიგზო კონფერენცია.
- — ნორვეგიის კომპარტიის მიმართვა მუშებისადმი.
- — შეტაკება მუშებსა და პოლიციის შორის სალონიკში.
- — ეგვიპტის ახალი მთავრობის შედგენა დაევალა ნაციონალისტური პარტიის ბელადს.
- — დიდი მეწყერი ბრაზილიაში.—დაიღუპა 300 კაცი, დაიჭრა 2.000.
- — ამხ. ვ. პ. მილიუტინი დანიშნულია შრომისა და თავდაცვის საბჭოს წევრად.

ხუთშაბათი, 15 მარტი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 61 (2104)

მსოფლიო პროფმოძრაობის საკითხები

(პროფინტერნის მეოთხე კონგრესისათვის)

დღეს, 15 მარტს, მოსკოვში უნდა გაიხსნა პროფინტერნის მეოთხე კონგრესი. პროფინტერნის მესამე კონგრესის შემდეგ (რომელიც შესდგა 1922 წ.), უდიდესი ცვლილებები მოხდა კაპიტალიზმის ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრებაში და მსოფლიო პროფმოძრაობაში. კაპიტალისტურმა სტაბილიზაციამ, რომელიც მუშათა კლასის ხარჯზე ტარდება, უაღრესად გაამწვავა შრომისა და კაპიტალის ურთიერთობა, კლასობრივი ბრძოლა. ამ ბრძოლაში კაპიტალი, გაერთიანებული მძლავრ ტრესტებში, არა მარტო მთლიანი ფრონტით გამოდის პროლეტარიატის წინააღმდეგ, არამედ ის უფრო მეტად, ვინემ ოდესმე, აშკარად იშველიებს მთელ სახელმწიფო ძალაუფლებას. ამავე დროს რეფორმისტები სულ უფრო მარჯვნივ იხრებიან და პირდაპირ გადადიან კაპიტალისტების მხარეზე. რეფორმისტული ორგანიზაციები ხდებიან კაპიტალისტური სისტემის და ბურჟუაზიულ სახელმწიფოს დამატებად, შემადგენელ ნაწილად; ისინი თავის დანიშნულებას ხედავენ მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობის ჩახშობაში. ამგვარად, მუშათა კლასის წინააღმდეგ გაერთიანებულად გამოდიან: კაპიტალისტები, მათი სახელმწიფო აპარატი და სოციალ-შეთანხმებელნი. (სოციალ-დემოკრატია, რეფორმისტული პროფკავშირები).

აქედან გასაგებია, რომ უკანასკნელ წლებში ჩვენ ვხედავთ მუშათა მასების გამემარცხენების პროცესს, რაც პირველ ყოვლისა გამოხატულებას ჰპოვებს იმაში, რომ მუშათა კლასში ერთი მხრით იზრდება კომუნისტების გავლენა, მეორე მხრით უკმაყოფილება სოციალ-გამცემლებისადმი. კერძოდ პროფესიული ხაზით ჩვენ პროფინტერნის ზრდის მოწმენი ვართ. მას შეუერთდა მთელი ჩინეთის პროფმოძრაობა და მრავალი სხვა ქვეყნების პროფორგანიზაციები. ბევრგან პროფკავშირები ფაქტიურად პროფინტერნის პლატფორმაზე დგანან, მაგრამ ოფიციალურად მაინც ვერ უერთდებიან მას, ვინაიდან ეს გამოიწვევდა მათ განადგურებას ფაშისტური სულისკვეთების მხრით. სულ სხვა სურათს ვხედავთ ჩვენ ამსტერდამის ინტერნაციონალში. სამ-ოთხი წლის განმავლობაში მას დააკლდა სამი მილიონი წევრი, რომ არ ვილაპარაკოთ რეფორმისტულ პროფკავშირების შიგნით არსებულ მძლავრ ოპოზიციონურ მოძრაობაზე და ისეთ წევრთა დიდ რიცხვზე, რომელნიც აქტიურად არ უჭერენ მხარს ამსტერდამელთა პოლიტიკას და მხოლოდ ინერციით თვლიან თავს მათ მიმდევრებად.

პროფინტერნის ეხლანდელმა კონგრესმა უნდა გამოიმუშაოს ღონისძიებანი, რომელნიც დააჩქარებენ რეფორმისტებისაგან მასების ჩამოშორების ამოცანას, კომუნისტურ დროშის ქვეშ მუშათა კლასის მობილიზაციის ამოცანას. ამ მხრივ კომინტერნის აღმასკომის უკანასკნელმა პლენუმმა უკვე მოგვცა გარკვეული მითითებანი.

ერთი უმთავრესი საკითხთაგანია კომუნისტების ტაქტიკა იმ ეკონომიურ კონფლიქტებში, რომელნიც დიდი მასშტაბით და სიმწვავით იშლებიან კაპიტალისტურ ქვეყნებში. რეფორმისტები სისტემატიურ გამცემლობას და შტრეიკბრეხერობას ეწევიან გაფიცვების დროს. ისინი „სამრეწველო მშვიდობიანობის“ ან ბურჟუაზიულ სახელმწიფოს საარბიტრაჟო სისტემის დამცველების როლში გამოდიან. კომუნისტების დანიშნულებას შეადგენს გაფიცვების ხელმძღვანელობა ხელთ იგდონ რეფორმისტ ბელადების ნებისყოფის წინააღმდეგ. დღემდე კი ზოგან ასე იყო, რომ კომპარტიები არ იბრძოდენ ამ ხელმძღვანელობისათვის და ამას ხსნიდენ თავისი სისუსტით. ისინი თავის მოვალეობას ასეთ შემთხვევებში ხედავდენ მხოლოდ იმაში, რომ პროფკავშირები წაექეზებიათ თავის კლასობრივ ამოცანების შესრულებაზე. ასეთი ტაქტიკა საკმარისი არ არის. საჭიროა, სადაც ამისათვის სათანადო განწყობილება არსებობს მასებში, კომუნისტები თვითონ უეჭველად ჩაუდგენ სათავეში მუშათა კლასის ეკონომიურ ბრძოლას.

ამ ნიადაგზე უნდა შეიქნას მუშათა კლასის მთლიანი ფრონტი. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ამ ფრონტის შექმნა შეუძლებელია რეფორმისტულ ორგანიზაციების ზედა წრეების მონაწილეობით და მით უმეტეს დახმარებით. მთლიანი ფრონტი ქვევიდან თვით მასების მიერ, კომპარტიის ხელმძღვანელობით და მოღალატე ბელადებზე გადაბიჯებით— ეს ამოცანა განსაკუთრებით სდგას დღეს, როცა სოციალ-შეთანხმებლები საბოლოოდ გადაბარგდენ კაპიტალისტების ბანაკში.

ამ მიზნით კომუნისტებმა უნდა გააძლიერონ და გააუმჯობესონ თავისი მუშაობა პროფკავშირებში. მუშების ყოველდღიურ მოთხოვნილებათა მედგარი დაცვა და მათი დაკმაყოფილებისათვის ბრძოლის დაკავშირება პროლეტარიატის ფართე პოლიტიკურ და ეკონომიურ ამოცანებთან —ასეთი უნდა იყოს კომუნისტების საქმიანობის შინაარსი. კომუნისტებმა საქმით, „შავი“ მუშაობით უნდა დაუმტკიცონ მასებს, რომ უკეთ შეუძლიათ მათი ინტერესების დაცვა.

რა ორგანიზაციულ ზომებს უნდა მიმართონ კომუნისტებმა პროფკავშირების საშუალებით მასების დასაპყრობად? რა თქმა უნდა, ამ ზომებს ბევრად განსაზღვრავს ადგილობრივი პირობები, მაგრამ მაინც შესაძლებელია ზოგადი ხაზის დასახვა. ყურადღების ცენტრის გადატანა დიდ სამრეწველო რაიონებში, მსხვილ ფაბრიკა-ქარხნებში, საკავშირო მუშაობაში ამა თუ იმ წარმოების მუშათა რაც შეიძლება მეტი რიცხვის ჩაბმა, უმუშევართა ორგანიზაცია და ქალების, აგრეთვე მუშათა ახალგაზრდობის მიზიდვა პროფკავშირებში, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების დაუფლება და მათი დაარსება იქ, სადაც ასეთები არ არის, ბრძოლა პროფკავშირული ბიუროკრატიის წინააღმდეგ, პროფორგანოების დაახლოება მასებთან ფართე დემოკრატიის საფუძველზე და მრავალი სხვა,—აი, საითკენ უნდა იყოს მიმართული კომუნისტების მუშაობა.

თავის თავად ცხადია, რომ რეფორმისტები კომუნისტების მთელ ამ რევოლიუციონურ მუშაობას სასტიკად ეწინააღმდეგებიან და რეპრესიებს მიმართავენ მის აღმოსაფხვრელად. კერძოდ, ჩვენ ვხედავთ, რომ პროფკავშირებიდან რიცხავენ კომუნისტებს და ყველა რევოლიუციონურ ელემენტებს. ამ გამორიცხვის ტაქტიკას მედგარი წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს. კომუნისტებმა მასებში უნდა გადაიტანონ პროფკავშირებიდან მათი განდევნის საკითხები, ყოველნაირად ეცადონ რეფორმისტების ასეთი მოქმედების მხილება და თავის შეხედულებათა გავრცელების თავისუფლების დაცვას პროფკავშირების შიგნით.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პროფმოძრაობას კოლონიებში. უკანასკნელ დროს ამსტერდამის ინტერნაციონალი ზომებს ღებულობს აღმოსავლეთის პროფორგანიზაციები თავის გავლენას დაუმორჩილოს და ამით ევროპის იმპერიალიზმს გაუადვილოს აღმოსავლეთის ხალხების დამონების ამოცანა. ამას მოწმობს თუგინდ პერსელის მგზავრობა ინდოეთში და მისი მოწოდება ამ ქვეყნის პროფკავშირებისადმი ამსტერდამს შეერთებოდენ, მაგრამ ამსტერდამის გაერთიანებას კოლონიებში ნიადაგი არ მოეპოვება; მის შავ განზრახვებში იქაური მასსები ერკვევიან. პროფინტერნი შემდეგში უეჭველად უფრო გააძლიერებს მუშაობას კოლონიებში რევოლიუციონურ პროფმოძრაობის გასაძლიერებლად, რაც იქნება ერთ-ერთი საწინდარი აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხების განთავისუფლების და იმპერიალიზმის დამარცხების.

იმპერიალიზმი კი დღეს დიდ აქტივობას იჩენს. და ეს არა მარტო როგორც კოლონიებში, არამედ ევროპა-ამერიკის ქვეყნებშიც. მწვავდება კაპიტალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგობანი. შეიარაღება იზრდება. საომრად იარაზმებიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ახალი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის საფრთხე რეალური ხდება. პროფინტერნის კონგრესი დასახავს ზომებს ომის საშიშროებასთან საბრძოლველად და ამ მიზნით მასების დასარაზმავად.

ყველა ზემოთქმულიდან აშკარაა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობის საკითხები დგას ეხლანდელი კონგრესის წინაშე, მათი წარმატებით გადაჭრა, პროფინტერნის წარსული მუშაობისათვის ჯამის გაკეთება და მომავალი საქმიანობის პერსპექტივების დასახვა მძლავრ ფაქტად შეიქნება მსოფლიო რევოლიუციონური მოძრაობის შემდგომი ზრდისათვის.

შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლის პირველი ცდები

ცაკის მანიფესტით 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლა უნდა მოხდეს თანდათანობით. შესაძლებელი არის თუ არა ახლავე და ყველა წარმოებაში 7 საათის სამუშაო დღის შემოღება? სამუშაო დღის შემცირებაზე მოუმზადებლად და ერთბაშად გადასვლა შეუძლებელია. მისი გატარება დამოკიდებულია მთელ რიგ მომენტებისაგან (წარმოების რაციონალიზაცია, სამ ცვლიან სამუშაოზე გადასვლა, ნედლი მასალის და ბაზრის საკითხი, კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადება და სხვ.). 7 საათის სამუშაო დღის დაჩქარებით, მოუმზადებლად და უგეგმო შემოღება დიდ შეცდომებს მოგვიტანდა.

რომ შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა სერიოზულ მომზადებას საჭიროებს, ამის დამამტკიცებელი არის საფეიქრო ქარხნების 7 საათის სამუშაოზე გადასვლის პირველი ცდები. იანვრის ბოლო რიცხვებში 7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანილ იქნა 22 საფეიქრო ქარხანა (მოსკოვში, ვლადიმირში, ტვერში; სერპუხოვში, ივანოვო-ვოზნესენსკში; იაროსლავში და სხვ).

ამ პირველმა ცდებმა გვიჩვენა, რომ შვიდ საათის სამუშაო დღეზე გადასვლა წარმოადგენს ფრიად რთულ ოპერაციას, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილეს და წინდახედულობას. ამიტომ მანიფესტში ნაჩვენები „თანდათანობითი“ გადასვლა გამომდინარეობს საკითხის გადაჭრის ამ სირთულიდან.

საფეიქრო ქარხნებში შვიდ საათის სამუშაო დღეზე გადასვლის ცდები კვირივებით უნდა იქნეს შესწავლილი. ეს შემდეგში თავიდან აგვაცილებს იმ შეცდომებს, რომელიც იქ დაშვებული იყო, უნდა ითქვას; რომ საფეიქრო ქარხნები სხვა წარმოებებთან შედარებით გაცილებით უფრო მომზადებული იყვნენ შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლისათვის, თვით სამეურნეო ორგანოები სთვლიდენ საფეიქრო წარმოებაში 7 საათის სამუშაო დღის შემოღებას იოლ საქმეთ. ნედლი მასალის და ბაზრის საკითხი. საფეიქრო წარმოებისათვის მოგვარებული იყო. შესაძლებელი იყო სამუშაო დღის შემჭიდროების გატარება და სხვ. მაგრამ მიუხედავად ამისა შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლას თან მოყვა მთელი რიგი დაბრკოლებანი.

შვიდი საათის სამუშაო დღის გატარებასთან ერთად სამცვლიან სამუშაოს შემოღებამ საჭირო გახადა მუშათა რიცხვის გადიდება. მესამე ცვლისთვის საჭირო იყო 17 ათასი ზედმეტი მუშა. 6 ათასი მუშა სამუშაოების შემჭიდროების საშუალებით (სამ და ოთხ მანქანაზე მუშაობის შემოღებით) ჩაბმულთა რიცხვიდან გადაყვანილი იქნენ მესამე ცვლაზე. დანარჩენი 11 ათასი ახლათ დაიქირავეს.

მუშათა რიცხვის შევსების დროს მწვავედ დადგა საკითხი კვალიფიციურ მუშების შესახებ. უმუშევრებში კვალიფიციური ფეიქრები ძლიერ მცირე აღმოჩნდა. ნაწილობრივათ ჩატარდა მოკლე ვადიანი კურსების საშუალებით გადამზადება. ამას გარდა მცირე კვალიფიკაციის მუშები უფრო მაღალ კვალიფიკაციის სამუშაოზე იქნენ წაყენებული.

აყვანილი იქნენ კვალიფიციურ სამუშაოზე საქარხნო სკოლების კურს დამთავრებულნი. გატარდა საქარხნო სკოლებში ვადამდე გამოშვება, იმ შეგირდების, რომელთაც მიიღეს განსაზღვრული კვალიფიკაცია და რომელთაც შეუძლიათ მანქანაზე დამოუკიდებელი მუშაობის წარმოება. გამოშვებულ იქნენ მხოლოთ 18 წელზე უფრო ხნოვანები და ზოგიერთ შემთხვევაში უფრო მცირენი შრომის ინსპექციის ნებართვით.

ახალი მუშების აყვანა ხდებოდა პირველ რიგში იმ მუშებიდან, რომელნიც სამუშაოს შემჭიდროების გამო დათხოვნილი იყვნენ სხვა საფეიქრო წარმოებაში. შემდეგ სამუშაოზე იყვანდნენ ამ წარმოების მუშების შვილებს. ყველა ამ კატეგორიების ამოწურვის შემდეგ ხდებოდა კავშირის უმუშევარ წევრების შრომის ბირჟიდან დაქირავება.

ტარდებოდა უმუშევრების მომზადება თვით წარმოებაში. მომზადების პერიოდში უმუშევრებს ეძლევოდა დამზღვევი ორგანოებიდან ჩვეულებრივი უმუშევრობის დახმარება და ამას გარდა კიდევ განსხვავებას პირველ კატეგორიის ხელფასის - მიხედვით იხდიდა წარმოება.

ჯავშნში მყოფი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი გადაყვანილ იქნა საშტატო სამუშაოზე, მათ მაგივრად ჯავშნი შევსებულ იქნა უმთავრესად მუშების შვილებით.

მუშათა რიცხვის გადიდებასთან ერთად გატარდა მოხუცი მუშების პენსიაზე გადაყვანა. მათი სამუშაოდან მოხსნას თან სდევდა მათი შვილების სამუშაოზე აყვანა.

სამ ცვლიან სამუშაოზე გადასვლამ 14 საფეიქრო წარმოებისათვის გაადიდა მოთხოვნილება **ნედლ მასალაზე.** საჭირო იქნება დამატებით კიდევ 600 ათასი ფუთი ბამბა. წინასწარი ვარაუდით მანუფაქტურის გამოშვება წლის ბოლომდე 150 მილიონ მეტრით გაიზრდება. საერთოდ სამ ცვლიან სამუშაოზე გადასვლამ საშუალოდ საფეიქრო წარმოების პროდუქცია 30 პროც.-ით. გაზარდა.

გატარებული იქნა **სამუშაო დღის შემჭიდროება.** მოხდა სამ და ოთხ მანქანაზე ერთი მუშის გადაყვანა. (საქსოვ მანქანაზე მუშაობა გამოიხატება უმთავრესად მეთვალყურეობაში). ამას გარდა ზოგიერთი სამუშაოები, რომელთაც ასრულებდენ კვალიფიციური მუშები, გადაეცა დამხმარე მუშებს; მაგალითად, მანქანების გასაწმენდათ და დასაზეთავათ სპეციალური ბრიგადა იქნა მოწყობილი და კვალიფიციური მუშები ამ სამუშაოდან განთავისუფლებული იქნენ, რამაც მათი შრომის ინტენსივობა გაადიდა.

შრომის ხელფასი შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლის შემდეგ არც-ერთ მუშას არ შემცირებია. პირიქით, მუშების მთელ რიგ ჯგუფებისათვის, რომელნიც იყვნენ სამ და ოთხ მანქანაზე სამუშაოდ, ხელფასი გაიზარდა 20 და 30 პროცენტით, მაგალითად, დრეზნენის მანუფაქტურაში დღიური ხელფასი 2 მანეთიდან ავიდა 2 მ. 50 კაპ.

შვიდ საათის სამუშაოზე გადაყვანილ თითქმის ყველა საფეიქრო წარმოებებში, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, წარმოების თვითღირებულება შემცირდა; მაგალითად, ფაბრიკა „პროლეტარსკაია პაბედა“-ში ერთი მეტრი საქონლის დამუშავება ჯდებოდა 98 კ., 7 ს. გადასვლის შემდეგ ის ჯდება 90 კაპ. ზოგიერთ წარმოებებში თვითღირებულებამ იმატა, რაც უმთავრესად აიხსნება ახალი გამოუცდელი და დაბალი კვალიფიკაციის მუშების დაქირავებით; თვითღირებულების ეს მომატება დროებით მოვლენათ უნდა ჩაითვალოს.

მუშაობის დაწყების და გათავების დროთ შვიდ საათზე გადაყვანილ უმეტეს წარმოებებში აღებულია დილის 5 საათი და ღამის 2 საათი. ორი საათიდან ხუთ საათამდე წარმოება გაჩერებულია (ეს საათები მეცნიერული გამოკვლევით იძლევა უფრო ნაკლებ ნაყოფიერებას). შვიდი საათის მუშაობა ხდება განუწყვეტლივ. ღამის საათებში მუშებს ეძლევათ დამატებითი ხელფასი ყოველ ერთ საათში განაკვეთის ერთი მეშვიდედი.

ზოგიერთ წარმოებაში, (ორეხოვო-ზუევო და პავლოვო-პაკროვსკაია) თვითეული ცვლა მუშაობს 3 ნახ. საათი. შვიდი საათის დასვენების შემდეგ ხდება დანარჩენი 3 ნახ. საათის მუშაობა. ასეთი წესი თვით მუშების სურვილით იყო შემოღებული, ვინაიდან ისინი ფაბრიკასთან ცხოვრობენ და სამუშაოს ასეთი განაწილება მათთვის ხელსაყრელი არის.

კვირა-უქმე დღეების წინ სამუშაო დღე ექვსი საათით განისაზღვრება.

მოზარდების და დედაკაცების ღამით მუშაობის საკითხი სხვადასხვა ნაირათ არის გადაჭრილი. ზოგიერთ წარმოებაში მუშებმა გადაწყვიტეს ქალთა შრომის ყოველივე განსაზღვრის მოსპობა. არბიტრის დადგენილებით არ უნდა იქნენ დაშვებულ ღამით სამუშაოზე ფეხმძიმე ქალები (ფეხმძიმობის მეექვსე თვეზე ზევით) და ძუძუ მაწოვებელნი (შვიდ თვემდე), აგრეთვე მოზარდები. უმეტეს ნაწილით მუშების, ეს ჯგუფი გადაყვანილია დღის ცვლაზე.

წარმოებასთან არსებული ბავშთა ბაგებიც გახსნილია სამი ცვლით. ჯანმრთელობის ორგანოები ატარებენ მთელ რიგ ზომებს, რომ საექიმო დახმარებით ისარგებლონ ყველა ცვლის მუშებმა. ქალაქის მასიური მიმოსვლის (ტრამვაი) განწესრიგებაც შეფარდებული იქნება პირველი და მესამე ცვლის მუშების მოთხოვნილებასთან.

სამცვლიან სამუშაოზე გადასვლამ და მუშათა რიცხვის გადიდებამ გაამწვავა საცხოვრებელი **ბინების** მოთხოვნილება. პრაქტიკულად წამოიჭრა საკითხი ბინების აშენების შესახებ.

ღამით მუშაობის შემოღებამ და სამუშაო დღის შემჭიდროებამ შეიძლება გამოიწვიოს უბედურ შემთხვევათა ზრდა. ამიტომ ფეიქ. კავშირმა დასვა საკითხი სამეურნეო ორგანოების წინაშე შრომის დაცვის ღონისძიებების ჩასატარებლად თანხების გადიდების შესახებ.

ამრიგად, შვიდი საათის სამუშაო დღის პრაქტიკულად შემოღების პირველი ცდა, მიუხედავად მთელი რიგი დაბრკოლებებისა, წარმატებით ტარდება ცხოვრებაში. აღსანიშნავია, რომ სამუშაო დღის შემცირება არ იწვევს შრომის ნაყოფიერების შემცირებას. პირიქით, ადგილი აქვს მის ზრდას და ნაწარმოების თვითღირებულების დაკლებას. მუშის ხელფასი არა თუ რჩება იმდენი, რამდენიც იყო 8 საათის მუშაობის დროს, არამედ შრომის ინტენსივობის ზრდასთან ერთად იწევს მაღლა. ყველა ამ დადებით შედეგებთან ერთად ადგილი აქვს უმუშევრების საგრძნობი რიცხვის ჩაბმას წარმოებაში.

ს. ბ.

რევოლიუციონური რაზმების ბრძოლა ჩინეთში

ინგლისის პრესა ინგლის-ავღანისტანის ურთიერთობის შესახებ

გერმანელ რეფორმისტების მორიგი გამცემლობა:-მუშებში იზრდება აღშფოთება მოღალატეების მიმართ

მდგომარეობა ჩინეთში

წითელ პარტიზანთა მოძრაობა შანხაიში

შანხაი, 13 მარტი. გაზ. „სინბაო“ ხანკოუდან იუწყება, რომ „ხანკოუს კომუნისტების ბელადმა იან იუენ-სიანმა კუნგანის რაიონში, ხუბეი-ხუნანის საზღვრების მახლობლად მოაწყო რაზმები, რომლებსაც ტერორის ქვეშ უყავთ დაყენებული რაიონის შეძლებული მოსახლეობა“.

შანხაი, 13 მარტი. გაზ. „შინბაოს“ ცნობით აჯანყებულთა რაზმმა, რომელიც 300 კაცისაგან შესდგებოდა დაიკავა ქალ. ხოიუჯოუ ცზიანის პროვინციაში, 160 კილომეტრის მანძილზე ნანჩანის ჩრდილოეთ - დასავლეთით.

შანხაი, 13 მარტი. ჩინელთა წრეებში შიშს გამოსთქვამენ იმის გამო, რომ, თითქოს, 15 მარტს ხანკოუში უნდა მოხდეს კომუნისტების აჯანყება.

შანხაი, 13 მარტი. ნანკინის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ხაიფინის და ლუფინის მაზრებში, გუანდუნის პროვინციის სამხრეთ-ნაწილში, გააფთრებული ბრძოლა სწარმოებს კანტონის დიქტატორ ლი-ტი-სინის ჯარებსა და რევოლიუციონურ ჯარებს შორის, რომლებსაც ხელმძღვანელობენ კომუნისტები. კანტონის ჯარებმა, თითქოს, დაიკავეს სამაზრო ქალაქები: ხაიფინი და ლუფინი. რევოლიუციონურმა ჯგუფებმა კომუნისტების ხელმძღვანელობით დაიკავეს პოზიციები სამაზრო ქალაქ ცეგამის მახლობლად. ხაიფინის ჩრდილოეთ - აღმოსავლეთით, კანტონის ჯარები გაემართენ ცეგამის რაიონისაკენ. (ადს).

კანტონელების [illegible] გრძნობები

ტოკიო, 13 მარტი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს ცნობით, კანტონის ხელისუფლება, გონკონგის (ინგლისის კოლონია) გუბერნატორის კლემენტის კანტონში ჩამოსვლის გამო ცდილობს შექმნას ისეთი ატმოსფერა, რომელიც ხელს შეუწყობს კანტონის დაახლოებას გონკონგთან. მთელს ქალაქში ხელისუფლების განკარგულებით ჩამოხსნილია ანტი-ინგლისური პლაკატები და შეცვლილია ქუჩების სახელები, „რომლებსაც შეეძლო ინგლისელთა ნაციონალური გრძნობის შეურაცყოფა“ და სხვ.

კომუნისტების დაპატიმრება გრძელდება

პეკინი, 13 მარტი. შანხაიში დააპატიმრეს ჩინეთის კომპარტიის მდივნის ჩენ-დუ-სუს უფროსი შვილი ჩენ-ჩა-სენი.

გოვენის სააგენტოს ცნობით, ჩენ-ჩა-სენი ამ ცოტა ხნის წინად ჩამოვიდა მოსკოვიდან, სადაც სწავლობდა აღმოსავლეთის მშრომელთა უნივერსიტეტში.

გამოძიებიდან ჩანს, რომ ჩენ-ჩა-სენი იყო ცზიანსუს პროვინციის კომუნისტურ ორგანიზაციის კომიტეტის თავმჯდომარეთ.

ავღანისტანის ფადიშაჰი ლონდონში

ლონდონი, 13 მარტი. ავღანისტანის ფადიშაჰი ამანულა ლონდონში ჩამოვიდა. გემს, რომელშიაც ფადიშაჰი იმყოფებოდა, შუა ადგილას ლამანშის გზაზე შეხვდა ინგლისის სამხედრო გემთა ესკორტი. ნაპირზე გადმოსვლის დროს დუვრში ფადიშაჰს შეხვდა უელსის პრინცი, ინგლისის ტახტის მემკვიდრე. დუვრიდან ლონდონში ფადიშაჰი წაიყვანეს სპეციალური მატარებლით. სადგურზე ლონდონში მას შეხვდა ინგლისის მეფე, რომელთანაც ერთად გაემგზავრა ბუკინგემის სასახლეში. (ადს).

ინგლის-ავღანისტანის ურთიერთობის გარშემო

ლონდონი, 13 მარტი. მთელი პრესა დიდ ყურადღებას აქცევს ავღანისტანის ფადიშაჰის ამანულას ჩასვლას ლონდონში. გაზეთების უმრავლესობა ათავსებს სპეციალურ წერილებს ფადიშაჰის ცხოვრების აწერით და მიმართავს მას მისალმებით და ქათინაურებით. მხოლოდ ზოგიერთი გაზეთები ფრთხილად ეხებიან ინგლის-ავღანისტანის პოლიტიკურ ურთიერთობას. ერთად ერთი გაზეთი, რომელმაც გამოხატა უცერემონიოდ, რასაც ის ნამდვილად ფიქრობს ამ საკითხის შესახებ—ეს არის „მორნინგ პოსტ“-ი. ეჭვს გარეშეა, რომ ინგლისის გავლენიან საზოგადოებრივ წრეების უმრავლესობა იზიარებს „მორნინგ პოსტი“-ს მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს. „მორნინგ პოსტი“-ს წერილის შინაარსი გამოიხატება შემდეგში:

მიუხედავად იმისა, რომ ავღანისტანმა დამოუკიდებლობა მოიპოვა ინგლისის წინააღმდეგ ომის წყალობით, „მორნინგ პოსტი“ მოულოდნელად აცხადებს, რომ „ინგლისის პოლიტიკა ყოველთვის გამოიხატებოდა ავღანისტანის დამოუკიდებლობის პატივისცემაში“. შემდეგ გაზეთი სწერს: ჩვენ ვაცხადებთ, რომ ყოველგვარი თავდასხმა ავღანისტანზე წარმოადგენს საფრთხეს ინდოეთის უშიშროებისათვის. ამიტომ ინგლისის სურვილი გამოიხატება იმაში, რომ ავღანისტანი იქნეს ძლიერი და თავისუფალი. თუ ფადიშაჰი ამანულა იზიარებს ამ გრძნობებს, მაშინ არაფერი არ შეუშლის ხელს ინგლისის და ავღანისტანის დაახლოებას“. შემდეგ გაზეთი ამანულას არწმუნებს იმაში, რომ ინგლისში ის „მეგობრებს შორის“ იმყოფება.

„ჩვენ არ ვიცით—სწერს გაზეთი—განიცდის თუ არა ისეთსავე უშიშროების გრძნობას ფადიშაჰი, როცა ის ფეხს შესდგამს რუსეთის ტერიტორიაზე და მოიგონებს, რომ მოსკოვი დაუძინებელი მტერია ყველა გვირგვინის და ყველა რელიგიის. არ არსებობს არც ერთი რელიგია, არც ერთი მეფე, რომელსაც არ ემუქრებოდეს საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა. განსაკუთრებით ძლიერ ემუქრება ეს სახელმწიფო ავღანისტანს, ვინაიდან რუსეთს განზრახვა აქვს იერიში მიიტანოს ბრიტანეთის ინდოეთზე, რაც შეუძლებელია სანამ რუსები მარშით არ გაივლიან ავღანისტანის ტერიტორიაზე“. (გაზეთს, ალბად, სურს დაამტკიცოს ინგლის-ავღანისტანის სამხედრო კავშირის საჭიროება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, თუმცა ამას ის პირდაპირ არ ამბობს).

„ტაიმსი“ აგრეთვე სწერს, რომ ინგლისი დაინტერესებულია იმაში, რომ ავღანისტანი იქნეს დამოუკიდებელი სახელმწიფო, ინგლისთან მეგობრულ კავშირში.

ლიბერალური „მანჩესტერ გარდიენ“ აცხადებს, რომ ბრიტანეთის იმპერიის გასაღები შუა-აღმოსავლეთში არის. ყოველგვარი საფრთხე ინგლისისათვის შუა-აღმოსავლეთში უდრის საფრთხეს ბრიტანეთის იმპერიის მთელი სისტემისათვის. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ინგლისის ბევრი მოწინააღმდეგე ოცნებობს შუა-აღმოსავლეთის ქვეყნების კავშირის დაარსებაზე. (მხედველობაშია, უმთავრესად, სპარსეთი, არაბეთი და ოსმალეთი). თუ ასეთი კავშირი დაარსდა, „მანჩესტერ გარდიენი“-ს აზრით, მასში ხელმძღვანელი როლი უნდა ითამაშოს ავღანისტანმა (ადს).

მასები გამცემელთა წინააღმდეგ

ბერლინი, 13 მარტი. გერმანიის მელითონეთა კავშირის რეფორმისტული ხელმძღვანელები ინსტრუმენტების დამამზადებელ მუშებს მოუწოდებენ დაუბრუნდნენ სამუშაოს, ვინაიდან საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სავალდებულოდ არის გამოცხადებული. ინსტრუმენტების დამამზადებელ მუშათა სადისკუსიო კრებაზე ყველა ორატორები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დისკუსიაში, აღშფოთებით მოითხოვდნენ ბრძოლის გაგრძელებას. ისინი აღნიშნავდენ, რომ უნდა ვებრძოლოთ თვით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სავალდებულოდ გამოცხადების ფაქტსო: მემარცხენე ფრთამ შეიტანა რეზოლიუცია ბრძოლის გაგრძელების შესახებ. ამ რეზოლიუციას მხურვალე ტაშით შეხვდა დამსწრეთა უდიდესი უმრავლესობა. კრების თავმჯდომარემ ძლივს შეიკავა კრება. ამის შემდეგ თავმჯდომარემ დისკუსია დამთავრებულად გამოაცხადა, კენჭი არ უყარა მემარცხენე ფრთის რეზოლიუციას და დამსწრეთა უმრავლესობის სურვილის წინააღმდეგ დახურა კრება. (ადს).

ნორვეგიის კომპარტიის მიმართვა მუშებისადმი

სტოკჰოლმი, 13 მარტი. იმ გარემოებამ, რომ ნორვეგიის მთავრობის სათავეში მოკლე ხნის განმავლობაში იდგა მუშათა პარტია მისი რადიკალური ფრაზებით, დაბნეულობა გამოიწვია არა მარტო თვით მუშათა პარტიაში, არამედ აგრეთვე კომპარტიის ცალკე მოღვაწეებს შორისაც. ნორვეგიის კომპარტიის ცკამ გამოაქვეყნა ღია წერილი მუშებისადმი, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მუშათა პარტიის მიერ მთავრობის შედგენა იყო ღალატი პროლეტარიატის ინტერესებისათვის, ვინაიდან არსებითად მადსენის მთავრობა ცდილობდა დახმარება გაეწია გაკოტრებულ კაპიტალისტურ წესწყობილებისათვის.

წერილისათვის კენჭის ყრის დროს ცეკას ხუთმა წევრმა ხმა მისცა წერილის წინააღმდეგ. მათ შორის სამი: შეფლო, ქანეტ სტანგი და ულსენი გავიდენ პარტიიდან. ბურჟუაზია და სოციალ - დემოკრატია ზეიმობს იმ იმედით, რომ კომპარტიაში უთანხმოებანი განვითარდება და გაღრმავდება. კომუნისტური პრესა აღნიშნავს, რომ რეფორმისტულ ელემენტების გასვლა პარტიიდან (ნორვეგიის კომპარტიიდან გასული შეფლო, სტანგი და ულსენი პირველად არ იჩენენ სოციალ - დემოკრატიულ გადახრას) კიდევ უფრო განამტკიცებს პარტიას. ცეკას წერილს ამჟამად იხილავენ ყველა პარტიული ორგანიზაციები. მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს ორგანიზაციებში და აგრეთვე კომკავშირმა უკვე მოიწონეს ცეკას ხაზი. (ადს).

საბჭ. კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის საუბარი გოტოსთან

ტოკიო, 14 მარტი. გუშინ საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი ესაუბრა ვიკონტ გოტოს. კორესპონდენტი შეეკითხა: რომელ წყაროებიდან მომდინარეობდა იაპონიის პრესის ერთ ნაწილში გავრცელებული ხმები, თითქოს საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობა ფულს აძლევს მემარცხენე იაპონურ პარტიებს საარჩევნო კამპანიისათვის და რანაირია იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარების პერსპექტივები.

გოტომ უპასუხა: გამავრცელებელნი ამ ხმებისა, თითქოს საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობა ფულს აძლევს იაპონიის მემარცხენე პარტიებს, ისეთი ადამიანები არიან, რომლებიც გამორჩენას ეძებენ. ისინი ცდილობენ მემარცხენე პარტიებში შესვლას, მაგრამ არ უშვებენ, ამის შემდეგ იერიში მიიტანეს ამ პარტიებზე და უგონირი მოიგონეს „საბჭოთა ოქროს“ შესახებ. მე ვფიქრობ, რომ პარლამენტის ოპოზიციას არც ერთი ცოტათი თუ ბევრად სერიოზულ მოღვაწეს არ სწამს, რომ საბუთიანი იყოს ხმები „საბჭოთა ოქროს“ შესახებ. მაგრამ ოპოზიცია დაინტერესებულია, რომ სახელი გაუტეხოს ახლანდელ მთავრობას. ასეთი ხმების გავრცელების უფრო ღრმა საფუძველი ის არის, რომ ოპოზიცია ეშინია მემარცხენე პარტიების ზრდის. ეს შიში აიძულებს ოპოზიციას, რომ მემარცხენე პარტიებს ჩრდილი მიაყენოს იმ ბრალდებით, თითქოს ხსენებული პარტიები სარგებლობენ საბჭოთა წარმომადგენლობისაგან.

კორესპონდენტი შეეკითხა: რატომ ავრცელებენ ხმებს „საბჭოთა ოქროს“ შესახებ ის გაზეთები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მთავრობის პარტიასთან, ამაზე გოტომ უპასუხა, მთავრობის პარტიებიც უეჭველად დაინტერესებულნი არიან, რომ მემარცხენე პარტიების გავლენა დაეცეს. გოტომ უპასუხა მეორე შეკითხვაზედაც და ხაზი გაუსვა, რომ მის მოხსენებებს საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ ყველგან აღტაცებით შეხვდენ. „ზოგჯერ ძნელია დაარწმუნო საზოგადოებრივი აზრი,—სთქვა გოტომ,—რომ მან უკუაგდოს ყველა ყალბი შეხედულება საბჭოთა რუსეთის შესახებ და უცაბედად შეითვისოს საბჭოთა კავშირის გამოცდილებიდან ის, რაც მისაღებია იაპონიისათვის. მაგრამ მოიძებნება ისე, ვინც უყურებს საბჭოთა კავშირს, როგორც მტერს. იმედი მაქვს, ამ შემთხვევაში გამომჟღავნდება წარმომადგენლობის და საბჭოთა კავშირი მტრად არ მიაჩნია. მე ღრმად მწამს საბჭოთა კავშირის და იაპონიის მჭიდრო მეგობრობის შესაძლებლობა“. (ადს).

განიარაღების საბჭოთა პროექტის გარშემო

სტოკჰოლმი, 13 მარტი. სენატის სოციალისტმა დეპუტატმა ლინდგაგენმა მთავრობას მისცა შეკითხვა: ეთანხმება თუ არა იგი საბჭოთა მთავრობის წინადადებას საყოველთაო განიარაღების შესახებ.

შეკითხვაზე პასუხი გასცა გარეშე საქმეთა მინისტრმა ლეფგრენმა, რომელმაც განაცხადა, რომ მთავრობას არ შეუძლია დაეთანხმოს იმათ იდეას, ვინც სცდილობს დააჩქაროს განიარაღების კომისიის მუშაობა. მთავრობა ფიქრობს, რომ მოსამზადებელი მუშაობა საერთაშორისო განიარაღებისათვის უნდა მიმდინარეობდეს განსაზღვრული წესით. (ადს).

ნ ა ვ თ ი ს პ ა ნ ა მ ა

ნიუ-იორკი, 13 მარტი. სენატის კომისია კვლავ განაგრძობს გამოძიებას სახელმწიფო ნავთის მადნების ადგილებში კონცესიების უკანონოდ გაცემის საქმეზე. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ გარი სინკლერმა, რომელმაც ხელსაყრელი კონცესიები მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრ ფოლისათვის ქრთამების მიცემის საშუალებით, ძალიან დიდი თანხა გადასცა რესპუბლიკანურ პარტიას საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად. გარი სინკლერს ამით სურს უზრუნველყოს მხარის დაჭერა რესპუბლიკანური პარტიის მხრივ. ვილი ჰეისი—რესპუბლიკანური პარტიის საარჩევნო კამპანიის მთავარი ორგანიზატორი, ფოსტა-ტელეგრაფის ყოფილი მინისტრი საგამოძიებო კომისიის მიერ დაკითხვის დროს შეეცადა ამ ფაქტის უარყოფას. მაგრამ გამოძიებამ დაამტკიცა, რომ სინკლერმა რესპუბლიკანური პარტიის საჭიროებისათვის ხეისს გადასცა 100.000 დოლარი. გამოძიებამ გამოაშკარავა აგრეთვე, რომ ამ საქმეში ჩარეულია ფინანსთა მინისტრი მელონი, რომელსაც ხეისმა 50.000 დოლარი გადასცა სინკლერისაგან მიღებული თანხიდან. მელონი, რომელიც დღემდე მალავდა თავის მონაწილეობას ამ საქმეში, ეხლა იძულებულია აღიაროს, რომ განსაზღვრული თანხა მიიღო ხეისისაგან, მაგრამ განაცხადა, რომ ეს თანხა ისევ დაუბრუნა ხეისს და გარდა ამისა გადასცა 50.000 დოლარი საკუთარი ფული. ეხლა შეუძლებელია დაწვრილებით იქნას გამორკვეული ფაქტები იმის შესახებ, რომ სინკლერი თანხებს აწვდიდა რესპუბლიკანურ პარტიას, ვინაიდან რესპუბლიკანური პარტიის საბუღალტრო წიგნები და დოკუმენტები, რომლებსაც ამ საქმესთან აქვს კავშირი, უკვე მოსპეს (ადს).

საბჭოთა კავშირის დელეგაცია ჟენევაში

ჟენევა, 13 მარტი. ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის დელეგაცია განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის სესიაზე. დელეგაციას ხელმძღვანელობს ამხ. ლიტვინოვი. (ადს).

ნავთსაზიდი გემი

საბჭოთა კავშირისათვის

პარიზი, 13 მარტი. საფრანგეთის ნავთსადგურ კანეში წყალში ჩაუშვეს პირველი ნავთსაზიდი გემი, რომელიც აგებულ იქნა საბჭოთა კავშირისათვის. გემის წყალში ჩაშვებას დაესწრნენ საბჭოთა კავშირის ნავთის სინდიკატის, რუსეთის ნავთის პროდუქტებით მოვაჭრე საზოგადოებათა წარმომადგენლები და აგრეთვე მრავალი ხალხი (ადს).

ა.-კ. ცაკის სესია ბაქოში

ბაქოს საბჭოს მუშაობა

ამხ. კონუშკინის მოხსენება

დღის წესრიგისა და რეგლამენტის მიღების შემდეგ მოხსენებას ბაქოს საბჭოს მუშაობის შესახებ აკეთებს ამხ. კონუშკინი, რომელსაც დელეგატები მხურვალე ტაშით ხვდებიან.

„ნება მომეცით,—ამბობს ამხ. კონუშკინი,—სანამ შევუდგებოდე საქმიან მოხსენებას, მივესალმოთ თქვენ, აქ შეკრებილთ ბაქოს საბჭოს სახელით (ტაში. ინტერნაციონალი).

საკითხს ბაქოს საბჭოს მუშაობის შესახებ მეტად არსებითი მნიშვნელობა აქვს ბაქოს პროლეტარიატისათვის.

ამ საკითხის შეტანა სესიის დღის წესრიგში მოწმობს იმას, რომ ამიერ-კავკასიის უზენაესი ორგანო ყურადღებას აქცევს ბაქოს პროლეტარიატს. ანგარიშის წარდგენა ბაქოს საბჭოს მოქმედების შესახებ მე მიხდება იმ დღეებში, როცა ამიერ-კავკასიის მშრომელნი დღესასწაულობენ ამიერ-კავკასიის ფედერაციის 6 წლის თავს. ეს დღეები ბაქოს პროლეტარიატისათვის, რომელიც პიონერია ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში, განსაკუთრებით ძვირფასია. ბაქოს პროლეტარიატი ყოველთვის ფიქრობდა, რომ ამიერ-კავკასიის ხალხთა მხოლოდ ძმურ იდეაზე შეიძლება აღმოიფხვრას ის ეროვნული შუღლი და მტრობა, რომელიც მეშჩანურ-ნაციონალისტურად დაუფუძნებიათ მუსავატელებმა, დაშნაკელებმა და მენშევიკებმა. ყველა ეჭვს გარეშეა, რომ გზა, რომელსაც დავადექით ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნით, სავსებით სწორი გამოდგა. ამიერ - კავკასიის მთავრობის ხელმძღვანელობით დამყარდა ეროვნული მშვიდობიანობა ამიერ-კავკასიაში და ამით ჩაეყარა საძირკველი ჩვენი მეურნეობის განვითარებას და მუშაობას ყოველ დარგში. აქ, ბაქოში, ჩვენ უდიდესი მიღწევები გვაქვს მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, განსაკუთრებით ნავთის მრეწველობაში. ეს მიღწევანი მაჩვენებენ მუშათა კლასის შემოქმედებით უნარსა და ენერგიას. ჩვენი მიღწევები ტყუილად კი არ აფრთხობს ამიერ-კავკასიის ყოფილ ბატონ-პატრონებს, და აგრეთვე ბატონ იმპერიალისტებს, რომლებიც განუწყვეტლივ აწყობენ ინტრიგებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, კერძოდ ამიერ-კავკასიის ფედერაციის წინააღმდეგ. მაგრამ როდესაც არსებობს საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთობა, მთლიანობა, როცა მუშათა კლასი დარაზმულია საბჭოთა ხელისუფლების ირგვლივ, ჩვენთვის საშიში არ არის ამ ვაჟბატონების ყოველგვარი ცდები. მთელს ჩვენს პოლიტიკურ საბჭოთა და სამეურნეო მუშაობას ჩვენ ვაწარმოებთ მშრომელი მასების ფართე მონაწილეობისა და კონტროლის ქვეშ. ასე სწარმოებდა ბაქოს საბჭოს მუშაობაც. ყველა საკითხები, რომლებსაც სწყვეტს ბაქოს საბჭო, პირველად ტარდება საბჭოს მასიურ ორგანოებში და შემდეგ საბოლოო გადასაწყვეტად გადაეცემა პრეზიდიუმს. ამ მუშაობაში მონაწილეობას იღებს 8.000-მდე კაცი.

ბაქოს საბჭომ ჩაატარა მთელი რიგი მასიური გამოკვლევები—საბინაო, კოოპერატიულ და სხვა საკითხებზე. რომ უფრო მჭიდროდ დავუკავშიროთ საბჭოს მუშაობა უშუალოდ ამომრჩევლებთან, ჩვენ უკანასკნელ ხანებში დავაწესეთ საბჭოს წევრთა მორიგეობა წარმოებებში. ამ სამორიგეო პუნქტების საშუალებით შედარებით მცირე ხნის განმავლობაში მუშებმა აღძრეს მთელი რიგი საკითხები რომლებიც სათანადოდ გადაწყდა. ამომრჩევლებთან კავშირის ეს ფორმა მომავალში უნდა გავაფართოვოთ. ჩვენ აუცილებლად ვთვლით, რომ მასიურ საბჭოთა მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ბრძოლას ბიუროკრატიზმთან, რაციონალიზაციის და მომჭირნეობის რეჟიმის საკითხს. საუკეთესო საშუალება ბიუროკრატიზმთან ბრძოლისათვის არის მუშათა მასების ფართოდ ჩაბმა საბჭოთა მუშაობაში. მუშათა მასების ჩაბმა საბჭოთა მუშაობაში ხორციელდება დაწესებულებათა და წარმოებათა გამოკვლევის გზით ადგილობრივ გამოყოფილი განსაკუთრებული კომისიების საშუალებით და აგრეთვე ბაქოს საბჭოდან მიმაგრებულთა საშუალებით, რომლებიც ადგილობრივ ადევნებენ თვალყურს დაწესებულებათა და წარმოებათა სამეურნეო და საბჭოთა მუშაობას. კომისიების საშუალებით ჩვენ ჩავატარეთ 2.000 მეტი გამოკვლევა, ხოლო მიმაგრებულნი გვყავს 800-მდე დაწესებულებაში. მე უნდა აღვნიშნო, რომ ეს მუშაობა ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის განვითარებული. ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა გავაფართოვოთ მასიური მუშაობა ისეთ დიდ წარმოებებში, როგორიც არის აზნეფტი, კასპარო (კასპიის საზღვაო საზოგადოება) და სხ.

მომჭირნეობის რეჟიმის დარგში ბაქოს საბჭომ 1926—27 წლის განმავლობაში დიდი მუშაობა ჩაატარა, რითაც მიღებულ იქნა 500.000 მან. მომჭირნეობა. წარსული წლის ფაქტიურ ხარჯებთან შედარებით ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯები 1927—28 წელში შემცირებულ იქნა 28 პროცენტით. ადგილობრივი მრეწველობის წარმოებებში, რომლებიც ბაქოს საბჭოს გამგებლობაში იმყოფებიან, წარსული სამეურნეო წლის განმავლობაში რაციონალიზაციის გზით ხარჯები შემცირებულ იქნა 111.000 მან. რაოდენობით. მუშაობა რაციონალიზაციისათვის სწარმოებს ბაქოს საბჭოს განყოფილებებშიაც.

ეხლა შევეხები ბაქოს საბჭოს ბიუჯეტს. ამ ბიუჯეტის დახასიათებისათვის უნდა ითქვას, რომ ჩვენს წინაშე უდიდესი ამოცანები იდგა როგორც კომუნალური მეურნეობის და ადგილობრივი მრეწველობის, ისე კულტურულ-სოციალური საჭიროებათა დარგში. მემკვიდრეობად ჩვენ ძალიან ცოტა მივიღეთ. ჩვენ არ გვქონდა აუცილებელი რამ: არ გვქონდა ტრამვაი, არ იყო კანალიზაცია, დაუმთავრებელი იყო წყალსადენი, საშინელ მდგომარეობაში იყო საბინაო საკითხი და სხ. ამიტომ ბაქოს საბჭოს ბიუჯეტი ყველა ამ წლების განმავლობაში მძიმე მდგომარეობაში იყო. ბაქოს საბჭოს ბიუჯეტი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაიზარდა 48 პროც. წარსულ წელთან შედარებით 1927—28 წლის ბიუჯეტი გაიზარდა 18 პროც. და აღწევს 20 მილიონ მანეთამდე. სამეურნეო საწარმოთა მოთხოვნილებებს, თუ არ ჩავთვლით კომუნალურ წარმოებებს, უნდება ბიუჯეტის 30 პროც. კულტურულ-სოციალურ მოთხოვნილებებს—50 პროც. ჩვენი ბიუჯეტის დეფიციტიანობის გამო ჩვენ დავსვით საკითხი, რომ აზნეფტის შემოსავლის ნაწილი გადარიცხულ იქნას ბაქოს საბჭოს ბიუჯეტში, ვინაიდან ბაქოს საბჭო მნიშვნელოვან თანხებს ხარჯავს ნავთის მრეწველობის მუშათა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. 1927-28 წელში ეს საკითხი გადაწყდა ამიერ-კავკასიის უმაღლესი ორგანოების დადგენილებით, აზნეფტის შემოსავლიდან გადარიცხულ იქნა 2.860.000 მან., რამაც მოგვცა საშუალება იმისა, რომ ამ წლის ბიუჯეტი უდეფიციტოთ შეგვედგინა. ბაქოს საბჭო სვამს საკითხს იმის შესახებ, რომ ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილს მკვიდრი ნიადაგი მიეცეს ადგილობრივი მრეწველობის გაფართოების მხრივაც, მე უკვე შევაჩერე თქვენი ყურადღება იმ მემკვიდრეობაზე, რომელიც ბაქოს საბჭომ მიიღო. ჩვენ ხელმეორედ ავაშენეთ მთელი რიგი წარმოებები. ჩვენ გავიყვანეთ ტრამვაი, ავაგეთ ბაქო-საბუნჩის ელექტრონის რკინის გზა, რომელიც პირველია საბჭოთა კავშირში. ბაქოს საბჭო ამჟამად შეუდგა კანალიზაციის მშენებლობას; ამასთანავე, ეს მუშაობა გაგრძელდება 5 წლის განმავლობაში და დამთავრდება 1933 წელში. შემდეგ, ჩვენს წინაშე სდგას საკითხი წყალსადენის დამთავრების შესახებ, რაიც ქალაქის მოსახლეობას, და აგრეთვე ნავთის მრეწველობას უზრუნველყოფს წყალით, და ამასთანავე შეამცირებს წყალის ფასს, რომელიც ეხლა საკმაოდ ძვირი ჯდება. გარდა ამისა, ჩვენ ვაშენებთ ახალ სასაკლაოს, ვინაიდან ძველი, რომელიც უკვე 80 წელია რაც არსებობს სრულიად უვარგისია.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აგრეთვე ბაქოს კეთილმოწყობას. ძალიან ბევრი გავაკეთეთ ქალაქის განათების გაძლიერებისათვის. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ბაქოში იყო 810 სინათლის წერტილი, ამჟამად კი გვაქვს 4.000-მდე სინათლის წერტილი. მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ მხრივ მაინც დიდი მუშაობა გვაქვს შესასრულებელი, ვინაიდან არის ისეთი მუშათა რაიონები, რომლებიც დღემდე გაუნათებელია.

ყველა ეს სამუშაო, რა თქმა უნდა, მოითხოვდა და მოითხოვს დიდ ხარჯებს. მაგალითად, ტრამვაის და საბუნჩის ელექტრონის რკინის გზის გაყვანა დაჯდა 18 ნახ. მილ. მ., წყალსადენის დამთავრება მოითხოვს დაახლოვებით 9 მილ. მან., კანალიზაცია—7 მილ. მ., სასაკლაო — 2 მილ. მან. ამ ხარჯებს უმთავრეს წყაროს შეადგენენ საკრედიტო საშუალებები, რომლებიც უნდა გაისტუმროს ბაქოს საბჭომ. ჩვენ ვთხოვთ ა.-კ. ცაკს, რომ მოხდეს ჩვენი კრედიტების კონსოლიდაცია და მოგვეცეს ვადა.

ყველაზე უფრო მტკივან საკითხს ჩვენთვის წარმოადგენს საბინაო საკითხი. 1923 წლიდან 1926 წლამდე ბაქოს მოსახლეობა გაიზარდა 33 პროც. უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ბაქოში აშენდა 2.800 ახალი ბინა, რაზედაც დახარჯულ იქნა 28 მილ. მან. 1927-28 წ. ბაქოს საბინაო მშენებლობაზე სხვადასხვა ორგანიზაციებმა—ბაქოს საბჭომ, აზნავთმა, ს. მ. უ. ს. და „კასპარომ“ გადასდეს 8 მილ. მან. მეტი. მაგრამ ეს თანხა საბინაო კრიზისის შესამსუბუქებლად მეტად მცირეა. ბაქოს საბინაო-სამშენებლო კოოპერაცია, სადაც წინად უმთავრესად მაღალი კვალიფიკაციის მუშაკები შედიოდენ, ამჟამად მუშათა მნიშვნელოვან რაოდენობას იზიდავს. ამ კოოპერაციის გასამაგრებლად მიმდინარე წელს ჩვენ გავიღეთ 2 მილ. მან. დიდი მუშაობა გასწია ბაქოს საბჭომ კულტურულ-სოციალურ დარგში. ამჟამად პირველ და მეორე საფეხურის სკოლებში სწავლობს 60.000 მეტი მოწაფე, 1921-22 წელში კი სწავლობდა 31.000 მოწაფე. მუშათა რაიონებში, ჩვენი გამოანგარიშებით, სასკოლო ასაკის ბავშვები სრულ 100 პროცენტით სწავლობენ სკოლებში, ბაქოს მაზრის სოფლებში,—დაახლოვებით 70 პროც. სოფლად სასკოლო ქსელის განვითარება ფერხდება, მაგალითად, იმ გარემოებით, რომ ხიზანის რაიონში ჩვენ განზრახული გვაქვს საყოველთაო პირველდაწყებითი სწავლების შემოღება, სასკოლო ქსელის საერთო ზრდასთან ერთად, იზრდება თურქული სკოლების და აგრეთვე სომხური და სხვა ეროვნულ უმცირესობათა სკოლების რიცხვი. თურქულ სკოლებში 1921-22 წ. ქალაქსა და მაზრებში სწავლობდა 12.000 მოწაფე, 1927-28 წ. კი - დაახლოვებით 37.000, აქედან 5.600 მეტი ქალია.

ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით სახალხო განათლების სისტემის დაკავშირებას ჩვენი მეურნეობის მოთხოვნილებებთან. ამჟამად ჩვენ გვაქვს 5 ტეხნიკუმი, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენ ძირითად მრეწველობასთან—ნავთის მრეწველობასთან. მეორე საფეხურის სკოლებს ეძლევა პროფესიონალური გადახრა, ბაქოს მაზრის სოფლებში მოწყობილია ორი სკოლა სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო სხრით და ერთი გლეხური ახალგაზრდობის სკოლა, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში წერა-კითხვა შეისწავლა 48.000 კაცმა. მუშათა საერთო განათლების კურსებზე სწავლობს 2.580 კაცი. არსებობს მუშათა უნივერსიტეტი და ახალგაზრდობის საპარასკევო უნივერსიტეტი. ბევრი რამ გააკეთა ბაქოს საბჭომ პატარა ბავშვების მზრუნველობის დარგში, ბაქოს ადგილობრივი განათლების განყოფილებისა და საბავშვო კომისიის სახლებში ამჟამად 2.000 ბავშვია, ამ სახლებში ბავშვებს ასწავლიან სხვადასხვა ხელობას.

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ბაქოს საბჭომ მნიშვნელოვნად გააფართოვა სტაციონარული და საამბულატორიო საექიმო დახმარება. წინად ბაქოში იყო 46 საამბულატორიო კაბინეტი, ამჟამად კი არის 284. ავადმყოფთა საწოლები 810 ნაცვლად არის 2.368. მუშათა მოსახლეობა სარგებლობს სრულიად ახალი სახის საექიმო დახმარებით—დისპანსერებით, სანატორიუმებით და სხ. ბაქოში არის 20 ტუბერკულოზის დისპანსერი, მუშაობს 2 ღამის სანატორიუმი. ბაქოს საბჭომ ამას წინედ დაადგინა აგოს ბაქოში გოგირდის წყალთა და ტალახით სამკურნალო. აგებულია დიდი ქირურგიული საავადმყოფო 400 საწოლით.

უმუშევრობის შესამცირებლად ბაქოს საბჭო აწყობს დიდ საზოგადოებრივ სამუშაოებს, რისთვისაც მიმდინარე წელში გაღებულია 400 ათასი მანეთი. საშუალოდ ამ მუშაობაში ჩაბმულია დაახლოვებით 4.400 კაცი. გაღებულია დიდი თანხა ღამის გათევის სახლის ასაგებად.

სოფლად მუშაობის დარგში, ბაქოს საბჭო მთავარ ყურადღებას აქცევს მელიორაციის საკითხს და ამ საქმისათვის დიდი თანხებს ხდებს.

სოფლებში ეწყობა აგრონომპუნქტები, საკრედიტო ამხანაგობანი და დახმარებას უწევენ ღარიბ გლეხობას.

ის თანხა, რომელიც ბაქოს საბჭოს ბიუჯეტითაა გაღებული სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად, დაახლოვებით 2 მილ. მანეთს უდრის. ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში სოფლად აშენდა 23 ახალი სკოლა და წელს განზრახულია აშენდეს კიდევ 4 სკოლა.

წინად არავითარი საექიმო დახმარება არ ჰქონია ადგილი ბაქოს მაზრაში. ამჟამად არსებობს 16 სამკურნალო პუნქტი, აქედან 8 საავადმყოფოა. აგებულია რამდენიმე საავადმყოფო. ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მაზრაში სწარმოებს დიდი საგზაო მშენებლობა. ბაქო შეერთებულია გზით საგარაკო სოფელ მარდაკიანთან. შემდეგი დიდი გზა იქნება კასპიაზა-კიზლ—ალტი-აგაჩის გზა, რომელიც შეაერთებს ბაქოს მაზრის შორეულ და მივარდნილ კუთხეებთან.

წინანდელი ცნობების მიხედვით, ბაქოს მაზრის სოფლებში იყო 1 პროც. წერა-კითხვის მცოდნე, ამჟამად კი 25 პროცენტია. მნიშვნელოვნად გაცხოველდა საბჭოთა მუშაობა სოფლად.

დასასრულ შევეხები ბაქოს მუშაობის იმ ნაწილს, რომელიც შეეხება წითელ არმიას. ბაქოს მუშებს ყავდათ შეფობაზე აყვანილი ნაწილები, რომელთაც უწევენ კულტურულ დახმარებას. წითელარმიელებისათვის აგებულია საცხოვრებო ყაზარმები, წითელ არმიას გადაეცა 11 სახლი, მოწყობილია წითელი არმიის და ფლოტის სახლი.

მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენის მხრით ჩვენი წითელი არმია ვერ დავაკმაყოფილეთ. წითელი არმიის ათი წლის თავზე საძირკველი ჩაეყარა ორი ახალი სახლის არმიის მეთაურთა შესაფერისობისათვის. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს იქნება მთელი ახალშენის შექმნის დასაწყისი. გარდა იმისა, რომ ბაქოს საბჭო ნივთიერ და კულტურულ დახმარებას უწევს წითელ არმიას, ის აგრეთვე აწარმოებს მუშაობას მოსახლეობისა და პირველ რიგში მუშათა კლასის გასამხედროების მიზნით.

მე ვფიქრობ,—ამთავრებს თავის სიტყვას ამხ. კონუშკინი,—რომ ის გაძლიერებული პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტივობა, რომელსაც ადგილი აქვს ამჟამად მუშათა კლასში, იქნება თავდები ბაქოს საბჭოს შემდგომი წარმატებათა მუშაობისა. (ტაში).

კამათი ამხ. კონუშკინის მოხსენების გარშემო

ამხ. ყარახმედოვის სიტყვა

ამხ. კონუშკინის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში პირველად გამოდის ამხ. ყარახმედოვი (ბაქოს მაზრა). ის აღნიშნავს, რომ მაზრისათვის უმთავრეს საკითხს წარმოადგენს წყალის საკითხი. სესიამ უნდა მისცეს დირექტივა მუშაობის გაძლიერების შესახებ ბაქოს მაზრის მოსარწყავად. სასოფლო-მეურნეობის კოლექტივიზაციის მიზნით უნდა გავაძლიეროთ იმ ღარიბ გლეხთა არტელების მატერიალური დახმარება, რომლებიც ეწყობა ამჟამად ადგილებზე. საგარაკო სოფელ მარდაკიანში, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ბაქოს პროლეტარიატის გაჯანსაღებლად, საჭიროა როგორც საზაფხულო, ისე საზამთრო დასასვე-

(გაგრძელება იხ. მე-2 გვერდზე)

ნებელ სახლების გაფართოება და მუშაობის გაძლიერება ხეების მოსაშენებლად და კეთილმოსაწყობად. საგზაო მშენებლობის დარგში საჭიროა, რომ სოფლები დაუკავშირდეს არა მარტო ბაქოს, არამედ ერთმანეთსაც. ყველა ამ საკითხებმა სათანადო ადგილი უნდა ჰპოვონ დირექტივებში, რომელსაც სესია გამოიტანს ამხ. კონუშკინის მოხსენების მიხედვით.

ამხ. მამედიაროვის სიტყვა

შემდეგი ორატორი ამხ. მამედიაროვი (ბაქოს მაზრა) ლაპარაკობს სოფლის სკოლების სიმცირეზე, რის გამო სასკოლო ასაკის გლეხი ბავშვების დიდი რაოდენობა სკოლის გარეშე რჩება. გლეხების ბავშვებს ხშირად არ ღებულობენ სკოლებში უადგილობის გამო. საჭიროა სასოფლო ქსელის გაფართოება მაზრაში. საჭიროა აგრეთვე საგზაო მშენებლობისა და სამელიორაციო მუშაობის გაძლიერება.

ამხ. კოროლევის სიტყვა

ამხ. კოროლევმა (ბაქო, წყლის ტრანსპორტის მუშაკი) აღძრა საკითხი იმის შესახებ, რომ ბაქოს საბჭომ შეიმუშაოს წყლის ტრანსპორტის დეპუტატებს შორის მუშაობის მეთოდები, ვინაიდან დეპუტატებს, მათი მუშაობის ხასიათის გამო, არა აქვთ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა სექციების მუშაობაში და დაესწრონ ბაქოს საბჭოს პლენუმებს.

ამხ. გაივორონსკის სიტყვა

ამხ. გაივორონსკი, (ბაქო, სურახანის რაიონი) აცხადებს, რომ ბაქოს საბჭო საკმაო ყურადღებას არ აქცევდა ხეების დარგვას და აგრეთვე კულტურულ მუშაობას სურახანის რაიონში. რაიონში ხუთი ათას მუშაზე მოდის ერთი ამბულატორია, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მუშათა მოთხოვნილებებს საექიმო დახმარების დარგში.

ამხ. შაბანოვის სიტყვა

ამხ. შაბანოვი (საქართველო) აღნიშნავს, რომ ბაქოს საბჭოს მიერ ჩატარებული მუშაობა კოლოსალურია, ორატორს აინტერესებს, თუ როგორ ატარებდა ბაქოს საბჭო კულტურულ მუშაობას მუშებს შორის და აგრეთვე ბაქოს საბჭოს საუკეთესო სექციაზე გამოცხადებულ კონკურსის შედეგები. ორატორს საჭიროდ მიაჩნია, რომ საგზაო მშენებლობაში რაც შეიძლება მეტად იქნენ ჩაბმული გლეხები. საქართველოში შრომის საგზაო ბეგარა საუცხოვოდ ტარდება. სკოლებისა და საექიმო პუნქტების რაოდენობა ბაქოს მაზრაში ამხ. შაბანოვს არ მიაჩნია საკმაოდ.

ამხ. შაბანოვის გამოსვლის შემდეგ, სესიის პირველი სხდომა დაიხურა.

13 მარტის საღამოს სხდომა

ბაქო, 13 მარტი. ამიერ-კავკ. ცაკის 13 მარტის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. კონუშკინის მოხსენების გარშემო.

ამხ. ეფენდიევის სიტყვა

ამხ. ეფენდიევი (სომხეთი) ამბობს: „უდავოა, რომ ბაქოს საბჭოს თავის მუშაობაში დიდი მიღწევები აქვს. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ბაქოს საბჭოს მუშაობაში მონაწილეობას იღებს, 3.000 მუშა. მაგრამ მიღწევებთან ერთად ადგილი აქვს ნაკლსაც, რაზედაც მე მინდა შევჩერდე. პირველი—ესაა უმუშევრობის საკითხი. ბაქოს საბჭომ თავის შემდგომ მუშაობაში გაცილებით მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ამ საკითხს. მეორე საკითხი—სახალხო განათლებაა. მე ვფიქრობ, რომ ბაქოს სკოლების ტიპი არ შეეფერება თავის დანიშნულებას. მე [illegible], რომელიც ძალიან ბევრია ბაქოში“.

ამხ. ეფენდიევი ფიქრობს, რომ ბაქოს საბჭოს ამოცანას სახალხო განათლების დარგში უნდა შეადგენდეს ისეთი მუშაკების მომზადება, რომლებიც შეეფერებიან ბაქოს სამეურნეო მდგომარეობას. ბაქოს საბჭოს მუშაობა სპარსელებს შორის არაა საკმაო. ისინი, როცა დაბრუნდებიან სამშობლოში, კარგად უნდა იცნობდნენ მთელ ჩვენ მუშაობას და ყველა ჩვენ მიღწევებს.

ამხ. ხანფერიანის სიტყვა

ამხ. ხანფერიანიც (სომხეთი) პირველ რიგში ეხება უმუშევრობის საკითხს. გადადის რა სოფლის დიფერენციაციის საკითხზე, ამხ. ხანფერიანი ამბობს, რომ არ კმარა მარტო ის, რომ კულაკები არ სარგებლობენ ხმის უფლებით და გარიყული არიან პოლიტიკურად. საჭიროა კულაკებს წაერთვას გადამწყვეტი ხმის უფლება სოფლის საზოგადოებაში და ყრილობებზე. ჯანმრთელობის დაცვის დარგში ბაქოს საბჭომ ცოტა დაუთმო სოფელს. 1927—28 წ. მუშათა რაიონები ჯანმრთელობის დაცვისათვის ღებულობენ 2.800.000 მან., მაზრები კი —მხოლოდ 360.000 მან. საჭიროა მეტი თანხების გადადება მაზრების ჯანმრთელობის დაცვისათვის.

ამხ. ვართანიანის სიტყვა

ამხ. ვართანიანი აღნიშნავს ქალების არა საკმაო რაოდენობას სკოლებში. 5.000 ქალი 27.000 მოსწავლედან—ცოტაა. საჭიროა ქალების რაოდენობის გადიდება სკოლებში, ქალების მიზიდვა სკოლებში მარტო პროპაგანდით შეუძლებელია. გლეხები—პრაქტიკული ხალხია და სანამ ისინი არ დარწმუნდებიან რომ საბჭოთა სკოლა გლეხ-ქალს აძლევს პრაქტიკულ ცოდნას, მანამ გლეხი არ მიაბარებს თავის ქალიშვილს სკოლაში.

ამხ. ბოლქვაძის სიტყვა

ამხ. ბოლქვაძე ფიქრობს, რომ ამხ. კონუშკინმა ძალიან ცოტა ილაპარაკა ბაქოს საბჭოს იმ მიღწევებზე, რომელთაც უეჭველად აქვთ ადგილი და რომელთა შესახებაც გაუგონართ სხვა რესპუბლიკების მუშაკებს.

ამხ. ბოლქვაძე ჩამოთვლის მთელ რიგ საკითხებს და სთხოვს მომხსენებელს გააშუქოს ისინი საბოლოო სიტყვაში.

ამხ. კრილოვას სიტყვა

ამხ. კრილოვა ამბობს, რომ ბაქოს საბჭოს მუშაობის ერთ-ერთ სუსტ მხარეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ბაქოს საბჭოს აპარატში ცოტაა მუშები: 1.600 თანამშრომლებიდან მუშები მხოლოდ 280 კაცია. ბაქოს საბჭოს ბიუჯეტში სათანადო ადგილი არა აქვს დათმობილი იმ განყოფილებებს, რომლებიც დაკავშირებულია ყოფა-ცხოვრების საკითხებთან. ჩვენ მილიონებს ვხარჯავთ საექიმო დახმარებაზე, ხოლო დედობისა და ბავშვობის დაცვის საქმე ისეა დაყენებული, რომ დაზღვეულთა ბავშვების მოთხოვნილებებიც არ კმაყოფილდება სავსებით. ბაქოს საბჭო საკმაო ყურადღებას არ აქცევს აგრეთვე ისეთ საკითხებს, როგორიცაა ალკოჰოლიზმი, პროსტიტუცია და ვენერიული სნეულებანი.

„ბაქოში, ჩემის აზრით,—ამბობს ის,—აუცილებლად უნდა შეიქმნეს შრომის პროფილაქტორიუმი. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის—განაპირა რესპუბლიკებისათვის—კულტურულ რევოლიუციის საკითხებს. დასახასიათებლად ძველ ყოფას ყველაზე მეტად აქვს ფესვი გადგმული ჩვენი თურქი ქალის ცხოვრებაში, ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ძველ ყოფაცხოვრებას, მაგრამ ამისათვის საჭიროა საშუალებები, რომლებიც ჩვენ არ მოგვეპოება. ბაქოს საბჭომ უნდა მოგვცეს ეს საშუალებანი“.

ამხ. გაზარიანის სიტყვა

ამხ. გაზარიანი ეხება ბაქოს კეთილმოწყობის საკითხს. ნაკლს ბაქოს კეთილმოწყობაში, ორატორის აზრით, ის გარემოება წარმოადგენს, რომ ბაქოს სხვადასხვა რაიონებში პროპორციონალურად არაა დარგული ხეები. ორატორს საჭიროდ მიაჩნია, რომ ბაქოს საბჭომ მეტი ყურადღება დაუთმოს სოფლად მუშაობას, ვინაიდან ბაქო წარმოადგენს მსხვილ სამრეწველო ცენტრს და ჩვენს ამოცანას შეადგენს მოვსპოთ წინააღმდეგობანი ქალაქსა და სოფელს შორის, სწორედ მსხვილი სამრეწველო ცენტრების რაიონებში.

ამხ. მუხტარ ფატალის სიტყვა

ამხ. მუხტარ ფატალი (ბაქო) ლაპარაკობს ბიუროკრატიზმთან და კერძო ვაჭრებთან ბრძოლის აუცილებლობაზე. ორატორს საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე წყალის ტრანსპორტისა და საგზაო მშენებლობის გაძლიერება.

ამხ. ბალაბანოვის სიტყვა

ამხ. ბალაბანოვი აღნიშნავს, რომ კარგად არაა მოწყობილი რაიონების ქურდ-ბაცაცებისაგან დაცვის საქმე. ორატორი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ თუმცა უპატრონო ბავშვების მზრუნველობის დიდძალი ფული იხარჯება, მაგრამ ბავშვების მეთვალყურეობის საქმე ძალიან ცუდადაა დაყენებული, რის გამო ბავშვები მასიურად გარბიან სახლებიდან.

ამხ. პერუშინის სიტყვა

ამხ. პერუშინი (ბაქო) ამბობს, რომ ბაქოს საბჭომ სოფლად გაცილებით უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე რაიონებში. წინად ბაქოს მაზრაში იყო სულ—2 სკოლა, ამჟამად კი 80 სკოლაა, ჩვენ დღემდე კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს. მიუხედავათ იმისა, რომ ბაქოში ორი ძლიერი ელსადგურია, ქალაქის განაპირა უბნები არაა განათებული. ჩვენ გაგვყავს საბუნჩის ელექტრონის რკინის გზა, წყალსადენი, კანალიზაცია და ამ საქმისათვის აღებული გვაქვს ვალები, რომლის გასტუმრებაც არ შეგვიძლია. მარტო საბუნჩის ელექტრონის რკ. გზის გასაყვანად ავიღეთ 5 მილ. ვალი. არსებით ჩვენ არა გვაქვს ადგილობრივი მრეწველობა ეს მრეწველობა უნდა შევქმნათ ახალ საწარმოთა აშენებით და რესპუბლიკანური მრეწველობის საწარმოთა გადაცემით და განაწილებით.

კომუნალური მეურნეობის ნაკლს შეადგენს ის გარემოება, რომ ამიერ-კავკასიაში არსებობს ორგანიზაციული ცენტრი, რომელიც საერთო ხელმძღვანელობას გაუწევდა კომუნალურ საწარმოთა მუშაობას.

ამხ. მამედ ალას სიტყვა

ამხ. მამედ ალა (ბაქოს მაზრა) აღნიშნავს, რომ ნავთის საწარმოთა გაფართოება უმთავრესად სწარმოებს სოფლების შემცირების ხარჯზე. ამიტომ ჩვენს წინაშე ისმება ბაქოს მაზრის სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციის ამოცანა. თუ ჩვენ არ განვავითარებთ სასოფლო მეურნეობას, მაშინ ჩვენ მოგვიხდება ბაქოს მაზრის მცხოვრებთა გადასახლება.

ოცდაათი წელი

ჩვენს პარტიას შეუსრულდა 30 წელი. თავისი წარმოშობის დღიდან პარტია მოექცა უაღრესად გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლის რკალში. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოში უდიდესი ცვლილებები მოხდა მეფის რუსეთის სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობაში. სწორედ ამ პერიოდში სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებამ გიგანტური ნაბიჯი გადასდგა წინ, რამაც გამოიწვია რუსეთის მთელი სოციალურ-ეკონომიური გეოგრაფიის შეცვლა. ჩამოყალიბდა მთელი რიგი ახალი უმნიშვნელოვანესი სამრეწველო რაიონი, გაწახლდა და გაიზარდა ძველი სამრეწველო რაიონები.

შეგნებულ კლასობრივ ბრძოლისთვის გამოღვიძება დაიწყო პროლეტარიატმა, რომელსაც სათავეში უდგა მსხვილ წარმოებებში თავმოყრილი ინდუსტრიალური კადრები. პროლეტარიატის პირველმავე სერიოზულმა გამოსვლებმა კლასობრივი ბრძოლის ასპარეზზე უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენების ხასიათი მიიღო.

ბრძოლა კაპიტალსა და მუშათა კლასს შორის მუშათა მოძრაობის დასაწყისიდანვე მწვავე ხასიათს ატარებდა, იმიტომ, რომ მუშათა კლასი რუსეთში განსაკუთრებით სასტიკ ექსპლოატაციას განიცდიდა. რუსეთის მრეწველთა სახით მას ჰყავდა ულმობელი, კონსერვატიული, ველური მტერი.

პროლეტარიატსა და კაპიტალს შორის არსებულ მწვავე წინააღმდეგობას შეეფერებოდა უაღრესად მწვავე წინააღმდეგობა მშრომელ გლეხობასა და მემამულეთა შორის, რომელიც ხელისუფლების სათავეში იდგა. ამასთანავე ერთად, გლეხობაში ხდებოდა სოციალურ ფენებად დაყოფა და ისახებოდა კლასობრივი ბრძოლის ახალი ფორმები.

ამ წინააღმდეგობებს ზედ ერთოდა წინააღმდეგობა მეფის დიდმპყრობელურ შოვინიზმსა და დაჩაგრულ ერების განთავისუფლებელ მისწრაფებათა შორის.

დაბოლოს, ერთგვარი, მართალია, მეტად უმნიშვნელო აქტივობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გამოიჩინა ლიბერალურმა ბურჟუაზიამ, რომ არაფერი ვსთქვათ ინტელიგენციაზე, რომლის წრეებში ხდებოდა სხვადასხვა პოლიტიკურ მიმდინარეობათა გამიჯვნა.

ერთის სიტყვით, პროლეტარიატის პარტია ჩამოყალიბდა სხვადასხვა ხაზებით სოციალურ წინააღმდეგობათა გამწვავების პერიოდში, ურთულეს კლასობრივ ურთიერთობის პირობებში.

ამ რთულ პირობებში პროლეტარიატი ვერ გახდებოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რევოლუციონური ბრძოლის [illegible] ჰეგემონათ თავისი კლასობრივი სახის დაუკარგავათ, რომ ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატიული პარტია თავისი არსებობის პირველი დღიდანვე არ დამდგარიყო ორგანიზაციის ბოლშევიკურ პრინციპების ნიადაგზე.

მოუწოდებდა რა სოციალ-დემოკრატიულ წრეებს მუშათა მასებთან მტკიცე კავშირის გაბმისაკენ, ლენინი პირველ ყრილობამდე მიაქცევდა სოციალ-დემოკრატების ყურადღებას იქეთკენ, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს დაქსაქსულობას და შეიქმნეს სრულიად რუსეთის მთლიანი პარტია. ის 1897 წელს ბროშურაში „სოციალ-დემოკრატების ამოცანები“ სწერდა:

„რუსეთის სოციალ-დემოკრატებს ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი გამოღვიძებულ პროლეტარიატის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დარგში, მუშათა მოძრაობის ორგანიზაციისა და რევოლუციონურ ჯგუფების და მათი ურთიერთ კავშირის განმტკიცების საქმეში, მუშებისათვის საპროპაგანდო და საგიტაციო ლიტერატურის მიწოდებისა და რუსეთის ყველა კუთხეებში დაქსაქსულ მუშათა წრეების და სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გაერთიანების საქმეში“.

პარტიის პირველმა ყრილობამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა 30 წლის წინად საფუძველი ჩაუყარა პარტიის ორგანიზაციას.

ლენინი და რევოლუციონურ სოციალ-დემოკრატიის სხვა საუკეთესო წარმომადგენლები იბრძოდნენ პარტიის ჩამოყალიბებისა და განმტკიცებისათვის. მათ ისეთი წარმოდგენა ჰქონდათ პროლეტარულ პარტიაზე, როგორიც არის ამჟამად განმტკიცებული ყველა ქვეყნის კომუნისტების შეგნებაში. პარტია თავის ბრძოლაში უნდა ხელმძღვანელობდეს განსაზღვრული, პარტიის ყველა წევრებისათვის სავალდებულო რევოლუციონური პროგრამით. თავისი პოლიტიკური ხაზის და ტაქტიკური ლოზუნგების გატარების დროს ის მოქმედებს, როგორც მთლიანი ერთეული. ის პარტიის თვითეულ წევრისაგან მოითხოვს პარტიულ დისციპლინისთვის დამორჩილებას. ის თავისი არსებობის პირველ დღიდანვე წარმოადგენს დისციპლინით აღჭურვილ მებრძოლ ერთეულს მთლიანი იდეოლოგიით, მთლიანი ტაქტიკით და მთლიანი ყველასათვის სავალდებულო საორგანიზაციო პრინციპებით.

პირველმა ყრილობამ ვერ შესძლო ყველა მის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრა, ვერ შესძლო პროლეტარული პარტიის ორგანიზაციის პრინციპების ჩამოყალიბება მკაფიოდ და კონკრეტულად. მაგრამ მისი მუშაობა საერთოდ და მთლიანად მიმდინარეობდა იმ ხაზით, რომელსაც ჩვენ უწოდებთ ბოლშევიკურს.

ტყუილად კი არ აფასებდა ლენინი ამ ყრილობას, როგორც „უდიდეს ნაბიჯს წინ“, პროლეტარიატის რევოლუციონური ორგანიზაციის კონსოლიდაციის და განმტკიცების თვალსაზრისით.

ეხლა, 30 წლის შემდეგ, თვალს ვადევნებთ რა განვლილ გზას, ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ პროლეტარული პარტიის ორგანიზაციის პრინციპები, რომლებიც ლენინმა წამოაყენა ჯერ კიდევ პარტიის ჩასახვის პერიოდში, სავსებით და მთლიანად გამართლდა.

რასაკვირველია, პროლეტარიატის დიქტატურის ხელმძღვანელი პარტია ამჟამად კომუნიზმისათვის იბრძვის სრულებით სხვა პირობებში, ვინემ იბრძოდა რევოლუციონური სოციალ-დემოკრატიის რაზმები პირველი ყრილობის პერიოდში.

სხვა ამოცანები, სხვა გენერალური ლოზუნგები, ბრძოლის სხვა მეთოდები.

მაგრამ არ გამქრალა კლასები და კლასობრივი ბრძოლა თვით ქვეყნის შიგნითაც კი, რომ აღარაფერი ვსთქვათ კლასობრივ ბრძოლაზე საერთაშორისო მასშტაბით. არ გამქრალა სოციალურ ურთიერთობის სიჭრელე და სირთულე პროლეტარული დიქტატურის ქვეყანაში, რომელიც ოდესღაც მსოფლიო რეაქციის ქვაკუთხედს წარმოადგენდა. სხვადასხვა სამეურნეო ფორმების არსებობას თანსდევს სოციალურ ურთიერთობის სხვადასხვა სისტემათა თანარსებობა.

პროლეტარული პარტია ყოველ წუთს მზად უნდა იყვეს სხვა კლასების და სოციალურ ჯგუფების ზეგავლენის წინააღმდეგ ბრძოლისთვის.

პარტია ხელმძღვანელობს პროლეტარიატის სოციალისტურ დიქტატურას ქვეყანაში შედარებით მცირე რიცხოვან მუშათა კლასით, ურთულეს პირობებში, იმპერიალიზმის თავდასხმის მუდმივი საფრთხის პირობებში.

და თუ ლენინის პარტია ასეთ პირობებში იმარჯვებს და ამტკიცებს თავის მიღწევებს, ეს უმთავრესად აიხსნება მით, რომ მასში სცოცხლობს ბოლშევიკური ორგანიზაციის, რევოლუციონური მარქსიზმის და ლენინურ იდეურ მთლიანობის სული. რომ მთელი პარტია მუშაობს მთლიანი პოლიტიკური ხაზის განხორციელებაზე, რომ მტკიცე და ურყევია ბოლშევიკური დისციპლინა. ის გარემოება, რომ პარტია აგებულია, როგორც რევოლუციონური პროლეტარიატის მებრძოლი ორგანიზაცია, არის ჩვენი ლენინური პარტიის სიმტკიცის უდიდესი გარანტია და ამასთანავე ერთად საუკეთესო მაგალითი მოძმე კომპარტიების აღსაზრდელად ლენინურ პრინციპებზე.

პარტია შედის თავისი რევოლუციონური ბრძოლის მეოთხე ათეულ წელში მტკიცე რწმენით კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებაში, რომელსაც ის ხელს შეუწყობს დაყრდნობილი ოცდაათი წლის პოლიტიკურ გამოცდილებაზე.

„პრავდა“, 14 მარტი.

ამხ. კონუშკინის საბოლოო სიტყვა

ამხ. მამედ ალას გამოსვლის შემდეგ კამათი სწყდება და საბოლოო სიტყვით გამოდის ამხ. კონუშკინი.

ამხ. კონუშკინი თავის საბოლოო სიტყვაში ჩერდება იმ საკითხებზე, რომლებიც აღძრულნი იყო კამათში გამოსულ ამხანაგების მიერ.

„უწინარეს ყოვლისა,—ამბობს ამხ. კონუშკინი,—სოფლად მუშაობის შესახებ. ბაქოს მაზრის სოფლებში მხოლოდ 8,000-დე გლეხის ოჯახი მისდევს წმინდა სასოფლო მეურნეობას. ბაქოს საბჭო უმთავრეს ღონისძიებებს მიმართავდა იქითკენ, რომ მოეგვარებინა წყლის საკითხი, ვინაიდან ესაა მთავარი საკითხი სოფლისათვის. ამ მხრით ბაქოს მაზრის სოფლები მეტად ცუდ პირობებშია. ზოგ ადგილას წყალი არამც თუ მოსარწყავად, დასალევადაც არ კმარა. მაზრის სასოფლო მეურნეობის სათანადო მიმართულებით განვითარებას ჩვენ მხოლოდ მაშინ შევძლებთ, როცა მას უზრუნველყოფთ წყლით. აქ ამხანაგებს აინტერესებდათ საკითხი, თუ როგორი ხასიათი აქვს ჩვენ სასოფლო მეურნეობას.

ჩვენი მეურნეობა უმთავრესად ხორბლეული კულტურის მეურნეობაა.

მე ვეთანხმები იმ ამხანაგებს, რომლებიც ამბობდენ, რომ ბაქოს საბჭოს მუშაობაში ადგილი აქვს ნაკლს და რომ მან ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთოს. მაგრამ მე არ ვეთანხმები იმ ამხანაგებს, რომლებიც ამბობდნენ, რომ ჩვენ, თითქოს, არაფერი არ გაგვიკეთებია სოფლისათვის. ეს არაა მართალი. ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში, როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენ მარტო საგზაო მშენებლობაზე დავხარჯეთ 1.800.000 მან. 3—4 წლ. განმავლობაში ჩვენ სოფლებში ავაშენეთ 28 სკოლა.

ამხ. კონუშკინი ჩამოთვლის კიდევ მთელ რიგ მიღწევებს სოფლად მუშაობის დარგში და შემდეგ გადადის უმუშევრობის საკითხზე.

„უმუშევრობასთან ბრძოლის საკითხებს, ამბობს მომხსენებელი,—ზოგიერთი უკავშირებდა სოფლად მუშაობის საკითხებს და აღნიშნავდენ, რომ რამდენადაც სუსტია სოფლად მუშაობა, იმდენად ძლიერდება უმუშევართა დენა ბაქოსაკენ. როგორც ჩანს ამხანაგებმა მე ვერ გამიგეს. ბაქოს აწუხებს უმუშევართა დენა არა ბაქოს მაზრის სოფლებიდან, არამედ საბჭოთა კავშირის სოფლებიდან.

ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ ჩვენ საკმაო ყურადღებას არ ვაქცევდით უპატრონო ბავშვებს. მე უნდა განვაცხადო, რომ ჩვენ ვაკეთებდით ყოველივე იმას, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა ამ დარგში. ამჟამად ქუჩიდან აყვანილ ბავშვთა 50 პროც. სწავლობს სხვადასხვა ხელობას—დურგლობას, ზეინკლობას და სხ.

დროის უქონლობის გამო, ჩემ მოხსენებაში მე არ შევხებივარ კოოპერაციის საკითხს. ჩვენი კოოპერაცია ამჟამად აკმაყოფილებს მუშის ბიუჯეტს 70 პროცენტით რაიონებში და 60 პროც.—ბაქოში. ჩვენი კოოპერაციის ბრუნვა 1926—27 წ. უდრის 80 მილ. მან.

რა თქმა უნდა, ბაქოს საბჭო აწარმოებს კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას. ეს მუშაობა სწარმოებს საერთო განათლების კურსების ხაზით, კავშირის მუშაობისა და ქალთა შორის მუშაობის ხაზით.

დასასრულ, მუშათა დაწინაურების შესახებ ბაქოს საბჭოს აპარატში. რა თქმა უნდა, რაც უფრო მეტი მუშები იქნება აპარატში, მით უკეთესია, მაგრამ ამჟამად ბაქოს საბჭოს აპარატში 40 მუშას უკავია საპასუხისმგებლო თანამდებობა. საბჭოს მეცხრე მოწვევის პერიოდში ჩვენ საპასუხისმგებლო მუშაობაზე წამოვაყენეთ კიდევ 17 მუშა. ამჟამად ჩვენ განზრახული გვაქვს დავაწინაუროთ კიდევ 10 მუშა“.

ამხ. კონუშკინის საბოლოო სიტყვის შემდეგ სესია ერთხმად ღებულობს წინადადებას მოიწონოს ბაქოს საბჭოს მიღწევები. მოხსენების მიხედვით პრაქტიკული წინადადებების შესამუშავებლად არჩეულია კომისია 10 მუშის შემადგენლობით.

მისალმებები სესიას

შემდეგ სესიას მიესალმენ წყალზე მომუშავეთა ბაქოს სარაიონო კონფერენციის დელეგაცია, ქალ. ბაქოს და მისი რაიონების ინჟენერ-ტეხნიკოსთა საერთო კრებისა, ბიბიეიბატის მუშა-მოსამსახურეების და კომკავშირის ბაქოს საქალაქო კონფერენციის დელეგაციები.

ინჟენერ-ტეხნიკოსთა საერთო კრების წარმომადგენელმა ამხ. უდალოვმა, განაცხადა რა პროტესტი ეკონომიური კონტრ-რევოლუციის გამო დონის ოლქში, სთქვა:—„ჩვენ კატეგორიულად ვიმიჯნებით საბჭოთა კავშირის მრეწველობის დეზორგანიზატორებისაგან“.

სესიის პრეზიდიუმის სახელით საპასუხო მისალმებელი სიტყვით გამოდის ამხ. ჟანო სტურუა. უპასუხებს რა ინჟენერ-ტეხნიკოსთა საერთო კრების მისალმებაზე, ამხ. სტურუა, სხვათა შორის ამბობს: „მეცნიერება ჩვენ გვჭირდება ჩვენი მრეწველობის განვითარებისათვის, მეცნიერება და შრომა ხელიხელ ჩაკიდებული უნდა მუშაობდნენ. ეს, რა თქმა უნდა, ესმით ჩვენ ინჟენერებსა და ტეხნიკოსებს. როგორც ამბობენ თითო მახინჯი ყველგან გამოერევა. დონბასში აღმოჩენილია კონტრ-რევოლუციონური ეკონომიური შეთქმულება. შეთქმულების მონაწილენი, რა თქმა უნდა, შეხვდებიან სასჯელს [illegible] მუშურ-გლეხური ხელისუფლებისაგან. მნიშვნელობა აქვს იმას რომ მთელმა შრომამოყვარე კოლეგა—ინჟენერებმა და ტეხნიკოსებმა, კერძოთ იმათ, რომლებთა სახელითაც აქ ილაპარაკეს, მიიღონ ყოველგვარი ზომები, რათა თავისი წრიდან აღმოფხვრან ასეთი ელემენტები. ჩვენი გამარჯვების თავდებს წარმოადგენს სპეციალისტების კადრებისა და მუშების გაერთიანება“.

ამხ. სტურუას გამოსვლის შემდეგ, სესიამ გამოჰყო დელეგაცია, რომელიც უნდა მიესალმოს კომკავშირის ბაქოს ორგანიზაციის კონფერენციას.

ამხ. ბარინოვის მოხსენება აზნავთის მიღწევებისა და პერსპექტივების შესახებ

ბაქოს ნავთი უდიდეს როლს ასრულებს მსოფლიო პოლიტიკაში. ჩვენი ნავთი გადის არა მარტო დასავლეთ ევროპაში, არამედ ამერიკასა და ინდოეთშიაც. მისი გაყიდვა ინდოეთში საშინლად აბოროტებს ინგლისელ კაპიტალისტებს. მაგრამ ბაქოს ნავთის მრეწველობა უძლიერესი იარაღია საბჭოთა კავშირის მსოფლიო პოლიტიკაში. წინანდელი მფლობელებისაგან ჩვენ მივიღეთ გაოხრებული მეურნეობა.

1920—21 წელს ბაქოში სულ ამოღებულ იქნა 150 მილიონი ფუთი (2 ნახ. მილიონი ტონა) ნავთი. 8 წლის განმავლობაში ჩვენ მივაღწიეთ უდიდეს წარმატებას, 1926—27 საოპერაციო წელს ამოვიღეთ 6.809.710 ტონა ნავთი, ხოლო გაზი 159.790 ტონა. 1913 წელთან შედარებით ამოღებული ნავთის რაოდენობა შეადგენს 92,6 პროცენტს, მაგრამ უკანასკნელ წლებში მიაღწია და გადააჭარბა კიდეც 1913 წლის თვიურ რაოდენობას. ხოლო მოპოვებული გაზის რაოდენობა 1913 წელთან შედარებით 6-ჯერ და კიდევ უფრო მეტად გაიზარდა; 1926—27 წელს დამუშავებულ იქნა 208,3 ათასი ტონა, 1913 წელს კი 23,8 ათასი ტონა, ე.-ი. 9-ჯერ მეტი. მოხდა აგრეთვე ჭების ბურღვის რაციონალიზაცია. ბაქოს სარეწაოებში შემოღებულ იქნა ელექტროფიკაცია. 1923—24 წელს ელექტრომოტორებით მოწყობილი ჭების რაოდენობა 71 პროცენტს შეადგენდა, 1926—27 წელს კი 92,9 პროცენტს უდრიდა. სამი წლის განმავლობაში ელექტრომოტორიანი ჭების რიცხვი თითქმის ორჯერ გაიზარდა. შემოღებულმა რაციონალიზაციამ გააუმჯობესა გაზისა, ბენზინისა და კეროსინის დამუშავების წესი. აზნავთის ტრანსპორტი მთლად შექმნილია მისი ნაციონალიზაციის შემდეგ. აზნავთი თითქმის მთელ თავის მოგებას სახელმწიფოს აძლევს, მან ოთხი წლის განმავლობაში 124 მილიონი მანეთით მეტი მისცა სახელმწიფოს, ვიდრე მიიღო. ნავთის პროდუქტების თვითღირებულება თანდათან მცირდება; ამავე დროს იზრდება აზნავთის მოგება: 1923—24 წელს მოგება უდრიდა 12.659.7 ათას მანეთს, 1924—25 წელს 18.684,4 ათას მანეთს, 1925—26 წელს—21.822,6 ათას მანეთს, 1926—27 წელს—35.170,8 ათას მანეთს. ნავთის პროდუქტების რეალიზაციის შესახებ შემდეგი უნდა ითქვას. შინაურ ბაზარზე გავიდა: 1923—24 წელს 2.662.675 ტონა, 1924—25 წელს—3.018.489 ტონა, 1925—26 წელს 3.688.386 ტონა, 1926—27 წელს 4.491.876 ტონა, 1927—28 წელს გეგმის მიხედვით გასაღდება 4.629.385 ტონა. დიდად გაიზარდა ჩვენი ნავთის ექსპორტი უკანასკნელ წლებში, მან უკან დასტოვა ომამდე გატანილი ნავთის რაოდენობა. 1923—24 წელს ჩვენ გავიტანეთ საზღვარგარეთ 530.523 ტონა, 1926—27 წელს 1.495.909 ტონა ანუ 282 პროცენტით მეტი, 1923—24 წელთან შედარებით, ხოლო გეგმის მიხედვით 1927—28 წელს უნდა გავიტანოთ 2.160.127 ტონა, ანუ 4-ჯერ მეტი, ვიდრე 1923—24 წელს. 1913 წელთან შედარებით 1927—28 წელს ჩვენ უნდა გავიტანოთ 3,5-ჯერ მეტი. აბსოლუტური ციფრები რომ ავიღოთ, 4 წლის განმავლობაში ჩვენი ექსპორტი შემდეგ სურათს წარმოადგენს: სულ 1923—24 წლიდან 1926—27 წლამდე რეალიზაციაქმნილია 3.083.200 ტონა (ანუ 230 მილიონ ფუთზე მეტი), რომლის ფასი 155.429.250 მანეთს უდრის.

ყველამ კარგად იცის, თუ უკანასკნელ ხანებში რა გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებენ ერთმანეთს შორის ნავთის მსოფლიო კონცერნები გამსაღებელი ბაზრებისათვის. საბჭოთა კავშირის მტრები უკანასკნელ ძალღონეს ხმარობენ, რომ ჩაშალონ ჩვენი ნავთის ექსპორტის საქმე; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენი ნავთის ნაწარმოებთა გატანა საზღვარგარეთ წლითი წლობით იზრდება და გამსაღებელი ბაზრები თანდათანობით ფართოვდება. საბჭოთა კავშირის მტრები ამბობენ, ვითომც შინაური ბაზრისათვის ნავთს ცოტას უშვებთ, იმ მიზნით, რომ მეტი გავიტანოთ საზღვარგარეთ. ეს, რასაკვირველია, მართალი არაა. შინაურ ბაზარს გეგმაშეწონილად ვაწვდით ნავთს, მისი რეალიზაცია ჩვენი ქვეყნის ფარგლებში წლითი-წლობით იზრდება. მაგალითად 1923—24 წელს ჩვენ შინაურ ბაზარზე გამოუშვით 2.662.675 ტონა ნავთის პროდუქტი, 1926—27 წელს კი უკვე 4.491.876 ტონა, ანუ 169 პროცენტი 1923—24 წელთან შედარებით, ხოლო 1927—28 წელს გეგმის მიხედვით უკვე 4.629.385 ტონის რეალიზაცია უნდა მოვახდინოთ. მეტად დამახასიათებელია ნავთის ძირითადი პროდუქტების ფასებს შედარება ომის წინადროინდელ ფასებთან (100 კილოგრამებად და მანეთებად):

	1927 წ. 1 იანვ.	1913 წ.	1913 წ. შედარებით დაკლებულია.
სათბობი მაზუთი	2,07	2,52	7,9 პრ.
კეროსინი	3,17	3,47	8,7 პრ.
მანქანის ზეთი	8,95	9,90	9,6 პრ.

ეს შედარება გვიჩვენებს, რომ ნავთის მრეწველობა თავის პროდუქციას უფრო იაფად უშვებს, ვიდრე ომამდე იყო. ამავე დროს ნავთის მრეწველობისათვის საჭირო მასალა საგრძნობლად გაძვირდა.

დიდი ყურადღების ღირსია მუშათა საკითხი. 1926 წლის 1 ოქტომბრისათვის აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობაში დაბანდებული იყო 45.479 კაცი, 1927 წლის 1 ოქტომბრისათვის —45.503 კაცი. მაშასადამე, განვლილი საოპერაციო 1926—27 წლის განმავლობაში მუშაკების საერთო რიცხვი თითქმის უცვლელი დარჩა. წარმოების ცალკე დარგებში კი საგრძნობი ცვლილება მოხდა. მაგალითად, სარეწაოების ჯგუფებში 1926 წლის პირველ ოქტომბრისათვის მუშაობდა 19.905 კაცი, 1927 წლის 1 ოქტომბრისათვის კი 17.424 კაცი, ე. ი. შემცირდა 12,5 პროცენტით. ამავე დროს გაფართოვდა მუშაობის მასშტაბი: 1926 წლის ოქტომბერში 2. 460 საექსპლოატაციო ჭა იყო, 1927 წლის ოქტომბერში კი 3.106 ჭა, ე. ი. 26,3 პროცენტით მეტი. მუშათა რიცხვის შემცირება მოხერხდა რაციონალიზაციის წყალობით. თვითეულ ჭაზე 1926 წლის ოქტომბერში მოდიოდა 7,8 კაცი, 1927 წლის ოქტომბერში 5,7 კაცი. ჭების ბურღვაზე მომუშავეთა რიცხვი გაიზარდა 9.292-დან 11.666-დე, ე. ი. 25,5 პროცენტით. ეს აიხსნება იმით, რომ კერძო მოიჯარადრეების მუშა ხელი—დაახლოებით 1.800 კაცი—შევიდა ბურღვაზე მომუშავეთა რიცხვში. მაგრამ ამასთანავე ერთად გაფართოვდა საბურღი მუშაობის მასშტაბიც. ნავთის გადასამუშავებლად მუშაობის მასშტაბიც. ნავთის გადასამუშავებელ ქარხნებში მუშათა რიცხვი შემცირდა, თუმცა მათი დატვირთვა გაიზარდა. ასეთივე შემცირება მოხდა აგრეთვე წარმოების სხვადასხვა დარგში. საერთოდ, 1926—27 წელს წარმოების ზრდასთან ერთად ჩვენ ვხედავთ, რომ მუშა ხელი ან შემცირდა, ან უცვლელი დარჩა. მუშა ხელის რიცხვის ცვლილება აზნავთის ნაციონალიზაციის შემდეგ ასეთია: 1920 წელს მუშაობდა 28.067 კაცი, 1925 წელს წარმოების აღდგენისა და გაფართოების გამო მუშაობდა 50.204 კაცი. 1925 წლიდან კი წარმოების რაციონალიზაციის წყალობით მუშათა რიცხვმა შემცირება იწყო. 1913 წელს ბაქოს ნავთის მრეწველობაში მუშაობდა დაახლოებით 65.000 კაცი. მაშასადამე ამჟამად წარმოებაში მომუშავეთა რიცხვი ჯერ კიდევ ძალიან ჩამორჩება ომის წინადროინდელ რიცხვს, მაშინ როდესაც ზოგიერთი დარგის წარმოება აღემატება ომამდე არსებულ დონეს, ზოგი კი პირისპირ უახლოვდება.

აზნავთის მუშის საშუალო თვიური ხელფასი 1923—24 წელს უდრიდა 45 მან. 90 კაპ., 1925—26 წელს 70 მან. 04 კაპ., ხოლო 1926—27 წელს—76 მან. 28. მეტად დამაკმაყოფილებელი შედეგი გამოიღო შრომის გაჯანსაღებისათვის გაწეულმა მუშაობამ, რაზედაც სულ დაახლოებით 7.000.000 მანეთი დაიხარჯა.

მომავლისათვის უნდა გავაღრმავოთ და გავაძლიეროთ მუშაობის რაციონალიზაცია აზნავთის მრეწველობაში. აზნავთის ხუთწლიანი გეგმის მიხედვით ამოღებული ნავთის რაოდენობა 1927—28 წელს უნდა უდრიდეს 7.704.000 ტონს, 1931—32 წელს 10.164.000 ტონა, ხოლო ხუთი წლის განმავლობაში 45.356.000 ტონა. ფართოდ სწარმოებს ახალი ნავთიანი ადგილების გამოკვლევა.

ჩვენი ნავთის მრეწველობის გაძლიერება აშინებს დასავლეთ-ევროპის კაპიტალისტებს. ერთი წლის წინათ საბჭოთა კავშირს ამ საქმეში მესამე ადგილი ეჭირა—ამერიკისა და მექსიკის შემდეგ ,ახლა კი მეორე ადგილი უჭირავს. ჩვენ უნდა ვიცადოთ, რომ საბჭოთა ნავთის მრეწველობამ პირველი ადგილი დაიჭიროს.

ღამის ცნობები

ინგლის-ინდოეთის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ

ლონდონი, 14 მარტი. 70 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 41 ხმისა ინდოეთის საკანონმდებლო კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც იგი ჰკიცხავს ინგლის-ინდოეთის მთავრობის პოლიტიკას არმიის ინდოეთიზაციის საკითხში. რეზოლუციის დამცველმა—მუსულმანთა ლიგის ლიდერმა ჯინამ აღნიშნა, რომ ინგლის-ინდოეთის არმიის სარდლის გენერალ ბირდვუდის სიტყვით ინგლისელი ჯარისკაცები არავითარ შემთხვევაში არ დაემორჩილებიან ინდოელ ოფიცრებს. კამათის [illegible] სვარაჯისტების ლიდერმა [illegible] განაცხადა, რომ დღევანდელ პირობებში ინდოეთის არმია ზავის უზრუნველყოფის იარაღს კი არ წარმოადგენს, არამედ ინდოეთის ერების შემდგომი დამონების იარაღს (ადს).

პოლონეთის „მართლმსაჯულება“

ვარშავა, 14 მარტი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, დღეს ლვოვში დამთავრდა უკრაინელი კომუნისტების პროცესი. ბრალდებულებს დანაშაულად ედებოდათ ღალატი, ჯაშუშობა და სამხრეთ-აღმოსავლეთ პოლონეთის სასწავლებელთა მზრუნველის ხიდემსკის მოკვლა. სასამართლომ დამტკიცებულად ჩასთვალა ღალატისა, ჯაშუშობისა და ხიდემსკის მოკვლის ბრალდება. ატამანჩუკსა და ვერხნიუკს მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა. 8 ბრალდებული დამნაშავედ სცნეს ჯაშუშობაში და მიუსაჯეს ციხე ერთი წლიდან ორ წლამდე. დანარჩენი შვიდი ბრალდებული გამართლდა (ადს).

გაფიცვა ჩაშლილია

ბერლინი, 14 მარტი. თანახმად მეტალისტთა პროფკავშირის დადგენილებისა, რომელმაც გაფიცულ მეინსტრუმენტეებს წინადადება მისცა დამორჩილებოდნენ სავალდებულოდ გამოცხადებულ სამედიატორო გადაწყვეტილებას, დღეს განახლდა მუშაობა ყველა იმ საწარმოში დაწესებულებებში, სადაც მეინსტრუმენტეების გაფიცვა იყო. ბერლინელი მეტალისტები აღშფოთებულნი არიან შრომის სამინისტროს საქციელით, რომელმაც სამედიატორო გადაწყვეტილება სავალდებულოდ გამოაცხადა, აგრეთვე მეტალისტთა პროფკავშირის ბერლინის კომიტეტის საქციელით, რომელმაც არ მოისურვა, რომ საკმაოდ ფართოდ განევითარებინა ბრძოლა (ადს).

ეკონომიური კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ

მემაღაროეთა ცეკას მიმართვა

მოსკოვი, 13 მარტი. მემაღაროეთა კავშირის ცეკას მიმართვაში საბჭოთა კავშირის ყველა მემაღაროებისადმი, ნათქვამია:

„ინჟენერთა ჯგუფი შახტის რაიონში მაღაროების ყოფილ მეპატრონეთა კარნახით და თანხებით და უცხოეთის კონტრ-დაზვერვის ხელმძღვანელობით, სისტემატიურად, რამოდენიმე წლის განმავლობაში ანგრევდა ქვანახშირის მეურნეობას, წყალს უშვებდა მაღაროებში, აფეთქებდა მაღაროებს, ქვანახშირის საუკეთესო მადნებს უმალავდა საბჭოთა ორგანოებს, და ამ მადნებს ინახავდა ყოფილი მეპატრონეებისათვის, რომელთაც დაბრუნებასაც ისინი ამზადებდენ. ზოგიერთი მათგანი შეძვრა უმაღლეს სამეურნეო ორგანოებში და შლიდა ჩვენი კაპიტალური მშენებლობის, რაციონალიზაციის გეგმას, ყიდულობდნენ მანქანებს, რომლებიც გამოუსადეგარი იყო ჩვენს პირობებში მუშაობისათვის, მიზანშეუწონლად იყენებდნენ ნაყიდ მანქანებს, ყოველივე ამას ჩადიოდნენ იმ მიზნით, რომ დაესუსტებინათ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობა და შეექმნათ ისეთი დაბრკოლებანი ქვანახშირის მეურნეობაში, რომ ინტერვენციის შემთხვევაში ჩაეშალათ ტრანსპორტის, ქარხნების და ფაბრიკების მუშაობა, დაეხმარებოდნენ ბურჟუაზიას საბჭოთა ხელისუფლების დამხობაში და კაპიტალისტური სისტემის აღდგენაში. შეთქმულები იმავე მიზნით ცდილობდნენ გამოეწვიათ მუშათა გაფიცვა, შეერყიათ მათი ნდობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი, ჩაეყენებინათ მუშები შრომის აუტანელ პირობებში, რისთვისაც აფუჭებდნენ ვენტილაციას მაღაროებში, სისტემატიურად ატყუებდნენ მუშებს ანგარიშის გასწორების დროს.

შეთქმულება ამჟამად აღმოაჩინეს სახელმწ. პოლიტსამმართველოს ორგანოებმა მუშათა დახმარებით, და დამნაშავენი სათანადოდ იქნებიან დასჯილნი.

ამხანაგებო მემაღაროებო! ჩვენ ვიცით, როგორი აღშფოთების გრძნობა გამოიწვია თქვენში სპეციალისტების ამ ჯგუფის—ჩვენი კავშირის ყოფ. წევრების საზიზღარმა გამცემლობამ. ჩვენ ვიცით, როგორი აღშფოთება გამოიწვია მრავალ ასი ათას მუშებსა და მრავალ ათას სინდისიერი სპეციალისტთა შორის ცნობამ იმის შესახებ, რომ მილიონები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებამ გაიღო სამუშაოთა მექანიზაციისა და შრომის მძიმე პირობების შემსუბუქებისათვის, შეთქმულებმა მოიხმარეს მუშ. კლასის საზიანოდ და ჩვენი საბჭოთა მრეწვ. საზარალოდ. მაგრამ მოვითხოვთ რა უმკაცრეს სასჯელს შეთქმულთა ჯგუფის მუშათა კლასის მტერთათვის, ჩვენ ამავე დროს ამხანაგური ყურადღებით უნდა მოვეპყრათ იმ სპეციალისტებს, რომლებიც მუშებთან ხელი-ხელჩაკიდებული მუშაობენ ჩვენი ქვანახშირის მრეწველობის აღსადგენად, ზრუნავენ ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის და საწარმოო თათბირებზე მუშებთან ერთად განიხილავენ რაციონალიზაციის საკითხებს. გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა, რომ ჩვენი აღშფოთება გადაგვეტანა ყველა სპეციალისტზე და არ გაგვერჩია მავნე კონტრ-რევოლუციონერთა ჯგუფი და მრავალი ათასი ინჟენერი და ტეხნიკოსი, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ ჩვენს აღმშენებლობაში. საჭიროა შეუპოვარი ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, ვინც მავნეობას ეწევა, მაგრამ ამასთანავე საჭიროა ამხანაგური დამოკიდებულება პატიოსან სპეციალისტებისადმი. ბრძოლა სპეცმავნეობის წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს სპეციალისტების მუშაობის შემოწმება—ასეთი უნდა იყოს სამეურნეო მუშაკებისა, კავშირისა და თქვენი მხილების წყალობით, გაათკეცეთ სიფხიზლე, უნდა გავაძლიეროთ ყურადღება ჩვენი წარმოებისადმი და ჩვენი მეურნეობის დამნგრეველებთან ბრძოლისადმი. ამ ჯგუფის შეთქმულება აღმოჩენილია თქვენი მითითებისა და თქვენი მხილების წყალობით. გაათკეცეთ თქვენი ენერგია სამთო მრეწველობის განვითარების საქმეში. კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღეთ საწარმოო თათბირების მუშაობაში. მემაღაროეთა მთელი მასის აქტივობისა და თვითმოქმედების პირობებში, რომელსაც სწორად გაუძღვება კავშირის ორგანოები, ჩვენი სამთო მრეწველობისადმი მუშებისა, სამეურნეო ორგანოებისა და პროფკავშირების ფხიზელი ყურადღების პირობებში, ჩვენ შეგვიძლია უზრუნველყოფილი ვიქნეთ, რომ ჩვენი მტრების საზიანო მოქმედება აღმოჩენილი და ალკვეთილი იქნება თავის დროზე. კონტრ-რევოლუციის შეთქმულებას ჩვენ, მემაღაროებმა, უნდა ვუპასუხოთ კიდევ მეტი შემჭიდროებით, ენერგიის გაათკეცებით სამთო მრეწველობის რაციონალიზაციისა და განვითარების საქმეში ჩვენი სპეციალისტებისა და ინჟენერ-ტეხნიკოსების კიდევ უფრო მეტი ჩაბმით იმ მუშაობაში, რომელიც დაკავშირებულია ინდუსტრიალიზაციასთან, საწარმოო დარგში გამოცდილ ასეულ მუშების დაწინაურებით და წითელი სპეციალისტების კადრის შექმნის მიზნით სოციალისტური მშენებლობისათვის უანგაროდ თავდადებულ მუშების ათასობით ფაბრიკებსა და უმაღლეს სასწავლებლებში გაგზავნით. კავშირისა და სამეურნეო მუშაობის ნაკლის აღმოფხვრით, მეურნეობის დამნგრეველთა და საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან ბრძოლისადმი ყურადღების გაძლიერებით, ჩვენ მემაღაროები, ლენინური კომპარტიის ხელმძღვანელობით წინ გავსწევთ სოციალიზმის შემდგომი მშენებლობისაკენ. (ადს).

ამხ. ჩუბარი შეთქმულების შესახებ

ხარკოვი, 14 მარტი. უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ჩუბარმა ბურჟუაზიული სპეციალისტების ჯგუფის კონტრრევოლუციონური შეთქმულების შესახებ გაზეთების თანამშრომლებს განუცხადა შემდეგი:

„ბურჟუაზიული სპეციალისტები თავის კონტრ-რევოლუციონური მოქმედებით ზიანს აყენებენ არა მარტო პროლეტარიატს არამედ ყველა სინდისიერ სპეციალისტებს და საინჟენერო-ტეხნიკურ ძალებს. თავისი მოქმედებით კონტრრევოლუციონერები ცდილობენ მუშებში შექმნან მტრული განწყობილება სპეციალისტების წინააღმდეგ საერთოდ. ესეც, ალბად, შედის მაღაროების ძველ მეპატრონეთა ანგარიშებში, ვინაიდან მუშათა კლასსა და სპეციალისტების უმრავლესობას შორის არსებული ურთიერთობის დარღვევა ნიშნავს კაპიტალისტების საქმის გაკეთებას, რომლებიც ცდილობენ შეასუსტონ პროლეტარული სახელმწიფოს შემოქმედებითი მუშაობა. ყოველმა სპეციალისტმა უნდა შეიგნოს, რომ სპეციალისტების ჯგუფის მავნე მუშაობის გამოაშკარავება გამოიწვევს იმას, რომ მუშები უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ ყოველ მათ ნაბიჯს. ყოველი სპეციალისტისათვის გასაგები უნდა იყოს აგრეთვე ის, რომ ეს კონტროლი არ იქნება უადგილო და წარმოადგენს რეაქციას იმის გამო, რომ ინჟენერთა ჯგუფმა, რომელიც სხვა შემთხვევებში სარგებლობდა თითქმის განუსაზღვრელი ნდობით, არა თუ არ გაამართლა ეს ნდობა, არამედ გამოიყენა პროლეტარიატისათვის ზიანის მისაყენებლად. (ადს).

საქ. ინჟენერ-ტეხნიკოსთა პროტესტი

ინჟინერ-ტეხნიკოსთა გაერთიანებული კრება

გუშინ, საღამოს პროფსაბჭოს შენობაში შესდგა საქართველოს ინჟენერ-ტეხნიკოსთა სექციათაშორისო ბიუროს და ამ.-კავკ. რკინის გზების ინჟენერ-ტეხნიკოსთა საგზაო სექციის ბიუროს საგანგებო გაერთიანებული სხდომა.

სხდომა მოწვეული იყო დონბასში კონტრ-რევოლუციონური შეთქმულების აღმოჩენის გამო.

ამ შეთქმულების შესახებ ინფორმაციის მოსმენის შემდეგ გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლუცია:

„საქართველოს ინჟენერ-ტეხნიკოსთა სექციათაშორისო და ა.-კ. რკინისგზების ინჟენერ-ტეხნიკოსთა საგზაო სექციის ბიუროების საგანგებო სხდომამ, მოისმინა რა ცნობა დონბასში ეკონომიური შეთქმულების აღმოჩენის შესახებ, ღრმა აღშფოთებით აღნიშნავს სამარცხვინო ფაქტს დონბასის ინჟენერ-ტეხნიკოსთა შორის კონტრ-რევოლუციონური ჯგუფის არსებობისას, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული საბჭოთა სოციალისტური აღმშენებლობის ჩაშლა.

აღნიშნულ ჯგუფის მოქმედება წარმოადგენს როგორც მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს, ისე ჩვენი საინჟენერო-სატეხნიკო საზოგადოებისათვის ღალატს, იმ დროს, როდესაც ამ აღმშენებლობაში მუშათა კლასთან ერთად აქტიურად არის ჩაბმული მთელი ინჟენერობა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დამნაშავეთა საჯარო გასამართლება გამოააშკარავებს მათ სრულ მოწყვეტილობას საინჟენერო ძალების მთელ დანარჩენ მასისაგან, რომელიც ამიერიდან უფრო მეტის ენერგიით ჩაებმება სოციალისტურ მშენებლობის საქმეში“.

ეს რეზოლუცია სხდომამ გაუგზავნა ა.-კ. ცაკის მესამე სესიას.

ამასთანავე სხდომამ დაადგინა,—კვირას, დღის 12 საათზე მუშათა სასახლის მცირე დარბაზში მოიწვიოს ქ. თბილისის ინჟენერ-ტეხნიკოსების საქალაქო კონფერენცია, რომელზედაც მოსმენილ იქნება მოხსენება ჩვენი აღმშენებლობისა და მასში ინჟენერ-ტეხნიკოსთა ძალების როლის შესახებ.

სამთო ინჟინერ-ტეხნიკოსების პროტესტი

გუშინ შესდგა სამთამადნო მუშაკთა კავშირის საინჟენერო-ტეხნიკურ ძალთა საგანგებო-საერთო კრება, რომელსაც დაესწრნენ აგრეთვე ს. მ. უ. ს. სამთო ტრესტის, სამთო განყოფილების წარმომადგენლები და ტყიბულის საინჟენერო-ტეხნიკური ძალები. კრებამ მოისმინა ინჟ. ღლიბერიძის მოხსენება სპეციალისტ ინჟენერების ჯგუფის ეკონომიურ კონტრ-რევოლუციონური შეთქმულების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა დონეცის შავი ქვის მაღაროების აღსადგენად და რეკონსტრუქციისათვის წარმოებული მუშაობის ჩაშლას, და ერთხმად დაადგინა:

ინჟენერ-ტეხნიკურ ძალთა მთელი მასა არა შიშით, არამედ სინდისით და თავის მოვალეობის სრული შეგნებით, მთელ თავის ენერგიასა და ცოდნას სწირავს საბჭოთა კავშირის სოციალისტურ მშენებლობას. ამიტომ შეთქმულების ჯგუფის მოქმედება წარმოადგენს ღალატს არა მარტო მუშურ-გლეხური სახელმწიფოს, არა მარტო მუშათა კლასის არამედ საინჟენერო ტეხნიკურ ძალთა მთელი მასის მიმართ. კრება კატეგორიულად ემიჯნება ამ ბოროტმოქმედ—ნაძირალებს, რომლებიც უსასტიკეს სასჯელის ღირსნი არიან.

საჯარო სასამართლო გამოაშკარავებს, რომ ეს არამზადები სრულიად გარიყულნი არიან ინჟენერ-ტეხნიკურ ძალთა მთლიანი მასიდან, რომელიც პირნათლად მუშაობს ჩვენი კავშირის ეკონომიური ძლიერების განსამტკიცებლად.

ამასთან ერთად კრება მოუწოდებს ყველა საინჟენერო-ტეხნიკურ მუშაკებს მჭიდროდ დაუკავშირდნენ მუშათა მასებს და მათთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული იმუშაონ სახალხო მეურნეობის განსამტკიცებლად და ამ მეურნეობის დასაცავად მსგავსი მოვლენებისაგან.

კრება ავალებს ინჟ. - ტეხ. ძალთა სექციის ბიუროს გამოიმუშაოს ღონისძიებები: 1) ინჟინერ-ტეხნიკურ მუშაკთა მუშათა მასებთან შესამჭიდროებლად და 2) სახალხო მეურნეობის დასაცავად მოღალატეების დეზორგანიზატორული მოქმედებისაგან.

ამიერ-კავკასიის მებამბეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ა.-კავკ. მებამბეობის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ბუნიათ-ზადემ.

ბუნიათ-ზადეს მოხსენების შემდეგ სესიას მიესალმენ აზნავთის მე-19 სარეწაოს მუშათა და მოსამსახურეთა წარმომადგენელნი, ფუქართა დელეგაცია, ლენინის სახელობის ფაბრიკის მუშა ქალთა წარმომადგენელი, აზნავთის მექანიკური სახელოსნოს და ხეზე მომუშავეთა კავშირის დელეგატები. სესიის სახელით მისალმებლებს უპასუხა ამხ. მიხა ცხაკაიამ.

სხდომის ბოლოს ამხ. ბუნიათ-ზადემ თავისი მოხსენება თურქულ ენაზე გაიმეორა.

ხვალ დილით სესიის სხდომა არ შესდგება. დელეგატები გაივლენ ბაქოს რაიონებში სარეწაოების გასაცნობად. ხვალ საღამოთი გაიმართება სესიის საზეიმო სხდომა ამიერ-კავკასიის ფედერაციის ექვსი წლის თავის აღსანიშნავად. (ადს).

სესიის დელეგატები ეცნობიან მუშათა რაიონებს

ბაქო, 14 მარტი. ამიერ-კავკასიის ცაკის მესამე სესიის წევრები ბაქოში ეცნობიან მუშათა რაიონებს. თბილისის დელეგატთა ჯგუფი დღეს იყო ილიჩის სახელობის ნავთსადგურში, სადაც დელეგატებს მუშებთან ჰქონდათ საუბარი მათი შრომის პირობების შესახებ. სესიის წევრთა საუბარს ნავთის მრეწველობის მუშებთან გულწრფელი ხასიათი ჰქონდა. მუშებმა სესიის წევრებს გადასცეს მთელი რიგი საჩივრები, უმთავრესად სპეცტანისამოსის შესახებ. „ამობურღვის დროს,—განაცხადეს მუშებმა,—მუშაობა [illegible] ნესტიან ადგილებზე; ფეხსაცმელები, რომელსაც გვაძლევენ, მალე ფუჭდება და ამის გამო მუშები ავადმყოფდებიან რევმატიზმით“. მუშათა საჩივრები გადაეცა სესიის პრეზიდიუმს.

სესიის წევრთა ჯგუფმა-ქალებმა ინახულეს ბავშვთა სახლები, ბაგები, ბავშვთა საამბულატორო და დედისა და ბავშვის სახლი.

აჭარისტანის და აფხაზეთის დელეგატთა ჯგუფმა ინახულა ნავთსაწმენდი ქარხნები (ადს).

სრ. საქ. მწერალთა მეორე ყრილობა

მეშვიდე დღე

კამათი ამხ. თოხაძის მოხსენების გარშემო

ამხ. თოხაძის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელმაც მწვავე ხასიათი მიიღო. ორატორთა უმრავლესობა ეთანხმებოდა მომხსენებელს, რომ ხელოვნების დაწესებულებათა მუშაობის სისუსტის მთავარ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ არ არსებობს მხატვრული ცხოვრების ერთიანი ხელმძღვანელობა ერთი მთლიანი სახელოვნო სისტემა. ეს კი დაუშვებელი მოვლენაა მას შემდეგ, რაც სახელოვნო პოლიტიკის შესახებ არსებობს ს. კ. პ. (ბ) ცეკას გარკვეული რეზოლუცია და სათეატრო თათბირის დადგენილებანი. (ბუაჩიძე, ეული, ბ. ჟღენტი და სხ) ეს არის მთავარი მიზეზი იმის, რომ ხელოვნება ჯერ კიდევ მიუწვდომელი ხდება მუშათა და, განსაკუთრებით, სოფლის მშრომელი მასებისათვის. არა თუ სოფლის, არამედ მთავარი ქალაქების აკადემიური თეატრებიც კი წარმოადგენენ სრულიად ავტონომიურ ერთეულს, რომელნიც არ ექვემდებარებიან მთავარს სახელოვნო ორგანოს. საილუსტრაციოთ ორატორებს მოჰყავთ რუსთაველის აკადემიური დრამა, რომელსაც ორატორების აზრით, არა აქვს გარკვეული იდეოლოგია და მხატვრული სახე. რუსთაველის თეატრის ასეთი გაურკვევლობა არ მიეწერება რეპერტუარის უქონლობას. კარგ თეატრს შეუძლია კლასიკოსების გამოყენებაც თანამედროვე მოთხოვნილებასთან შეფარდებით. ([illegible], ხ. ჩიქოვანი, ბ. ჟღენტი). ის გარემოება, რომ რუსთაველის თეატრმა კარგად დადგა „რღვევა“ არ ნიშნავს, რომ შეიცვალა მისი მუშაობის პრინციპიალური საფუძვლები, რადგან ამ დადგმით იგი არ იძლევა რაიმე ახალ პრინციპს, რაიმე ახალ სკოლას. (ბ. ჟღენტი). „რღვევა“ არის აღრევა ყოველგვარი სტილისა და არა რაიმე გარკვეული მიმდინარეობა. რუსთაველის თეატრმა რომ საბოლოოდ თავი დააღწიოს კრიზისის საშიშროებას, საჭიროა ისევ ძველ გამოცდილ ხელმძღვანელების მოწვევა, ყველა ნიჭიერ ძალების თეატრის გარშემო შემოკრება და გამოუდეგარ ძალების დასის გარეშე დაყენება. (ს. ამაღლობელი, ბ. ბუაჩიძე)

შემდეგ ორატორები მოითხოვენ გაძლიერდეს ხელოვნების განყოფილების მზრუნველობა მუშათა და სასოფლო თეატრებზე. იმ ცუდ პირობებში, რომელშიაც თბილისის მუშათა თეატრის ქართულ სექტორს უხდება მუშაობა, მისი დადგმები დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. თეატრს არ გააჩნია საკუთარი შენობა, უსახსრობის გამო სეზონი გვიან იწყება, ადრე თავდება, თეატრს არ ყავს საკმარისი მომზადებული ძალები და სხვა. (დ. ხულაშვილი, ნ. შენგელაია). უფრო ცუდ მდგომარეობაში არიან პროვინციის თეატრები, რომელნიც სრულიად უყურადღებოდ არიან მიტოვებულნი. ხელოვნების განყოფილებამ მათზე აუცილებლად უნდა დააწესოს ინსპექცია და გაუწიოს უშუალო მხატვრულ-იდეოლოგიური ხელმძღვანელობა. (ი. იმედაშვილი, ნ. ზომლეთელი).

განსაკუთრებული სისასტიკით ილაშქრებენ ორატორები დღევანდელი ოპერის წინააღმდეგ, რომელიც ერთ-ერთი ორატორის თქმით, მხოლოდ გალაღებულ „ნეპმანების“ და მლოცველ „ყოფილთა“ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. იხარჯება კი მასზე 150 ათასი მანეთი, იმ დროს, როცა სოფლები მოკლებული არიან სკოლას. უმჯობესია ასეთი ოპერა ან სულ დაიხუროს, ან შესდგეს მცირე ოპერა ადგილობრივი ძალებისაგან (ბ. ბუაჩიძე, ს. ჩიქოვანი). ის თანხები, რომელიც ოპერაზე იხარჯება, სჯობია მუსიკალურ განვითარებას მოხმარდეს.

ორატორების კრიტიკას ვერ აცდა სახკინმრეწვიც, რომელიც ერთი ორატორის აზრით, უკანასკნელ დრომდე განაგრძობს ძველ თუ ახალ საქართველოს ეკრანზე გადატანას ხანჯლებით, ცეკვით, ყანწებითა და ჩოხებით. (ბუაჩიძე). ეს მაშინ, როცა კინომ ამხ. სტალინის განცხადებით, არაყის მონოპოლიის ადგილი უნდა დაიჭიროს, რადგან იგი მასაში მეტ ინტერესს იწვევს. ამიტომაც იქ დაშვებულ შეცდომებს შეუძლია საქმე სამუდამოდ გააფუჭოს. სახკინმრეწვის მუშაობაში აუცილებლად ჩაბმული უნდა იქნეს ქართული მწერლობა, რომელიც ამ საქმეს დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს. (ტ. ტაბიძე). კინომრეწველობამ უნდა შესცვალოს თავისი ფილმების ხასიათი და მეტი ყურადღება მიაქციოს სამეცნიერო და სასოფლო-სამეურნეო ფილმების გამოშვებას. (ნ. ზომლეთელი, აპ. წულაძე).

ორატორები შეჩერდენ აგრეთვე სამხატვრო აკადემიაზე, საერთოდ ქართულ მხატვრობაზე, რომელმაც ორატორების გადმოცემით, მიუხედავად იმისა, რომ ყველა დარგებზე ნაკლები ყურადღება ექცევა, თავის შემოქმედებით თავი ისახელა, როგორც ადგილობრივი გამოფენებით, ისე სრულიად საკავშირო გამოფენაში მონაწილეობით. საჭიროა მხატვრებს მეტი ასპარეზი მიეცეს. (კოტეტიშვილი). სამხატვრო აკადემიაში ბოლო მოეღოს ახალგაზრდების აღზრდას ძველ კონსერვატიულ იდეებზე. (ბ. ჟღენტი).

ამით დამთავრდა მეშვიდე დღის სხდომა.

მერვე დღე

ამხ. თოხაძის საბოლოო სიტყვა

ორატორებს პასუხი გასცა ამხ. თოხაძემ, რომელიც არ დაეთანხმა ოპონენტებს რუსთაველის თეატრის უარყოფით დახასიათებაში. მომხსენებლის აზრით, თეატრი უკვე გარკვევით ადგია რევოლუციონურ თეატრის გზას და დღეს მას სჭირია დახმარება და უფრო მეტი თანაგრძნობა. ხელოვნების განყოფილებასთან არსებობს სამხატვრო-სარეპერტუარო საბჭო, რომელიც მომავალი სეზონისათვის შეარჩევს მისაღებ პიესებს და გამოაქვეყნებს საგანგებო ბიულეტენებში. ამასთან ერთად განზრახულია ყველა თეატრებთან შეიქმნას სამხატვრო საბჭოები, რომლებშიაც შევლენ მაყურებელნი და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელნი. მომავალი სეზონისათვის გადაწყვეტილია აგრეთვე სათეატრო ქსელის გაფართოება მუშათა უბნებში და სოფლებში. მოეწყობა აგრეთვე ერთი მოძრავი თეატრი შორეული სოფლებისათვის. სცენის კვალიფიციურ მუშაკთა მოსამზადებლად გაიხსნება თეატრალური ტეხნიკუმი და სხვა.

საქართველოს საბჭოთა მწერლების გაერთიანებათა ფედერაცია

ამხ. თოხაძის მოხსენების შემდეგ ყრილობამ ერთხმად მიიღო ამხ. თოდრიას წინადადება, რომლის თანახმად საქართველოს მწერალთა კავშირი ამიერიდან ხდება საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციათ, რომელიც შესდგება მწერალთა ცალკე დაჯგუფება-ასოციაციებისაგან.

რეზოლიუციების მიღება

საქართველოს საბჭოთა მწერლების გაერთიანებათა ფედერაციის წესდების დამტკიცების შემდეგ—ყრილობამ მიიღო რეზოლიუციები ამხ. ფ. მახარაძის მოხსენების, მწერალთა კავშირის საბჭოს, სახელგამის და ხელოვნების განყოფილების მუშაობის შესახებ.

დასასრულ, ერთხმად არჩეულ იქნა საქ. საბჭოთა მწერლების გაერთიანებათა ფედერაციის საბჭო, რომელშიდაც შედიან ყველა ჯგუფების წარმომადგენელნი.

საქ. საბჭოთა მწერლების გაერთიანებათა ფედერაციის საბჭო

საბჭოში შედიან შემდეგი მწერლები:

აბაშელი ალ., ამაღლობელი სერ., ბუაჩიძე ბენიტო, გაფრინდაშვილი ვალ., გრიშაშვილი იოსებ, გამსახურდია კონ., ეული სანდრო, თავაძე სოლ., ინგოროყვა პავლე, კოტეტიშვილი ვახ., კლდიაშვილი დავ., ლეარსამიძე ვალ., ლორთქიფანიძე კონ., ლეონიძე გიორგი, მაშაშვილი ალ., მიწიშვილი ნიკოლო, მაძღოვი, მარიჯანი, მარტინ, მაჭავარიანი ზ., მუშიშვილი გ., ნავთლუღელი შ., ჟღენტი ბ., რობაქიძე გრ., რონდელი დ., რადიანი შ., სუტირინი ვ., სამსონიძე პეტრე, ტაბიძე ტიციან, ქიქოძე გერონტი, ქაჩელი ლეო, შანშიაშვილი ალ., შენგელაია დემნა, ჩიქოვანი სც., ჩაჩავა ნ., ჭუმბაძე არ., ჯავახიშვილი მიხ. სარევიზიო კომისია: გვეტაძე რ., მეტრეველი ლ., ვარდოშვილი ხ., შენგელაია ნიკოლოზ.

ფედერაციის საბჭოს და მისი პრეზიდიუმის თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. სილვა თოდრია.

კულტურული რევოლიუცია და მწერლობის ამოცანები

რეზოლიუცია, ერთხმად მიღებული ამხ. ფ. მახარაძის მოხსენების გამო.

მოისმინა რა ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენება თემაზე: „კულტურული რევოლიუცია და მწერლობის ამოცანები“, საქართველოს საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობა, რომელშიდაც წარმოდგენილია საქართველოს მწერლების ყველა ლიტერატურული დაჯგუფებანი, აღნიშნავს:

1) საბჭოთა კავშირის, კერძოთ საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარება, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და საბჭოთა ხელისუფლების დაუღალავი მუშაობით, ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ; მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მრავალ დარგში არამც თუ მიღწეულია ომის წინადროინდელი დონე—გადაჭარბებულიც კიდეც. საბჭოთა კავშირში და მის შემადგენელ ცალკე საბჭოთა რესპუბლიკებში ფართოვდება ახალი სოციალისტური აღმშენებლობა და იზრდება მშრომელი ხალხის ეკონომიური კეთილდღეობა.

2) სახალხო მეურნეობის განვითარებასთან ერთად ვითარდება და მაღლა იწევს მშრომელი მასების კულტურული დონე. მაგრამ ხალხის კულტურულ განვითარების ტემპი უკან რჩება სოციალისტური სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპს. მშრომელი მასის, განსაკუთრებით კი მშრომელ გლეხობის კულტურულად დაწინაურების საქმე და ამ საქმის სახალხო მეურნეობის განვითარების დონეზე დაყენება მოითხოვს გადამჭრელ ზომებს და განსაკუთრებული მუშაობის წარმოებას კულტურულ მშენებლობის სფეროში—ე. წ. „მესამე ფრონტზე“. აქედან [illegible] კულტურული რევოლიუციის ლოზუნგი.

3) კულტურული რევოლიუცია ჩვენ გვესმის, როგორც მშრომელი მასის—პროლეტარიატისა და გლეხობის—ფართო ფენების კულტურულ დონის ამაღლება, ახალი ყოფის შექმნა, მასის სოციალისტური შეგნების განვითარება, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის განმტკიცება, მასიური სწავლა-განათლების გაცხოველება, სწავლა-აღზრდის საქმის კლასობრივ პრინციპზე აგება და მთლიანად კულტურული რევოლიუციის ამოცანათა ლოღიკურად დაკავშირება საბჭოთა ქვეყნის ეკონომიურ განვითარების პროცესთან და გზებთან, მოკლედ—მშრომელი მასის აქტიურად, შეგნებულად ჩაბმა იმ უდიდეს, ისტორიულ მნიშვნელობის მუშაობაში, რომელიც მიზნად ისახავს სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებას.

4) ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ კულტურული რევოლიუციისათვის მუშაობა, როგორც საერთოდ საბჭოთა კავშირში, ისე კერძოთ ჩვენშიაც, საქართველოში, [illegible] სწარმოებს და პარტია და ხელისუფლება მიმართავს ყოველგვარ მოხერხებულ ზომებს, არ ზოგავს საშუალებებს ამ რევოლიუციის ამოცანების ცხოვრებაში რეალურად განხორციელებისათვის. წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრა ხალხის ფართო მასებში, ქოხ-სამკითხველოების ზრდა, კლუბების, სხვადასხვა წრეების, რადიო-სადგურების, სახალხო თეატრების, მოძრავ კინოს მოწყობა, საყოველთაო სავალდებულო სწავლებაზე გადასვლა მოკლე ხანში, მუშურ-გლეხური პრესის მასიური ტირაჟი, არაპროფესიონალურ გამოცემების ფართო წინსვლა, მუშა და გლეხ კორესპონდენტთა მოძრაობის ზრდა-განვითარება და მრავალი სხვა ამ მოვლენათაგანი ამ გზით მტკიცეთ სიარულის—აი ყოველივე ის, რაც უზრუნველყოფს და აუცილებელს ხდის კულტურულ რევოლიუციის გამარჯვებას, როგორც ჩვენში, ისე მთელ საბჭოთა კავშირში.

5) კულტურული რევოლიუციის განხორციელების საქმეში დიდია როლი საბჭოთა ინტელიგენციის, კერძოთ—ინტელიგენციის მოწინავე ნაწილის—მწერლობის. ყრილობა ხაზს უსვამს მწერლობის, როგორც კულტურული რევოლიუციის პირველხარისხოვან ფაქტორის, საქმიანობის მნიშვნელობას კულტურულ რევოლიუციაში და კატეგორიულად, გადაჭრით აცხადებს მასში აქტიურ მონაწილეობის, აქტიურათ ჩაბმის სურვილს. მწერლობის ასეთი მონაწილეობა კულტურულ რევოლიუციაში და ხელოვნების ასეთი შეჭრა კულტურული რევოლიუციის სფეროში, თავისთავად გულისხმობს [illegible] ხელოვნების კონკრეტულ ამოცანათა ძველ-ბურჟუაზიული გაგების გადასინჯვას და უარყოფას და ხელოვნების მუშაკთა მიერ კულტურული რევოლიუციის ამოცანათა დაკავშირებას სოციალიზმის შენების და მშრომელთა მასების სოციალისტურად გათვითცნობიერების ამოცანებთან. ხელოვნება ცხოვრებისათვის, ხელოვნება მასებისათვის—ასეთია კულტურულ რევოლიუციის ლოზუნგი. თვითეული საბჭოთა მწერალი უნდა ცდილობდეს ამ ლოზუნგის გაგებას და სწორად გამოყენებას, თუ მართლაც საქმით და არა მარტო სიტყვით სურს მას მშრომელი მასების კულტურულად დაწინაურების, მასიურ სოციალისტურ კულტურის განვითარების საქმე.

6) კერძოთ, ყრილობა იზიარებს ხელმძღვანელ პარტიის ლიტერატურულ პოლიტიკის დებულებას, რომელიც ამბობს: „საჭიროა ისეთი მხატვრული ლიტერატურის შექმნა, რომელიც ნავარაუდევი იქნება მუშათა და გლეხთა ნამდვილად მასიურ მკითხველისთვის; გაბედულად და გადაჭრით უნდა აღმოიფხვრას არისტოკრატიული ცრუმორწმუნეობანი ლიტერატურაში და გამოვიყენოთ მილიონებისათვის გასაგები სათანადო ფორმა ხელოვნების ყველა ტეხნიკურ მიღწევათა გამოყენებით“. ამ მიმართულებით მწერლობის უპირველეს ამოცანათ უნდა ჩაითვალოს თანდათანობითი დაძლევა ფორმისტულ და ბურჟუაზიულ კულტურის ყველა იმ გავლენებისა, რომლებიც აბრკოლებენ მწერლობის შემოქმედებითი მონაწილეობას სოციალისტური კულტურის წარმოშობაში, განვითარებისა და განმტკიცების საქმეში. ამ დებულების შეთვისება, მისი რეალურად გამოყენება დიდათ გაუადვილებს მწერალს კულტურულ რევოლიუციაში სათანადო მონაწილეობას და მომავალ პერიოდში მწერლობის წინაშე წამოჭრილ სერიოზულ ამოცანათა სავსებით გადაწყვეტას.

7) მწერლობის აქტიურ მონაწილეობას კულტურულ რევოლიუციაში მოითხოვს აგრეთვე ის ყურადღება, რომელსაც იჩენს ხელისუფლება მწერლობისადმი. ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს ჩვენი მთავრობის დიდ მატერიალურ და ზნეობრივ დახმარებას მწერალთა ორგანიზაციისათვის, რამაც შესაძლებელი გახადა და რაც საჭიროთ ხდის მწერლობის შემოქმედებითი შრომის წარმართვას ახალი ყოფის და ახალი სოციალისტური აღმშენებლობის ნიადაგზე წარმოშობილი ადამიანის მისწრაფებათა მხატვრულათ განსახიერებისაკენ.

8) აღნიშნავს რა იმ უმთავრეს მომენტებს, რომლებიც ახასიათებენ საბჭოთა ქვეყნის საერთო ეკონომიურ და კულტურულ ზრდას, კულტურული რევოლიუციის პირველ ფაზებს, მის მიერ განვლილ გზებს და დასახულ ამოცანებს, მისი განვითარების ხასიათს, შინაარსს და [illegible], მწერლობის როლს ამ პროცესში და ხელისუფლების ყურადღებას მწერლობისადმი — სრულიად საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობა იმედოვნებს, რომ არც მომავალში იქნება შენელებული ეს [illegible], და საქართველოს მწერლობის შემოქმედებითი გზები წარიმართება ამ აუცილებელი ახალი მიმართულებით, რომელიც ერთად ერთი თავდებია იმისა, რომ საქართველოს მწერლები გაამართლებენ იმ იმედებს, რომლებსაც მათზე ამყარებს მშრომელი მასა.

მუშათა ცხოვრება

განუმარტოთ ახალი კოლხელშეკრულებები

თითქმის ყველა წარმოებებში კოლექტიურ ხელშეკრულებების გადასინჯვა და ხელშეკრულების დადება დამთავრებულია. ზოგიერთ წარმოებებში ტარდება კიდეც ცხოვრებაში ახალი კოლექტიური ხელშეკრულება. მაგრამ უნდა ითქვას სიმართლე, რომ ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებებს მუშები საფუძვლიანად ვერ იცნობენ. მართალია კოლხელშეკრულებების პროექტები ირჩეოდა მუშათა საერთო კრებებზე, სადაც მუშები სცვლიდნენ ზოგიერთ მუხლებს ახალი წინადადებებით, მაგრამ კოლხელშეკრულებების ყველა მუხლს და ყველა საკითხებს, მაინც ვერ არიან კარგად გაცნობილი.

მუშა უნდა იცნობდეს ადმინისტრაციასთან დადებულ ხელშეკრულებას. მას შესწავლილი უნდა ჰქონდეს ხელშეკრულების ყველა მუხლი, რომ უფრო გაუადვილდეს თავისი ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესება. ეს კი უმთავრესად დამოკიდებულია ადგილობრივ პროფორგანოების და საერთოდ პროფაქტივის მუშაობაზე. რამდენადაც ფაბრიკომში სწორ და მიზანშეწონილ მუშაობას აწარმოებს, იმდენად მუშას უფრო ნათელი წარმოდგენა ექნება, როგორც კოლექტიურ ხელშეკრულებაზე, ისე საერთოდ წარმოებასთან და მუშათა ყოფა - ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

კერძოდ საამქრო პროფაქტივებს ამ შემთხვევაში დიდი მოვალეობა აწევთ. მათ უნდა მისცენ ყოველგვარი ახსნა - განმარტება მუშებს ახალი კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ. განუმარტონ ხელშეკრულების ყველა მუხლები და დაეხმარონ ამა თუ იმ გაუგებარი საკითხის მოგვარებაში. ამისათვის საჭიროა თვით საამქრო ბიუროს წევრი საფუძვლიანად იცნობდეს კოლექტიურ ხელშეკრულებას. ადგილობრივმა პროფორგანოებმა საამქრო პროფაქტივს უნდა დაურიგოს არა მარტო კოლხელშეკრულების ტექსტი, არამედ ხელშეკრულებების დამატებებიც (თუ არსებობს ასეთი). ეს საჭიროა იმიტომ, რომ პროფაქტივი ახსნა - განმარტების მიცემის დროს არ დაიბნეს და მუშას არ მისცეს ისეთი პასუხი, რომელიც მას ან ვერ დააკმაყოფილებს, ან და უარეს გაუგებრობაში ჩააგდებს.

გარდა ამისა, პროფაქტივმა, თუ ის არ იცნობს კოლხელშეკრულებას, და არ ესმის ხელშეკრულების ამა თუ იმ მუხლის მნიშვნელობა, არ უნდა მისცეს მუშებს პასუხი, სანამდე სანამ ქარხკომიდან არ მიიღებს იმის შესახებ რჩევა - დარიგებას. არავითარ შემთხვევაში დასაშვები არ არის ის, რომ პროფაქტივი აბრალებდეს ადმინისტრაციას, ან კავშირის უმაღლეს ორგანოს, რომელიმე „არა სწორ მუხლის" შეტანას კოლხელშეკრულებაში.

საამქრო ბიუროს წევრმა, გარდა იმისა, რომ უნდა გააცნოს მუშებს კოლხელშეკრულება, ამავე დროს უნდა აუხსნას კოლხელშეკრულებაში დასახულ ღონისძიების მნიშვნელობაც.

ახსნა - განმარტების მიცემაში დიდი ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა გაუწიოს ფაბ-ქარხკომებმა თავიანთ პროფაქტივს. მათ უნდა მისცენ დირექტივები პროფბიუროებს ამ მუშაობის სწორად და მიზანშეწონილად ჩასატარებლად.

პროლეტარი

—:—

საზეიმო საღამო
(კოლოფების ქარხანა)

10 მარტს, კოლოფების ქარხანა „ინტერნაციონალში" ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად გაიმართა ზეიმი. ქარხნის სასადილოს დიდ დარბაზში მოწყობილი სცენა მორთული იყო წითელი დროშებით. ქარხნის მუშების გარდა საღამოზე მოწვეული იყვნენ აგრეთვე სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები და მეორე საარტ. ლეგიონის წითელ არმიელები. ამ საღამოს კონკურსზე გამოყოფილ მუშა - ქალებს აჯილდოვებდნენ.

ქალთა საერთაშორისო დღის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ბელიაევსკაია, რომელიც შეეხო ქალების როლს საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში და მიულოცა ქარხნის მუშა - ქალებს დღესასწაული.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: მზექდავთა კავშირის, მეორე თამბაქოს ქარხნის, წითელი არმიის, საბავშვო ბაღის, პიონერ ორგანიზაციის და სხვ. კომკავშირის წარმომადგენლები.

მისალმებების შემდეგ სცენაზე გამოდიან კონკურსში მოყოლილი საუკეთესო მუშა-ქალები: კაპანაძე, ნარუსაშვილი, მამუკაშვილი, ფუზბაშევა, ლიამცევა და შაირიანი, რომლებიც დააჯილდოეს სხვადასხვა საჩუქრებით. პირველი ჯილდო მიიღო კაპანაძემ. გარდა იმისა, რომ აღნიშნული მუშა - ქალები საუკეთესო მომუშავეებათ ითვლებიან წარმოებაში, ისინი აქტიურ მონაწილეობასაც ღებულობენ სხვადასხვა ორგანიზაციულ მუშაობაში.

დასასრულ ადგილობრივი ძალებით გაიმართა კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდნენ მუშა - ქალები. გამოვიდა „ეინტიკ"-ი თავის ნომრებით. სცენაზე წაკითხულ იქნა ლექსები და კუპლეტები. გაიმართა აგრეთვე ანიური ცეკვა-თამაში.

ასე მხიარულად ჩატარდა ქალთა დღესასწაული კოლოფების ქარხანაში.

ვანო

ავადმყოფობას ხელს უწყობს

ა.-კ. რკ. გზის ხაზებიდან სამმართველოში გროვდება აურაცხელი საბუთები. განსაკუთრებით საშემოსავლო და სტატისტიკურ ნაწილებში სავსეა ხაზის საბუთებით, რომლებიც მუშავდება სრულიად უდეზინფექციოდ, და იწვევს მოხელეების დაავადმყოფებას. საბუთებზე მომუშავეთა უმრავლესობა ქლიქით არის დაავადმყოფებული.

ამას წინათ სტატისტიკურ ტეხნიკურ საორთქლმავლო ნაწილში ამ ბინძური საბუთებიდან ავად გახდა იუზბაშევას ქალი, რომელიც ათი დღე უგრძნობლად იწვა სახლში, მას მიყვნენ ამავე დარგის მომუშავეები: იუზბაკოვი და ლოპაროვი, გარდა ამისა გაჩნდა გადამდები ავადმყოფობა, რის გამო საგზაო კომიტეტის სანიტარულ ექიმმა გურგენიძემ ყველა თანამშრომელი გაგზავნა საავადმყოფოში შესამოწმებლად. გასინჯვის შემდეგ და კომისიის დასკვნით მათ აღმოაჩნდათ გადამდები სნეულება, თვალის ავადმყოფობა. ამის გამო სამსახურში არ დაუშვეს ავადმყოფები. ეს კი საკმაოდ დიდ ზარალს აყენებს რკ. გზას.

საჭიროა ყველა საბუთებს ექნას დეზინფექცია და მომუშავეებსაც მიეცეთ სპეც-ხალათები.

ხილვა

—:—

გაგვინთავისუფლეთ დარბაზი
(სად. თელავი)

სად. თელავის დარბაზი მეტად ვიწროა. განსაკუთრებით შემოდგომისა და ზამთრის პერიოდში, როდესაც მგზავრებს სიცივისა და ცუდი ამინდის გამო თავის შეფარება უნდებათ დარბაზში, შეუძლებელია შესვლა, ან გავლა-გამოვლა.

მგზავრებს შემოაქვთ თავიანთი ბარგი და შეძლების და მიხედვით ათავსებენ. თვითონ კი სკამების უქონლობის გამო სხდებიან იატაკზე. მგზავრების დარბაზში ყოფნა არ მოსწონს ბუფეტის მოიჯარადრეს, რადგან სოფლელი გლეხკაცობა დიდ სარგებლობას არ აძლევს მას. ამ ნიადაგზე ხშირად აქვს ადგილი უთანხმოებას და უწესობას.

ასეთი არანორმალურ მოვლენების შესახებ ჩაწერილია საჩივრები სადგურის უფროსისა და რკინის გზის გამგეობის სახელზე, მაგრამ ჯერჯერობით საკითხს გადაწყვეტა არ ღირსებია.

აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ მეექვსე უბნის რევიზორი საჭიროდ და მიზანშეწონილად სთვლის ბუფეტის გადატანას ადგილკომის ოთახში, ხოლო ადგილკომისთვის სხვა ოთახის დათმობა. ამით სადგურის დარბაზი გაფართოვდება.

რკინის გზის გამგეობამ ეს საკითხი დაჩქარებით უნდა გადაწყვიტოს.

ხ—ი.

—:—

მუშკორთა წერილებიდან

ალბათ გაფლანგვენ. გასულ წელს მოქ. სიმონ ცინცაძემ ქართულ მუშაკის სტიპენდიანტ სტუდენტებს მოაწერინა ხელი იმედაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონი"-ზე და გადაახდევინა ფულიც. მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ უკვე კარგა ხანია გამოვიდა ლექსიკონი, მუშაკის ხელისმომწერლებს ჯერაც არ მიუღიათ. ს. ცინცაძე ხელისმომწერლებს გზავნის გამომცემლობასთან, გამომცემელი ცინცაძესთან და ამგვარად თავიდან იცილებენ პასუხისმგებლობას. პროფკომო, მოაგვარე ეს საკითხი.

ისარი.

ზედმეტი თანამდებობა. № 1 ხე-ტყის სახერხ ზავოდში მასალის დამხარისხებელ მუშებს მოუმატეს კიდევ ერთი, სრულიად ზედმეტი თანამდებობა, რომელშიც იხარჯება თვეში 90—100 მანეთი. ამ თანამდებობაზე დანიშნეს ამავე ქარხნის ადგილკომის ყოფილი პ. მგ. მდივანი, ამხ. ჯამბურია, რომელიც მუშათ იყო გადაყვანილი. ჩვენის აზრით ეს ახალი თანამდებობა სრულიად ზედმეტი ბარგია. საწარმოო კომისიამ უნდა გაიხილოს ეს საკითხი.

სკვინჩა.

სიცივეში ვიმყოფებით. ქართულ მუშაკთა მშენებელთა საერთო საცხოვრებელი, შეშის უქონლობის გამო, კვირაში ერთხელ ძლივ თბება. მშენებლებს აუტანელ სიცივეში უხდებათ მეცადინეობა. პროფკომმა უნდა იზრუნოს სტუდენტთა საცხოვრებელ ბინების გათბობაზე.

მუშკორი ძველი.

შეაკეთეთ ვაგონი. (ზუგდიდი). სად. ზუგდიდიდან სენაკამდე მატარებელზე მიბმულია ერთი ვაგონი მუშებისათვის. ვაგონი ძალიან დაზიანებულია. სახურავიდან წყალი ჩამოდის და შეუძლებელი ხდება შიგ გაჩერება. შავიზღვის რკ. გზის სამმართველოვ, შეაკეთე ვაგონი.

ნ. მარიამაშვილი.

ტყეს ანადგურებენ. (ქუთაისი). სალორიის ტყე, ამჟამად უყურადღებოთ არის მიტოვებული. ტყეს შეუბრალებლად სჩეხენ და ანადგურებენ, მაგრამ ტყის მცველები ყურსაც არ იბერტყავენ. ისინი სხედან ტყის მახლობლად მდებარე სამიკიტნოში და ქეიფობენ. ვინ დაიცავს სალორიის ტყეს განადგურებისაგან?

მუშა.

—:—

ჩვენს მუშკორებს

— მახვილს. თქვენი წერილი „თავხედი ხაზეინი" უსაფუძვლოა, არ დაიბეჭდება.

— მსმენელს. წერილი „ლატარიის გათამაშების შესახებ". არ წავა.

— მართლაძეს (ხაშური). „ნომერია თუ საცხოვრებელი ბინა" არაა საგაზეთო მასალა. არ დაიბეჭდება.

— უცნობს. (ქუთაისი). ხელმოუწერელ წერილებს არ ვბეჭდავთ.

საქ. ცაკში

ახალქალაქის მაზრაში

მიმდინარე საანგარიშო წლის პირველ კვარტალში (სამ თვეში) ახალქალაქის სამაზრო აღმასკომის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ—ინვალიდებს და ნივთიერად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ პირებს პენსიების და დახმარებების სახით დაურიგა—1.441 მანეთი და 95 კაპ.

ომის ინვალიდებისათვის და ომში დაღუპულ პირების ოჯახებისათვის

ომის ინვალიდებისათვის და ომში დაღუპულ პირების ოჯახებისათვის ამ თვის (მარტის) პენსიების დასარიგებლად საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ, გუშინ მაზრებს გადაუგზავნა—7.000 მანეთი.

ლეჩხუმის მაზრაში

საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით მიმდინარე საანგარიშო წლის პირველ კვარტალში (სამ თვეში) ლეჩხუმის სამაზრო აღმასკომის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებას აღრიცხვაზე ჰყავდა აყვანილი სამოქალაქო და იმპერიალისტურ ომის 57 ინვალიდი; ომში მოკლულთა და უგზო-უკვლოთ დაკარგულთა პირების 118 ოჯახი და 20 შრომის ინვალიდი. ამ დროის განმავლობაში ინვალიდებს და ომში მოკლულთა და დაკარგულთა პირების ოჯახებს აღმასკომმა დახმარებათ მისცა—1.810 მანეთი.

პენსიების დასარიგებლად

საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ დამსახურებულ საზოგადო მოღვაწეებისათვის და მათი ოჯახებისათვის ამ თვის (მარტის) პენსიების დასარიგებლათ შემნახველ სალაროებს გადასცა—10.897 მანეთი. სალარო საზოგადო მოღვაწეებს პენსიებს დაურიგებს 20 მარტს.

ა.-კ. ცაკში

სახელმწიფო სავაჭრო წარმოებები

ა.-კ. ცაკმა და სახკომსაბჭომ მიიღეს დადგენილება სახელმწიფო სავაჭრო წარმოებების შესახებ.

ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე სავაჭრო წარმოებების მოწყობა შეუძლია ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და მის რესპუბლიკანურ რწმუნებულებს და აგრეთვე სხვა სახალხო კომისარიატებს, რამდენათაც მათ ასეთი უფლება მინიჭებული აქვთ დებულებებით ანდა სპეციალური კანონებით.

ნებართვა ფედერატიული ანდა რესპუბლიკანური მნიშვნელობის სავაჭრო წარმოების მოსაწყობად გაცემული იქნება კუთვნილებისამებრ—ან ა.-კ. უმაღლეს ეკონომ. საბჭოდან ანდა რესპუბლიკანურ ეკონომსაბჭოდან.

სავაჭრო წარმოების წესდებას ამტკიცებს წარმოების მომწყობი დაწესებულება; წესდების დამტკიცების დროს საკითხები, რომლებიც ეხება სავაჭრო წარმოების კაპიტალს, შეთანხმებული უნდა იქნეს სათანადო ფინსახკომთან.

ფრანც ბოგუშის დანიშვნა

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით საკავშირო საგზაო კომისარიატის რწმუნებულათ კასპიის ზღვაზე დანიშნულია ამხ. ფრანც ბოგუში.

საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტის გაუქმება

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა გაუქმებულ იქნეს მუშათა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტი. რესპუბლიკის შრომის სახ. კომისარიატებს წინადადება მიეცათ მოახდინონ შრ. სახ. კომ-თან არსებულ მუშ. საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტების ლიკვიდაცია.

საგაზაფხულო თესვის კამპანიის წინ

დირექტივები თესვის კამპანიის ჩატარებისათვის

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა თესვის კამპანიის შესაფერად ჩატარების მიზნით ადგილობრივ აგრონომიულ ორგანიზაციებს მისცა შემდეგი დირექტივები: მოახდინონ ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ძალთა მობილიზაცია და მათ განკარგულებაში არსებული რესურსების სავსებით გამოიყენონ თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის. დააწესონ საბჭოთა ორგანიზაციების სასტიკი პასუხისმგებლობა ყველა იმ ღონისძიებათა თავის დროზე გატარებისათვის, რომლებიც მიმართულია გაზაფხულის თესვის კამპანიის უზრუნველყოფისაკენ.

კამპანიის მსვლელობისა და საზოგადოებრივ ძალების მობილიზაციის ხელმძღვანელობისათვის უნდა მოეწყოს სამაზრო სამეულები და გაიგზავნოს სოფლებში პასუხისმგებელი მუშაკები.

ყურადღება უნდა მიექცეს მოსახლეობის თავის დროზე საჭირო ინვენტარით, სათესლე მასალით და მუშა საქონლის მომარაგებას და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სწორად განაწილებას მშრომელ გლეხობაში, აგრეთვე გასაქირავებელ პუნქტების და სარემონტო სახელოსნოების მუშაობის გაფართოებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ღარიბ და საშუალო გლეხების ინტერესების უზრუნველყოფას და დაცვას. პირველ რიგში დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს საბჭოთა მეურნეობების, კოლექტიურ მეურნეობების, სამანქანო ამხანაგობების და ახლად შექმნილ საწარმოო გაერთიანებათა და მცირე შეძლების გლეხების მოთხოვნილებები.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღების რემონტი მცირე შეძლების გლეხობისათვის უზრუნველყოფილ უნდა იყვეს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის მიერ საჭირო საშუალებების გაცემით და ღარიბ მეურნეობის სარემონტო ფასიდან განთავისუფლებით.

ყურადღება უნდა მიექცეს საწარმოო პროცესებში კოოპერატიულ გაერთიანებას და ამ მიზნით გამოყენებულ უნდა იქნეს სახელმწიფო მრეწველობის შესაძლებლობანი—კოოპერაცია და სასოფლო - სამეურნეო კრედიტის სისტემა.

სასოფლო მეურნეობის ტეხნიკურ კულტურების დარგში ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული კონტრაქტაციის სისტემა და დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ღარიბ გლეხობის საწარმოო კოოპერაციაში გაერთიანებას. ამას თანავე ყურადღება უნდა მიექცეს ტეხნიკურ კულტურების რაიონების უზრუნველყოფას სურსათით და სამრეწველო საქონლით.

საჭირო არის ინვენტარის და მამოძრავებელი ძალის საერთო გამოყენების მოწყობა ინვენტარის კოლექტიურად დაქირავება, მუშა საქონლის კოლექტიურად შეძენა და სხვა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ხორბლეულობისა და ტეხნიკურ კულტურების მოსავლიანობის გადიდებას. ამ მიზნით გაფართოებულ უნდა იქნეს მუშაობა თესლის მასიურად გასაწმენდათ და დასახარისხებლად, სასოფლო მეურნეობაში სასუქების გასავრცელებლად და გაუმჯობესებული თესლის ყველა რესურსების გამოყენება.

უნდა მოეწყოს სპეციალური თათბირები, რომლებშიაც მონაწილეობას მიიღებენ ღარიბი გლეხების, სასოფლო-სამეურნეო მუშათა კავშირის, კოოპერაციის, ქალთა განყოფილებების და კომკავშირის წარმომადგენლები თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებელ გეგმისა და ღონისძიებების კონკრეტიულად განხილვის მიზნით.

საუწყებათაშორისო თათბირი

საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩასატარებლად 13 მარტს, ა.-კ. სახკომსაბჭოს მიერ გამოყოფილ რწმუნებულის—ამხ. ბაგიროვის თავმჯდომარეობით შესდგა გაფართოებული თათბირი საგაზაფხულო თესვის კამპანიასთან დაკავშირებულ საკითხების განსახილველათ.

თათბირს დაესწრნენ ა.-კავკასიის ხელმძღვანელ ორგანოების წარმომადგენლები და ყველა დაინტერესებულ დაწესებულებათა პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირმა განიხილა საკითხები სათესი სივრცის გაფართოების, გლეხებისათვის სათესლე მასალების მიწოდების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ფართოდ გავრცელების და სხვ. შესახებ. ცალკე რესპუბლიკებიდან მიღებულ ცნობებიდან გამოირკვა, რომ წელს აზერბეიჯანში და საქართველოში შემოდგომის სათესი სივრცე გაზრდილია და საგაზაფხულო თესვისათვის სამზადისი იმ გარიგებით სწარმოებს, რომ სათესი სივრცე გადიდებულ იქნეს გაზაფხულზედაც. ამ მიზნით ცალკე რესპუბლიკებს საჭიროებისათვის გამოთხოვილია სათესლე ხორბალი. მარტო საქართველოს, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის გეგმით, მომავალი საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის ესაჭიროება 100.000 ფუთი ხორბალი, 80.000 ფუთი სიმინდი და 100.000 ფუთი ქერი.

გარდა ამისა თათბირმა მიზანშეწონილად სცნო, რომ ხორბლეულობის თესვის გაძლიერებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სასარგებლო საბაზრო კულტურების გავრცელებას და სამრეწველო-ტეხნიკურ კულტურების სივრცის გადიდებას.

საგაზაფხულო თესვის გეგმა

გუშინ, ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოში შესდგა თათბირი, რომელზედაც გამომუშავებულ იქნა საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების გეგმა. თათბირს დაესწრნენ დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლები.

თათბირზე დამუშავებულ და მიღებულ იქნა თესვის კამპანიის გეგმა, რომელშიაც გათვალისწინებულია შემდეგ უმთავრეს სამუშაოთა შესრულება: მიღებულ იქნეს ყოველგვარი ზომები, რომ ყველა რესპუბლიკებში გადიდდეს სათესი სივრცე, რისთვისაც ცალკე რესპუბლიკებს დაევალოთ სასწრაფოდ წარმოადგინონ სწორი ცნობები, თუ რა რაოდენობის სათესი მასალაა მათთვის საჭირო. სათესი მასალით პირველ რიგში დახმარება აღმოეჩინოს საბჭოთა მეურნეობებს, კოლექტივებს და ღარიბ გლეხებს. ტეხნიკური კულტურების გავრცელებისათვის და მათი მოსავლის გაუმჯობესებისათვის საუკეთესო მეურნეებს მიეცეთ ჯილდო დამამზადებელ ორგანიზაციათა საშუალებებიდან. წინადადება მიეცეს რესპუბლიკებში არსებულ თესვის კამპანიის ჩამტარებელ სამეულებს სასწრაფოდ წარმოადგინონ ცნობები, თუ რა პერსპექტივები აქვთ მათ სათესი სივრცის გადიდების მხრივ; აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ცნობები სამეულებმა უნდა გადაუგზავნონ ხაზით დღის განმავლობაში საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების რწმუნებულს ამიერ-კავკასიაში ამხ. ბაგიროვს.

ამასთანავე თათბირმა დაადგინა წინადადება მიეცეს „ზაკსელმაშს" გამოარკვიოს, თუ რა რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო მანქანების განაწილება შეუძლია მას ცალკე რესპუბლიკების სათეს რაიონების შორის.

2.665.000 მანეთი საბინაო მშენებლობისათვის

საქართველოს მუშათა საბინაო კოოპერაციის დამხმარე კომიტეტის ცნობით, მიმდინარე საოპერაციო წლის განმავლობაში საქართველოს საბინაო-სამშენებლო ორგანიზაციები საკავშირო ცენტრალურ კომუნალურ ბანკიდან სესხად მიიღებენ 2.665.000 მანეთს. ცალკე უწყებებისა და ორგანიზაციების მიხედვით სესხს მიიღებენ: ადგილობრივი აღმასკომები—870.000 მანეთს, მათ შორის თბილისის აღმასკომი—600 ათას მანეთს, ბათომის—50 ათას, ცხინვალის—30 ათას, რაჭა-ლეჩხუმის—70.000 მ., სიღნაღ-თელავის—70.000 მანეთს.

სამრეწველო დაწესებულებებს მიეცემა 600.000 მანეთი. აქედან 100.000 მ. მიიღებს რესპუბლიკის სატყეო მრეწველობის ტრესტი, 50.000 მანეთს—საქართ. აბრეშუმის ტრესტი, დანარჩენი სამრეწველო ორგანიზაციები მიიღებენ—450.000 მანეთს.

ამას გარდა რესპუბლიკის საბინაო-სამშენებლო კოოპერაციას მიეცემა 195.000 მანეთი, რომელიც განაწილებული იქნება ცალკე საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობებს შორის. საქართველოს საბინაო-მშენებლობის დამხმარე კომიტეტმა აცნობა ყველა სამშენებლო ორგანიზაციებს და დაწესებულებებს დაუყონებლივ შეუდგენ სამზადისს საბინაო მშენებლობისათვის და მიმდინარე წლის 31 მარტამდე საქართველოს კომუნალურ ბანკთან დასდონ ხელშეკრულება, რათა თავის დროზე მიიღონ ხვედრი თანხები.

ღონისძიებანი სამრეწველო აღმშენებლობის გასაუმჯობესებლად

საქართველოს სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაამტკიცა საგეგმო კომისიის მიერ სამრეწველო აღმშენებლობის საქმის გასაუმჯობესებლად წარმოდგენილ საჭირო ღონისძიებათა პროექტი.

პროექტით ს. მ. უ. საბჭოს დავალებული აქვს არ შეუდგეს აღმშენებლობას მანამდე, ვიდრე დეტალურად არ იქნება გამორკვეული და შესწავლილი ასაშენებელი ადგილი და ასაგები შენობები. სავალდებულოა აგრეთვე შენობის აგების სრული ღირებულების პროექტის წარდგენა, ტეხნიკურ კოეფიციენტების აღნიშვნით, რათა დამტკიცებული თანხა არ იქნეს გადიდებული შემდეგში.

გარდა ამისა დაუშვებელია აგრეთვე დამატებითი თანხების გამოთხოვა ახალ მშენებლობისათვის, მას შემდეგ, რაც სათანადო ორგანოების მიერ დამტკიცებული იქნება ხარჯთაღრიცხვა და პროექტი.

ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სამშენებლო სატეხნიკო კომიტეტს დავალებული აქვს ს. მ. უ. საბჭოსთან და დაინტერესებულ უწყებებთან ერთად შეიმუშაოს მოხსენებები და ეკონომსაბჭოს დადგენილების პროექტი 1927-28 წ. სამშენებლო მასალის გაიაფების გატარების შესახებ, როგორც მრეწველობის, ისე საბინაო აღმშენებლობაში.

თათბირებისა და კრებების აკრძალვა სამუშაო საათებში

ზოგიერთმა სამეურნეო და სავაჭრო ორგანომ განცხადება შეიტანეს სახკომსაბჭოში იმის გამო, რომ მათ ნორმალურ მუშაობას აბრკოლებს ამა თუ იმ დაწესებულების მიერ სამუშაო დროის განმავლობაში გამართულ სხვადასხვა თათბირსა და კრებაში მონაწილეობის მიღების საჭიროება. საადმინისტრაციო სამგებლო ხარჯების შემცირების შემდეგ ყველა თანამშრომელი დატვირთულია მუშაობით და არ შეუძლია მიატოვოს იგი საქმისათვის ზიანის მიუყენებლად; ამას შედეგათ სხვათა შორის, მაზრებიდან ჩამოსულ მომუშავეთა და კერძო მთხოვნელთა დაყოვნება რადგან შეუძლებელი ხდება მათი თხოვნის თავის დროზე დაკმაყოფილება. ამის გამო სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა: წინადადება მიეცეს ყველა სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებას, აგრეთვე კოოპერატიულ ორგანიზაციას—ის თათბირი და კრება, რომელშიაც მოწვეულ უნდა იქნენ სხვა დაწესებულების და წარმოების წარმომადგენელნი, გამართოს მხოლოდ საღამოობით.

სამუშაო საათების განმავლობაში აღნიშნული თათბირი და კრება შეიძლება გამართოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში როდესაც საკითხი სასწრაფო ხასიათისაა და არ გადაიდება სხვა დროისთვის.

ამასთანავე წინადადება მიეცა ყველა დაწესებულებასა და წარმოებას ზედმიწევნით განახორციელოს საქართველოს სახკომსაბჭოს 1924 წ. აპრილის 26-ის თარიღისა და 13 №-ით დადგენილება—ყოველკვირეული დასვენების შესახებ საბჭოთა დაწესებულებებში.

რადიო-თათბირი

გუშინ, ილიჩის საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგა რადიო-თათბირი. თათბირმა მოისმინა ამხ. შაშიაშვილის საინფორმაციო მოხსენება თბილისის „რადიოს მეგობართა საზოგადოების" მუშაობის შესახებ.

„რადიოს მეგობართა საზოგადოების" ზრდა ნორმალურად მიმდინარეობს თბილისში. რაც შეეხება მაზრებს, იქ საზოგადოების უჯრედები ეწყობა თვით ადგილობრივი ძალების ინიციატივით. საერთოდ, ადგილებზე შესამჩნევად იზრდება ინტერესი რადიოსადმი, რასაც მოწმობს ის გარემოება, რომ უკანასკნელ ხანებში გლეხები იძენენ რადიო აპარატებს საკმაო რიცხვით.

რადიოს მეგობართა საზოგადოების მუშაობის გაფართოებას უშლის ქართულ ენაზე სათანადო ლიტერატურის უქონლობა და ის გარემოება, რომ არ მოიპოვება შესაფერი ლექტორები. მუშაობას აფერხებს აგრეთვე ისიც, რომ პროფკავშირთა მუშაობა რადიოწრეების დარგში არ არის შეთანხმებული რადიოს მეგობართა საზოგადოების საქმიანობასთან. მომავალში ეს საკითხი უნდა მოგვარდეს რადიოს მეგობართა საზოგადოების და პროფორგანიზაციების საქმიანობის სწორეთა განსაზღვრით.

რადიოს პოპულიარიზაციის მიზნით, აუცილებლად უნდა შეიქმნას მოძრავი რადიო. რაც შეეხება ფოსტა ტელეგრაფის სახ. კომისარიატის მხრივ რადიოს მეგობართა საზოგადოებისათვის დახმარების აღმოჩენას, ამ დარგში ჯერ არაფერია გაკეთებული. მომავალში ქართულ ენაზე აუცილებლად უნდა გამოიცეს პოპულიარული და მეცნიერული რადიო-ლიტერატურა. უნდა მომზადდეს ლექტორების საკმაო კადრი და უნდა შეიქმნას სააგიტაციო მნიშვნელობის მქონე მოძრავი რადიო. აუცილებლად უნდა მოგვარდეს აგრეთვე საზოგადოების ნივთიერი მდგომარეობა. ჯერ-ჯერობით მის მთავარ საშემოსავლო წყაროს წარმოადგენს რადიო-სახელოსნო. მომავალში ის უნდა გაფართოვდეს.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ მიღებულ უნდა იქნას სასწრაფო ზომები ქართულ ენაზე რადიო-ლიტერატურის გამოსაცემად, უნდა მოგვარდეს პროფკავშირებთან ურთიერთობა, და უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს რადიო-მეგობართა საზოგადოებაში პარტიელებისა და კომკავშირელების ჩაბმის საქმეს. საზოგადოებამ, თავისი მატერიალური გაუმჯობესების მიზნით, უნდა მოაწყოს რამდენიმე შემოსავლიანი წარმოება. პროფკავშირებთან ურთიერთობის მოსაგვარებლად გადაწყდა სპეციალური თათბირის მოწვევა.

საკონსერვო ქარხანა გორში

სასურსათო კავშირის ს. მ. უ. საბჭოს სამეცნიერო ტეხნიკურ სამმართველოსთან არსებულმა სასურსათო პროდუქტების მრეწველობის სამეცნიერო ტეხნიკურმა საბჭომ განიხილა გორის საკონსერვო ქარხნის პროექტი. საბჭომ სცნო, რომ წარმოდგენილი მასალები არ იძლევა ქარხნის პროექტის სრულ დასაბუთებას. დადგენილ იქნა პროექტის შესახებ წარმოდგენილი მასალა ჩაითვალოს საორიენტაციოთ. ხსენებული მასალა მოითხოვს დეტალურ დამუშავებას. ცნობილ იქნა, რომ რაიონის ეკონომიკა ნედლეულობის მხრივ სავსებით უზრუნველყოფს ქარხნის აგების მიზანშეწონილობას. ხარჯების შემცირების და აგრეთვე მოწყობილობის სავსებით გამოყენების მიზნით საბჭომ სასურველად სცნო დამუშავებულ იქნეს საკითხი ამავე ქარხანაში ორ ან სამ ცვლა მუშაობის შემოღების შესაძლებლობის შესახებ.

საბჭომ საჭიროდ სცნო სასწრაფო წესით დამუშავებულ იქნეს ქარხნის პროექტი და დაევალოს „გლავკონსერვტრესტს" გამოარკვიოს საკითხი სამაცივრო მოწყობილობის შესყიდვის შესაძლებლობის შესახებ.

მაგნიტური რკინა-ქვიშა

ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილებამ დაამუშავა გეგმა შავი ზღვის სანაპიროებზე, ნატანების რაიონში მდებარე მაგნიტური რკინა-ქვიშის მადნების დამუშავების შესახებ. გადაწყვეტილია ახლო ხანში დაწყებული იქნეს მადნების რაიონის სრული გამოკვლევა, მარაგის გამორკვევა და მადნების მდებარეობის რუქის შედგენა.

ყველა აღნიშნულ სამუშაოთა ჩასატარებლათ სამთო განყოფილების განკარგულებაში გადადებულია 37.000 მანეთი. ამ დღეებში მადნების გამოსაკვლევ სამუშაოების დასაწყებათ მიემგზავრება ტეხნიკოსი კაიევი, ხოლო შემდეგ გაიგზავნებიან გეოლოგები.

აღნიშნულ რაიონში მაგნიტური რკინაქვიშის მადნების დამუშავების საქმე დაკავშირებულია ტყვარჩელის რაიონში ქვანახშირის მრეწველობის დაწყებასთან.

რკინა-ქვიშის მადნების გამოკვლევა დამთავრდება ერთი წლის განმავლობაში.

რა სტკივა სოფელს

შენვე უნდა იყო პასუხისმგებელი შენი მუშაობისათვის
(წერილი გორიდან)

უკანასკნელ ხანებში ზოგიერთ ადგილობრივ პასუხისმგებელ მუშაკებს ემჩნევათ ფრიად მავნე გადახრა. ისინი ასე ფიქრობენ: თუ ცენტრი ან ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები ვერ აღმოაჩენენ ჩვენი მუშაობის ნაკლს, ვცდილობთ ჩვენთვის ჩუმათ გადავბრუნდეთ მეორე თეძოზე და გავაგრძელოთ ტკბილი ძილი.

სწორედ ასეთი მოაზროვნე ზოგან მაზრის და ზოგან თემის ფარგლებში მომუშავე ამხანაგები სცდილობენ დამალონ თავიანთი ნაკლი, რაც ხშირად სოფლის კეთილ-მოწყობის მტკივნეულ საკითხად არის მიჩნეული. მაგრამ ავადმყოფმა თავისი ავადმყოფობა ბევრიც რომ მალოს, სენი მაინც თავს იჩენს. ასე ემართებათ გორის მაზრაში მომუშავე ზოგიერთ ამხანაგებს.

მაგალითად კასპის თემაღმასკომის თავმჯდომარეს თუ მაზრის ცენტრიდან არ შენიშნეს, რომ მისი თემის სოფლის სკოლაში ხის დაფა და ცარცი ან კიდევ გამოსაგველი ცოცხი არ არის—ის თავს არ აიტკივებს, დასახელებულ სკოლას წლობით მოუსპობს ამ უსაჭიროეს საგნებს და ეტყვის „იოლათ [illegible]". ამავე კასპის თემში თუ რომელიმე კულაკი ორი დესეტინა ტყიულ ადგილს დაიჩემებს და ამას მაზრაღმასკომი არ აღმოაჩენს, რას ინაღვლებს თემაღმასკომი? ის ძილს მისცემს თავს, სანამ ეს კულაკი გლეხებს არ დააჯარიმებს საქონლის გავლისათვის და არ [illegible] ამ ტყე-ველს.

ის არც იმისათვის შეწუხდება თუ რომელიმე ყოფილი მემამულე რომელიმე მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემას მოახერხებს. რადგან მიწის კოდექსის ერთ-ერთ მუხლში მან წაიკითხა, რომ „მხოლოდ ნორმის ფარგლებში მიწის იჯარით გაცემა შეიძლება"-ო, ხოლო ამ მუხლის შენიშვნა კი იმის შესახებ, რომ „ყოფილ მემამულეს მიწის გაცემის უფლება არ აქვს, რა ზომისაც არ უნდა იყვეს იგი". ეს შენიშვნა მან ან სულ არ წაიკითხა და თუ წაიკითხა არ დაიხსომა, როგორც „ზედმეტი ბარგი".

ან და ავიღოთ გორის თემის აღმასკომის თავმჯდომარე. ის სრულებით არ ფიქრობდა იმას, რომ 1928 წ. ზამთარი მოვიდოდა და „მისი" სოფლები, სადაც წვრილ და სხვილ მესაქონლეობას მისდევენ, მაინც და მაინც კვების მხრივ ცუდ პირობებში ჩავარდებოდნენ. მაგრამ ფიქრმა უმტყუნა: წარმოიდგინეთ წელსაც მოვიდა ზამთარი, მოვიდა ადრე და ხანგრძლივიც შეიქნა, რის გამო ს. ღვარების და სხვა სოფლის მცხოვრებთა საქონელი უმწეო მდგომარეობაში ჩავარდა. თემის თავმჯდომარემ „თავი მიიქანა", მაგრამ რაღა დროს. შემდეგ მან მართლაც ხელ-ფეხი ბევრი იქნია, საბოლოოდ კი ისევ სამაზრო აღმასკომს მიჰმართა.

ისმის საკითხი, შეეძლო თუ არა გორის თემაღმასკომს გამოეჩინა წინდახედულობა და ამ მდგომარეობაში არ ჩაეყენებინა დასახელებულ სოფლის საქონელი? რატომ არ გაიგო მან ჰქონდა თუ არა რაიმე მარაგი და სხ.—დიახ, ჰქონდა! მან შემოდგომაზე უმნიშვნელო ფასში გაჰყიდა 400 მან. თივა და „ჩააბარა" ერთ-ერთ მასწავლებელს, რომელმაც ეს თანხა პირნათლად „შეკრიბა", შესჭამა, მოხდა გაფლანგვა.

გუჯარეთის თემში გაჭყურდეს კოოპერატივი და, როდესაც გამძარცველების მოძებნის საკითხი დადგა, თემაღმასკომმა და მილიციამ ხელის შეშლა დაიწყეს, რომ ბოროტმოქმედი აღმოჩენილი არ ყოფილიყო. ამისათვის მათ საკადრისი მიეზღოთ, სათანადოთ იქმნენ „დაჯილდოვებულნი", მაგრამ მაინც მინდა ფაქტის აღნიშვნა.

რა ღონისძიება უნდა მივიღოთ ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, როგორ უნდა იმუშაონ მაზრის ქვემდებარე ორგანოების ხელმძღვანელებმა, რომ მათ შემდეგში არ მოუხდეთ წაკითხულ კორესპონდენციების გამო სირცხვილით გაწითლება?

მე ვფიქრობ, რომ ყოველივე იმის გარდა, რაც სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად თან სდევს ბოროტებას, გაფლანგვას, დაუდევრობას, საჭიროა მეტი ზედამხედველობის და თვალყურის დევნება, ძირეულ ორგანოების მხრით. საჭიროა მათ ხელმძღვანელთა შორის იმის შეგნების შეტანა, რომ ისინი არიან ხალხის მიერ ამორჩეულნი და პასუხისმგებელნი ამ ხალხის წინაშე. მათ კარგათ უნდა ახსოვდეთ, რომ თუ ამომრჩეველების იმედები ამა თუ იმ თემის მუშაკმა არ გაამართლა, მას გადაარჩევენ, გააშავებენ.

ეხლა, როდესაც საბჭოების მუშაობის შესახებ, ანგარიშების ჩაბარების კამპანიას შეუდგით, ბევრი თემის მუშაკი გრძნობს უხერხულობას, მით უმეტეს გრძნობენ ისინი, რომლებსაც რაიმე ბოროტება მიუძღვით, რომლებმაც საბჭოების არჩევნების დროს მიღებული „ნაკაზები" ვერ შეასრულეს. თუ წარსულში რომელიმე მათგანი ცდილობდა ზემდგომში ორგანოების მოტყუებას, დღეს დადგა თვით მშრომელი ხალხის საშუალებით ადგილობრივ მათი კონტროლის გაწევის და ნაკლოვანებათა გამომჟღავნების დრო და გაბათილდა ზოგიერთების ყალბი შეხედულება „უწყებრივი პატრიოტიზმით" ვისიმე ყინულზე გაყურება.

მ. ქურდაძე.

დიდი ზამთარი გურიაში
(წერილი ოზურგეთიდან)

გურიაში წელს არაჩვეულებრივი ზამთარი დაიჭირა. ჯერ კიდევ 1927 წლის ნოემბერში მოვიდა პირველი თოვლი, შემდეგ დეკემბერში, იანვარში და ამ უკანასკნელად თებერვალ-მარტში სრულიად მოულოდნელი იყო ½—1 მეტრი თოვლი.

გურიის გლეხობა ძალიან ნაკლებად ფიქრობს ზამთრისათვის სამზადისზე. გურიის ლმობიერმა ჰავამ შეაჩვია გურული გლეხი ისეთ უდარდელობას, რომელსაც წელს მოსალოდნელია მოყვეს ფრიად სამწუხარო შედეგი.

განუწყვეტელი წვიმის და თოვლის დროს გლეხობას სრულიად გამოელია ისედაც მცირედი საქონლის საკვები, რასაც სასხვათაშორისოდაც იმარაგებენ ხოლმე ჩვენში. ჯერ კიდევ სოფლად ერთ მეტრამდე თოვლი ძევს, ყველა თემებიდან მოითხოვენ: მოგვაშველეთ საქონლის საკვები, საქონელი იხოცება. თივა ძალიან სუსტად მოდის, სულ მარტის თვის განმავლობაში მიღებულია 7-8 ვაგონი, საჭირო კი არის 50-60 ვაგონი.

გასული წლის ოქტომბრიდან დღემდე სულ დაიხოცა 1.260 თავი მსხვილფეხა საქონელი, ამათში 75 პროც. დიდი თოვლის დროს, მოსალოდნელია, რომ ზარალი ორჯერ მეტი იქნება. დიდად დაზარალდა აგრეთვე მეჯოგეები, განსაკუთრებით ცხვარი. წინასწარ შეგროვილი ცნობების მიხედვით დაიხოცა 2.000-მდე ცხვარი.

ეს გარემოება ეხლავე აყენებს საკითხს, შესძლებს თუ არა გლეხობა ყანების დათესვას. მართალია კარგი გაზრდილი ოჯახი, როგორიც იქნება დიდი ვაჟ-ვაჟიანი შეინარჩუნებს მუშა-საქონელს, მაგრამ სუსტი საკვების უქონლობის გამო ძლიერ სავნებოა, რომ მარტში და აპრილში, როდესაც მიწებს მოხვნა უნდა, რომ გამოადგეს მას გაძვალტყავებული საქონელი. ამისათვის საჭირო გახდება, სადაც კი შეიძლება მისი გამოყენება, ტრაქტორების შეძენა, თუ ეს მოსახერხებელი იქნება.

საკვები მასალის შემდგომი მომარაგებისათვის თითქმის ყველა საკრედიტო ამხანაგობათა გამგეები მივლინებული არიან, მაგრამ ჯერ-ჯერობით აქედან დიდი შედეგი არ სჩანს. არის შემთხვევები, რომ გლეხები მიდიან მთებში თხილამურით და იქიდან მოაქვთ ზურგით წყავის, სუროს, ძმერხლის და სხვ. ფოთოლი საქონლისათვის.

ეს გარემოება ქმნის კიდევ მეორე საშიშროებას: წელს გურიაში სიმინდის დიდი ნაკლებობაა; ჩვენ დაპირება გვქონდა 200 ვაგონი სიმინდის მიღების. ეს ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ ნახევარია იმის, რაც საჭირო არის. ეხლა კი გლეხობა თავის სიმინდის მარაგის ნაწილს ეჭვს გარეშე მოიხმარს საქონლის გამოსაკვებად, რაც ისედაც რთულ მდგომარეობას,—კიდევ უფრო გაართულებს.

მწვავედ სდგას აგრეთვე საკითხი მოსალოდნელი წყალდიდობის საფრთხის თავიდან ასაცილებლად. გურია დასერილია მომცრო, მაგრამ მთების გიჟმაჟი მდინარეებით: ბჟუჟა, ნატანები, ბახვის წყალი, გუბაზეული, სუფსა და სხვ. განსაკუთრებით პირველი ორი მდინარე ემუქრება სქლად დასახლებულ სოფლებს და თვით ქ. ოზურგეთს. მდინარე ბჟუჟის ნაპირების გასამაგრებლად წელს წყალთა სამმართველოს მიერ გადადებულია 20.000 მანეთი. ხარჯთ-აღრიცხვა (გეგმა) კი შედგენილია 40.000 მანეთის რაოდენობით. სამაღმასკომი ფიქრობს ზედმეტი ოცი ათასი მანეთი როგორმე კიდევ იშოვოს ამ საქმისათვის მოსახლეობის შრომითი თვითდაბეგვრასთან ერთად. მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილია; მეორე მდინარე ნატანებზეც უნდა დავიწყოთ მუშაობა, თუ გინდ დროებით, ამ პირველ შემთხვევაში რომ ავიცილოთ თავიდან კატასტროფა.

სამაღმასკომის მიერ გამოყოფილია წყალდიდობასთან მებრძოლი კომისია; ასეთი კომისიის შედგენის დირექტივა მიეცათ აგრეთვე იმ თემებს, რომლებსაც წყალი ემუქრება.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ზემოთ ნათქვამით სრულიად არ ამოიწურება ის ზარალი, რომელიც მიმდინარე ზამთარმა მიაყენა გურიას. ჯერ კიდევ გამოურკვეველია მდგომარეობა სუბტროპიკულ მცენარეების: მანდარინის, ლიმონის, თურთოხალის, რაც გურიაში დიდად გავრცელებული იყო და გლეხობაც დიდ იმედს ამყარებდა მის მომავალზე.

ეხლა ჩვენ პირველად მოგვეცა საშუალება, რომ გურიის ჩამორჩენილი მეურნეობა უმაღლეს საფეხურზე ავეყვანა ჩაის და სხვა სუბტროპიკულ მცენარეთა მოშენებით. ჩაის საქმის სარგებლიანობა კარგად შეიგნო გურულმა გლეხმა. წელს ჩვენ გეგმით გათვალისწინებული გვქონდა 925 დესეტინის დათესვა, მოსალოდნელი იყო, რომ იმ ენერგიის მიხედვით, რომელსაც გლეხობა იჩენს ამ მუშაობაში ჩვენ დავთესდით 1.150 დესეტინას, მაგრამ დიდმა თოვლმა აქაც შეგვიშალა ხელი. მიუხედავად ამისა, მაინც არის იმედი, რომ განაკვეთი შესრულებული იქნება.

ჩაის და სხვა სუბტროპიკული მცენარეების მოშენებისაკენ აღებული ხაზი უსათუოდ ერთად-ერთ სწორად უნდა ჩაითვალოს გურიის პირობებში და ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ისეთ ყინვებს და თოვლს, როგორიც წელს არის გურიაში აღნიშნული მცენარეები აიტანენ უფრო მეტი მზრუნველობის პირობებში.

ამის საშუალება დღეს გვაქვს. ეხლახან გურიის საკრედიტო 14 ამხანაგობას მიეცა 200.000 მანეთი გრძელვადიანი სესხი საგლეხო მეურნეობის განსავითარებლად, გარდა ამისა, კიდევ ეძლევა მეურნეობებს სხვა სპეციალური სესხები ჩაის, მეთამბაქოობის, მეფუტკრეობის და სხვ. განსავითარებლად.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთი ხელის შემწყობი პირობებში, მიუხედავად სტიქიური დაბრკოლებებისა, მაინც განვითარების გზით წავა ჩვენი სასოფლო-მეურნეობა.

ორიოდე სიტყვა გზების და სკოლების მდგომარეობის შესახებ. გურიის გზები მუდამ უნუგეშო მდგომარეობაში იყო, განსაკუთრებით საჯავახო—ჩოხატაური—ოზურგეთის გზა; მხოლოდ წელს მოახერხა გზატკეცილების სამმართველომ ამ გზის შესაკეთებლად 40.000 მანეთის გადადება, რასაკვირველია ეს ძლიერ ცოტა იყო, სამაზრო აღმასკომს საშუალება მიეცა ამ გზისათვის დამატებით გაეღო 60.000 მანეთი და შრომითი ბეგარის გამოყენება. ჯერ მუშაობა დაწყებული არ არის, რაშიც ხელს გვიშლის თოვლი და რაც მთავარია მუშა-საქონლის ნაკლებობა.

დანარჩენ სამაზრო მნიშვნელობის გზების და ხიდების შესაკეთებლად იმ სპეციალური თანხიდან, რომელიც მივიღეთ საკავშირო მთავრობისაგან, აღმასკომს გადადებული აქვს 70.000 მანეთი. ეს თანხები ისე არის განაწილებული, რომ არც ერთი ოდნავ მნიშვნელობის გზები არ არის უყურადღებოდ დატოვებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამაღმასკომს განზრახული აქვს მდინარე სუფსაზე ხიდის აგება ქ. ოზურგეთიდან სილაურ-ჯუმათის თემის მიმართულებით; ეს გზა და ხიდი აერთიანებს და აკავშირებს ქალაქთან ექვს თემს, რომლებიც სულ ცოტა წყალდიდობის დროს მოწყვეტილი იყვნენ სამაზრო ცენტრზე.

ეხლა ჩვენ დავიწყეთ საბჭოების საანგარიშო კამპანია, რომელიც დასრულდება აპრილის შუა რიცხვებში, რამაც უნდა გააცნოს ამომრჩევლებს საბჭოების წარსული საქმიანობა და დასახოს მომავალი მუშაობის გეგმა.

მიმდინარეობს აგრეთვე საგლეხო სესხის გასაღების კამპანია; უნდა ითქვას, რომ ამ სესხის რეალიზაციის მსვლელობამ მოლოდინს გადააჭარბა; მართალია, ჯერ-ჯერობით შეკრებილ ცნობებით მხოლოდ 50 პროცენტია განაღდებული, მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩვენს მიერ მიცემულ განაკვეთზე ზოგიერთმა თემებმა გადააჭარბეს 50 პროცენტითაც კი. აქაც არის ერთი ნაკლი, არ არის მიღებული ობლიგაციები და ხშირად დროებითი კვიტანციებიც.

სრული დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ საგლეხო სესხის ის რაოდენობა, რომელიც ოზურგეთის მაზრამ უნდა გაანაღდოს სრული ასი პროცენტით იქნება გასაღებული.

ჭ. მურგვანიძე.

მაქსიმ გორკის იუბილე [illegible]

გუშინ, 2 საათზე განათლების სახალხო კომისრის კაბინეტში შესდგა სპეციალური კომისიის თათბირი ამხ. დ. კანდელაკის თავმჯდომარეობით და ამხ. ხ. თოდრიას, ა. აბაშელის, სახელგამის გამგის ბ. ბიბინეიშვილის და პროფსაბჭოს წარმომადგენლის ქშოინძერის მონაწილეობით.

თათბირმა შეიმუშავა მაქსიმ გორკის 35 წლის სამწერლო მოღვაწეობის იუბილეის ჩასატარებლად წინასწარი ღონისძიებები და განიხილა იუბილესთან დაკავშირებული საკითხები.

თათბირმა დაადგინა 29 მარტიდან ჩატარდეს საიუბილეო კამპანია მთელ რესპუბლიკაში. კამპანიის განმავლობაში თბილისში მუშათა ცენტრალურ კლუბში და პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში გაიმართება სპეციალური მოხსენებები გორკის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. ასეთივე მოხსენებები წაკითხული იქნება ჭიათურაში, ფოთში, ქუთაისში, ბათომში და ხაშურში. მოხსენებებისათვის სქემის შემუშავება და მომხსენებლების დანიშვნა დაევალა ამხ. ხ. თოდრიას და ა. აბაშელს.

მწერალთა ფედერაციას ევალება იუბილეს დღისათვის გამოსცეს „ქართული მწერლობის" სპეციალური ნომერი, რისთვისაც შეადგინოს ცალკე კომისია.

თათბირმა აგრეთვე დაადგინა სთხოვოს საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. შ. ელიავას მიმართოს საკავშირო საიუბილეო კომიტეტს, რათა მაქსიმ გორკი საბჭოთა კავშირში ჩამოვიდეს შავი ზღვით და რამდენიმე დღით დარჩეს თბილისში. თუ ეს მოუხერხებელი იქნება, მაშინ გამოარკვიოს თუ როდის შეიძლება გორკი ჩამოვიდეს საქართველოში.

თათბირის დადგენილებით მაქსიმ გორკის თბილისში ჩამოსვლის დღეს ოპერის თეატრში გაიმართება საზეიმო საღამო. მისალმებებისა და მოხსენებების შემდეგ ქართულად წარმოდგენილი იქნება იუბილიარის პიესა. „ფსკერზე". პიესის დადგმა დაევალა ა. ახმეტელს.

ამასთან ერთად თათბირმა დაადგინა [illegible] ადგილობრივ [illegible] წარმოადგინონ საიუბილეო კომიტეტს თავიანთ მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ რა სახით აპირებენ ისინი მონაწილეობის მიღებას იუბილეში

აგრეთვე ეთხოვოს განათლების კომისარიატს წარმოადგინოს სკოლებში საიუბილეო კამპანიის ჩატარების გეგმა; ამასვე ეთხოვოს დაარსოს გორკის სახელობის 3 სტიპენდია: 1 სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1 მოსკოვის ერთ-ერთ უნივერსიტეტში და ერთიც საზღვარგარეთის რომელიმე უნივერსიტეტში და ერთ-ერთ შრომის სკოლას დაარქვას გორკის სახელი.

სახელგამს დაევალა გამოსცეს გორკის ნაწერების კრებული, ლენინის წერილი გორკზე და გორკის წერილი ლენინზე ცალკე წიგნად და აგრეთვე გორკის ნაწერების ყველა თარგმანები, რომლებიც გაფანტულია ძველ ჟურნალ-გაზეთებში.

თათბირმა დაადგინა სახელგამთან დაარსდეს კომისია ამხ. ბიბინეიშვილის, ნ. მიწიშვილის და ა. აბაშელის შემადგენლობით, რომელსაც დაევალოს შეადგინოს გორკის ნაწერების სია ქართულ ენაზე გამოსაცემად.

თათბირმა აგრეთვე გადაწყვიტა ი. გომართელს დაავალოს გორკის ბიოგრაფიის შედგენა და მისი საზოგადო მოღვაწეობის შესახებ ვრცელი მიმოხილვის დაწერა, რომელიც გამოცემული იქნება ცალკე ბროშურის სახით.

ბოლოს თათბირმა მოისმინა პროფსაბჭოს წარმომადგენლის ქშოინძერის მოხსენება იმის შესახებ, თუ რა სახით აპირებს პროფსაბჭოს კულტგანყოფილება მონაწილეობა მიიღოს იუბილეში. პროფსაბჭოს გეგმით საიუბილეო კამპანიის განმავლობაში მუშათა კლუბებში გაიმართება შესაფერი საღამოები, მოეწყობა ლექცია-საუბრები გორკის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, კლუბებში წარმოდგენილი იქნება გორკის პიესები „მტრები", „ფსკერზე" და „მეშჩანები". ამას გარდა მუშათა აუდიტორიაში მოეწყობა დიდი დისპუტი გორკის შემოქმედებაზე და გაიმართება მოგონებათა საღამოები.

წყალდიდობის მოლოდინში

სამეულების მოწყობა დასრულდა

წყალთა მეურნეობის სამმართველოში მაზრებიდან მოსული ცნობებით, მოსალოდნელ წყალდიდობასთან მებრძოლი სამეულების მოწყობა ყველგან დასრულდა. სათემო აღმასკომებთან მოწყობილი სამეულები უკვე შეუდგენ მდინარეთა ნაპირების გასამაგრებელ მასალების დამზადებას.

ცნობები ლეჩხუმის მაზრიდან

ლეჩხუმის სამაზრო აღმასკომი ატყობინებს წყალდიდობასთან მებრძოლ ცენტრალურ საგანგებო კომისიას, რომ უკვე დაწყებულია თოვლის დნობა და მდინარეებს ეტყობათ მომატება.

მდინარე ცხენის-წყალი უკვე გადასცდა ნაპირებს და წალეკვით ემუქრება ქალ. ცაგერს. დიდი საფრთხე მოელის აგრეთვე ჭვულიშთავის რაიონს, სამაზრო სამეულმა მიიღო ზომები ყველა მდინარეთა ნაპირების გასამაგრებლათ. გადაწყვეტილია აგრეთვე სასწრაფოდ შეუდგენ მდ. ლაჯანურას ნაპირების გამაგრებას, ვინაიდან ეს მდინარე დიდ საფრთხეს უქადის სოფ. ორბელს.

მდინარეთა ნაპირების გამაგრება უკვე დაწყებულია. მოსახლეობა ხალისით გამოდის სამუშაოებზე.

გორის მაზრაში

გორის სამაზრო აღმასკომი იტყობინება, რომ თემებში უკვე დასრულდა წყალდიდობასთან მებრძოლი სამეულების მოწყობა. სამეულების ინიციატივით სწარმოებს მდინარეთა ნაპირების გასამაგრებელი ხე-ტყის მასალის დამზადება.

სენაკის მაზრაში

სენაკის სამაზრო აღმასკომიდან მოსული ცნობებით მაზრას დიდი საფრთხე მოელის მდ. ცხენის-წყალისა და რიონის ადიდებისაგან. აღნიშნულ მდინარეთა ნაპირების გასამაგრებლათ აღძრულია შუამდგომლობა სათანადო სპეციალისტების გაგზავნისა და სათანადო თანხების გადადების შესახებ.

ქუთაისში

ქუთაისიდან იტყობინებიან, რომ იქ დაიწყო დიდი წვიმები, რაც იწვევს თოვლის დნობას. მდინარეები სწრაფად მატულობენ. ნაპირების გასამაგრებელ სამუშაოების სახელმძღვანელოთ მოწვეული არიან სპეციალისტები.

ჯანმრთელობის გამოკვლევა

შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებამ და შრომის სანიტინსპექციამ დაამთავრა მოზარდთა და მცირეწლოვან მუშათა ჯანმრთელობის გამოკვლევა თბილისის მთავარ წარმოებებში. გამოკვლევა ჩატარებული იქნა პოლიგრაფიულ და ლითონის წარმოებებში, თამბაქოს ქარხნებში, კინო-მრეწველობაში და საფეიქრო მრეწველობაში.

გამოკვლეულია 251 მოზარდის და მცირეწლოვანი მუშის ჯანმრთელობა. გამოკვლევამ ნათელჰყო, რომ მოზარდ და მცირე წლოვან მუშათა მთელი 100 პროცენტი დაავადებულია სხვადასხვა სენით: უმთავრესად სასუნთქი ორგანოების, და ლიმფატიური ჯირკვლების დაავადებით. დანარჩენი კი დაზიანებული აღმოჩნდა: დაზიანებული პირის ღრუ, მხედველობის კატასტროფიული სისუსტე, სასქესო ორგანოების სნეულება (განსაკუთრებით მუშა-ქალების), მალიარია და ჭლექის ნიშნები.

ჯანმრთელობის მხრივ შემოწმებულ 251 მოზარდ და მცირეწლოვან მუშას შორის სავსებით ჯანმრთელი აღმოჩნდა მხოლოდ 4 ახალგაზრდა.

შრომის დაცვის განყოფილებამ და სანიტ-ინსპექციამ შეიმუშავა სასწრაფო ზომები წარმოებებში სანიტ-პირობების გასაუმჯობესებლად და დაავადებულთათვის საჭირო საექიმო დახმარების აღმოსაჩენად.

ფლორიდინის მადანი

ფლორიდინი, რომელიც საჭიროა ნავთის მრეწველობაში—ნავთის გასაწმენდათ დღემდე საბჭოთა კავშირში და კერძოთ ამიერ-კავკასიაში შემოჰქონდათ ამერიკიდან. ვინაიდან წინასწარი ცნობებით შესაძლებელი იყო საქართველოში აღმოჩენილი ყოფილიყო ფლორიდინის მადნები (ფლორიდინის მიწას ჩვენში ეძახიან თავსაბან მიწას) სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო განყოფილება შეუდგა რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში სათანადო გამოკვლევების ჩატარებას. ენერგიულ კვლევა-ძიების შემდეგ ფლორიდინის ნიმუშები აღმოჩენილი იქნა საქართველოს მრავალ რაიონში.

ყველაზე უფრო მდიდარი და ძვირფასი ფლორიდინის მადანი აღმოჩენილი იქნა ქუთაისის მაზრაში—სოფ. გუმბრში.

ლაბორატორიულ და მეცნიერულ გამოკვლევებით დამტკიცდა, რომ გუმბრის რაიონის ფლორიდინი არაფრით არ ჩამოუვარდება ამერიკისას. ამავე დროს გუმბრის რაიონში არის ფლორიდინის დიდი მარაგი.

ბათომში ახლად აგებულმა ნავთის ნაწარმოების დამამზადებელმა ქარხანამ სამთო ტრესტს უკვე დაუკვეთა 1500 ფუთი გუმბრის ფლორიდინი ცდების მოსახდენად.

მარტო ამ ქარხანას წლიურად ესაჭიროება 400.000 ფუთი ფლორიდინი ნავთის გასაწმენდათ.

გუმბრის ფლორიდინი სანიმუშოთ გაეგზავნებათ ბაქოს და გროზნოს ნავთის ქარხნებსაც და თუ ცდებმა ქარხნებისათვის დამაკმაყოფილებელი შედეგები გამოიღო, სამთო მრეწველობის ტრესტი შეუდგება გუმბრში შესაფერი წარმოების მოწყობას და მის ექსპლოატაციას.

საქართველოს მუზეუმის შენობა

დამთავრებული იქნება დეკემბერში

ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს საქართველოს მუზეუმის მთავარი შენობის დასამთავრებლად.

მიმდინარე მუშაობისა და იმის შესახებ, თუ როდის დამთავრდება სავსებით მუზეუმის შენობის მოწყობა, ჩვენი გაზეთის თანამშრომელს სამუშაოთა ხელმძღვანელმა ინჟ. სევეროვმა შემდეგი აცნობა:

საქართველოს მუზეუმის შენობის დასამთავრებლად,—განაცხადა ინჟ. სევეროვმა,—სახალხო კომისართა საბჭოს გადადებული აქვს—350.000 მანეთი. ეს თანხა სავსებით ხმარებული იქნება მუზეუმის მოსაწყობათ.

მუშაობა რამდენიმე თვეა დაწყებულია და ინტენსიურად მიმდინარეობს.

მუშაობა სწარმოებს შენობის როგორც შიგნით მოსაწყობათ, აგრეთვე მისი ფასადის შესაცვლელად, ვინაიდან მუზეუმის [illegible] და [illegible] არ იყო დამაკმაყოფილებელი.

ძველი შენობა ისლამური სტილით არის აგებული. მისი ფასადი წარმოადგენდა არეულ [illegible].

ახალი გეგმით, რომელიც დამტკიცებულია სახალხო კომისართა საბჭოს და სპეციალურ არქიტექტურ კომისიის მიერ, გადაწყვეტილია შენობას მიეცეს სამოქალაქო—ქართული სტილის ხასიათი.

ახალი პროექტით, მუზეუმის შენობის წინა ნაწილი, დაფარული იქნება თეთრი გათლილი ქვით, რომელიც სპეციალურათ მოტანილია [illegible]. [illegible] ქვა საუკეთესო თლისათვის, [illegible] პირველ ხანებში რბილია, მაგრამ რაც დრო გადის ჰაერთან მაგრდება და ამავე დროს ცვალებადად იძენს თავის სახეს.

ფასადის შეცვლასთან ერთად სწარმოებს შენობის შიგნითა ნაწილის მოწყობა. თითქმის დამთავრებულია მუშაობა ცენტრალური გათბობის სისტემის მოსაწყობათ. დამზადებულია აგრეთვე საჭირო კარ-ფანჯრები და მიზიდულია საპარკეტე მასალა (იატაკისათვის) და ამჟამად სწარმოებს მისი დაგება.

მუზეუმს ექნება ექვსი დიდი და 6 საშუალო ზომის დარბაზი, თვითეულ დიდ დარბაზს ექნება 300 კვადრატული მეტრი, მცირე დარბაზებს—100 კვადრატული მეტრი (თვითეულს). შენობა სართულის დარბაზებს ექნება ორ-ორი იარუსი.

შენობის დამთავრების შემდეგ ზოოლოგიური მუზეუმი, რომელიც ამჟამად მოთავსებულია შენობის განაპირა ნაწილში, გადმოტანილი იქნება შენობის შუა ნაწილში. შენობას აღნიშნულ 12 დარბაზს გარდა ექნება 30—40 ოთახი, რომლებიც გამოყენებული იქნება მუზეუმის პატარა განყოფილებებისათვის, ლაბორატორიებისათვის, წიგნთ-საცავისა, შესაფერ სახელოსნოებისა და სხვა დამხმარე დაწესებულებებისათვის.

მუზეუმს ექნება შემდეგი განყოფილებები: ზოოლოგიური, ბოტანიკური, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და გეოლოგიური. განსაკუთრებით ფართოდ ექნება მოწყობილი ეთნოგრაფიული განყოფილება, რომელშიაც თავს მოეყრება ამჟამად საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გაფანტულ ისტორიულ ძეგლებს, ნივთებს და სხ.

მუზეუმის შენობის ყოველმხრივ მოწყობა დამთავრდება ამ წლის 1 დეკემბრისათვის.

რკინის გზებზე

ახალი კოლექტიური ხელშეკრულება

ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ხელფასის რეფორმა

გზათა კომისარიატსა და რკინისგზელთა კავშირის ცაკს შორის დადებულია ახალი კოლექტიური ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შედის 1 აპრილიდან.

ახალ ხელშეკრულებაში შეტანილია პუნქტი, რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდის შესახებ.

ახალი კოლექტიური ხელშეკრულება ხელფასის გადიდებასაც ითვალისწინებს. 1927-28 წლის განმავლობაში რკინისგზელების ხელფასი გადიდებული იქნება 5-6 პროცენტით. მაგრამ შემცირდება უფასო სამგზავრო ბილეთების გაცემა. ცოლშვილიანი რკინისგზელი ამ წლის განმავლობაში მიიღებს ოთხ ერთდროულ ბილეთს და უცოლშვილო—ორს. ამავე იქნება შემცირებული უფასო მგზავრობის სასურსათო ბილეთები.

ხელშეკრულების ძალით — გზათა კომისარიატმა იკისრა ერთ რომელიმე გზაზე შემცირებულ რკინისგზელების გადაყვანა სხვა გზებზე სამუშაოდ.

კომისარიატი თავის საშუალებიდან გამოჰყოფს 100.000 მანეთს რკინისგზელთა კვალიფიკაციის ასაწევად საჭირო კურსების მოწყობისათვის.

ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარებასთან ერთად გატარდება ხელფასის რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავს ჩამორჩენილ ჯგუფების ხელფასის გადიდებას და შრომის ნაყოფიერების აწევას.

რეფორმა გატარდება არა ერთბაშად ყველა რკინის გზებზე, არამედ თანდათანობით. კერძოდ ა.-კ. რკინის გზებზე ხელფასის რეფორმა გატარდება 1 მაისიდან. წინასწარი მუშაობა ამისათვის უკვე დაწყებულია, შექმნილია სპეციალური კომისია, რომელშიაც შედიან ყველა განყოფილებათა წარმომადგენლები. კომისიამ უკვე შეუდგა მუშაობას.

რეფორმის გატარების შემდეგ, გზებზე არსებული საფონდო და სატარიფო ზოლები უქმდება. მათ ნაცვლად იარსებებს სამი სატარიფო ზოლი, რომელთაც დაეწესებენ გზის გამგეობები რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტებთან ერთად. პირველი თანრიგის სატარიფო განაკვეთი პირველი ზოლისათვის იქნება—26 მან. 80 კაპ. მეორესათვის 30 მან. 80 კაპ. და მესამესათვის—34 მ. 80 კაპ.

ნარდად მომუშავეთათვის გასამრჯელო დაწესდება გამომუშავების ნორმებს გადასინჯვის შემდეგ.

ახალ ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით გზათა კომისარიატმა და რკინისგზელთა ცაკმა მიმართეს ყველა რკინის გზების გამგეობებს და საგზაო კომიტეტებს წინადადებით მიიღონ ყველა ზომები საშუალებათა ეკონომიურად ხარჯვისათვის, შეამცირონ ნაწარმოების თვითღირებულება, მაქსიმალურად შეამცირონ დროებით დაქირავებული მუშა-ხელი, გადაუდებლად გაატარონ მმართველი აპარატის შემდგომი გაიაფება, უკეთესად გამოიყენონ მუშა-ძალა სამუშაო დროის სრული დატვირთვით და შეამცირონ შრომა, ორგანიზაციული და რაციონალიზატორული ღონისძიებების გატარებით.

—

შემთხვევა სადგ. ბორჯომ-ბალში

13 მარტს, ღამით, სადგ. ბორჯომ-ბალში სახალხო მატ. № 20-ს შესვლის დროს, მემანქანემ ვერ შეაკავა შემადგენლობა და შეიტანა ჩიხში, სადაც დაეჯახა მასხმელს. დაჯახების დროს დაზიანდა საბარგო და საფოსტო ვაგონები.

ადამიანთა მსხვერპლს ადგილი არ ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

მისალმება საქ. ცაკს

საქ. ცაკმა ზესტაფონიდან მიიღო შემდეგი მისასალმებელი დეპეშა: „შორაპნის მაზრის გლეხკომების მე-4 ყრილობა გულწრფელად მოგესალმებათ და იმედს გამოსთქვამს, რომ თქვენი ხელმძღვანელობით შორაპნის მაზრის გლეხკომები შესძლებენ მშრომელ გლეხობის მდგომარეობის კიდევ უფრო გაუმჯობესებას და განამტკიცებენ საბჭოთა ხელისუფლების მისწრაფებებს მათ საკეთილდღეოთ.

ყრილობის პრეზიდიუმი".

ამხ. ფ. მახარაძის გამგზავრება

ს. ს. ცაკის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის თბილისიდან გამგზავრების გამო, მის დაბრუნებამდე ცაკის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაევალა შრომის სახალხო კომისარს ამხ. ს. თოდრიას.

ახალი მშენებლობის შემოწმება

გუშინ, დასავლეთ საქართველოში გაემგზავრენ—ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე ინჟ. ბ. ჭიჭინაძე, ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის წევრი ამხ. კალანდაძე და ახალმშენებლობათა სამმართველოს უფროსი ინჟ. ა. კანდელაკი, ახალ ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობის დასათვალიერებლად და შესამოწმებლათ. მათ განზრახვა აქვთ გაეცნონ აგრეთვე აფხაზეთში წარმოებულ ახალ მშენებლობასაც.

ლითოგრაფიული ქვის ახალი მადნები

სამთო მრეწველობის ტრესტმა დაადგინა დაიწყოს ლითოგრაფიული ქვების დამუშავება თიანეთის რაიონში, სადაც აღმოჩენილია საუკეთესო ხარისხის ლითოგრაფ. ქვის ბუდობები.

ქვის ბუდობების შესასწავლათ და გამოსაკვლევათ ტრესტმა მიავლინა გეოლოგი ქ. გაბუნია.

სათესლე მასალის გადასაზიდად

თესვის კამპანიისათვის ხელის შეწყობის მიზნით, ა.-კ. რკინის გზების გამგეობამ განკარგულება გასცა, რომლის თანახმად პირველ რიგში უნდა იქნეს მიწოდებული ვაგონები სათესლე მასალების დატვირთვისა და მათი დაუყოვნებლივ გადაზიდვისათვის.

ავტომობილით საბჭოთა კავშირის გარშემო

თბილისში ავტომობილით ჩამოვიდა მოსკოველი ჟურნალისტი ვ. დუბროვსკი.

დუბროვსკი მოსკოვიდან გამოვიდა გასული წლის ოქტომბერში; შემოიარა უკრაინა, ჩრ. კავკასია, აფხაზეთი და საქართველო. მას გადაწყვეტილი აქვს ორი წლის განმავლობაში ავტომობილით შემოიაროს საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკები. მისი მოგზაურობის მიზანია ერთი მხრივ სპორტი, მეორე მხრით ცნობების შეკრება გზების მდგომარეობის შესახებ. გარდა ამისა დუბროვსკის სპეციალური დავალებები აქვს ავტო-გზის და თავდაცვა ავიაქიმისაგან.

საბჭოთა კავშირის შემოვლის შემდეგ დუბროვსკის განზრახული აქვს ავტომობილით მოგზაურობა დედა მიწის გარშემო.

თბილისის აღმასკომში

◆ საზმოთა საანგარიშო კამპანია თბ. აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით დაიწყება 1 აპრილიდან.

◆ ტუბდისპანსერის საჭიროებისათვის აღმასკომმა გადასდო 11 ათასი მანეთი.

◆ ნამყენი ვაზის დარიგება. საადგილმამულო განყოფილებას დაევალა მაზრაში ულარიბეს გლეხებს გაუნაწილოს 20.000 ძირი ამერიკული ვაზის ნამყენი.

◆ სამკურნალო დაწესებულებებისათვის თეთრეულის შესაძენად ჯანმრთელობის განყოფილებას გადაეცა 15.000 მანეთი.

◆ გვიან ვაჭრობა. თბ. აღმასკომის დადგენილებით მუშკოოპის მაღაზიებს მიეცა გვიან ვაჭრობის უფლება.

◆ ხაშურის აღმასკომს თბ. აღმასკომმა უფასოთ გადასცა ერთი ელექტრო-მოტორი.

◆ ამხ. ვ. ბოლქვაძის ამიერ-კავკასიის სესიაზე დასასწრებლად ბაქოში გამგზავრების გამო, მისი მოვალეობის აღსრულება დაეკისრა ამხ. ივანოვ-კავკასიელს.

◆ თესვის კამპანიის ჩასატარებლად საადგილ-მამულო განყოფილებას დაევალა დაამზადოს საჭირო თესლეულობა დაზარალებულ გლეხობას შორის გასანაწილებლად.

მიწსახკომში

◆ სატყეო კულტურა. ჩობარეთის (ახალქალაქის მაზ.) სატყეო აგარაკში სატყეო კულტურის საწარმოებლად მიწსახკომმა გადასდო 1000 მანეთი.

◆ თუთის ნერგები. მიწსახკომმა წინადადება მისცა აგროდახმარების ადგილობრივ ორგანიზაციებს ულარიბეს გლეხებს თუთის ნერგები უფასოთ დაურიგონ.

კრებები და მოხსენებები

◆ ხოლშიგიუნის აუდიტორიაში დღეს, 15 მარტს საღამოს 8 საათზე შესდგება ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების სხდომა, რომელზედაც ი. ასლანიშვილი, გ. პონდოევი და მ. ასათიანი წაიკითხავენ მოხსენებებს ტრაგიკულად დაღუპულ დოსტაქარ ი. ორლოვსკის შესახებ.

◆ ქართული ენის კაბინეტში (მე-14 შრ. სკოლა) დღეს საღამოს 7 საათზე შესდგება გრამატიკის სემინარის მუშაობა. მოხსენებას წაიკითხავს ვარ. თოფურია: „ქართული ენის ზმნებისათვის".

სხვადასხვა

◆ სესხი. კომუნალურმა ბანკმა თელავის აღმასკომს წყალსადენის და აბანოს გადასაკეთებლად სესხად მისცა 25.000 მანეთი.

◆ დაზღვევა. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველომ დაადგინა გაანთავისუფლოს სახ. დაზღვევის ანარიცხებიდან ულარიბესი გლეხები და წითელ-არმიელთა ოჯახები.

ხელოვნება

თბილისის პირველი სამუსიკო ტეხნიკუმის ღია საჩვენებელი საღამო

თბილისის პირველ სამუსიკო ტეხნიკუმის მოწაფეთა ღია საჩვენებელ საღამოს პროგრამამ ფრიად დაგვაკმაყოფილა და დაგვიმტკიცა ტეხნიკუმის გარკვეული ნაბიჯები ფრიად სერიოზულ და ნაყოფიერ შემოქმედებისაკენ. კლასიკოსების ნაკვეთები შერჩეული იყო პროგრამაში ფრიად მიზანშეწონილად და მიქცეული იყო საჭირო ყურადღება მოწაფეებში კარგი მუსიკალური გემოვნების განმტკიცებაზე. რაც შეეხება მოწაფეთა ინდივიდუალურ თვისებების და შემოქმედების შეფასებას, ჩვენის აზრით, მცირეწლოვანთა ჯგუფი უნდა ჩაითვალოს ფრიად საყურადღებოდ და სანიმუშოდ, როგორც თავისი უეჭვო მუსიკალობით, ისე სწავლის უნარით. ტეხნიკუმის მომავალი ამ ჯგუფის მიერ უზრუნველყოფილია. ჯგუფი საერთოდ დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას სტოვებს. განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს: თათარიშვილი (კლასი ამირაჯიბისა), ჩივაძე (კლ. ციციშვილისა), ექსანიშვილი (კლ. გაბაშვილისა) და ხანდომოვა (კლ. პოლტორაცკისა). მოზარდთა ჯგუფიდან ძალიან კარგ შთაბეჭდილებას სტოვებენ შაუმიანი (კლ. პოლტარაცკისა), ნეიკოვი (კლ. ჩერნოვსკისა), კაჭკაჭოვა (კლ. იოანისიანისა) და მეტადრე სეხნიაშვილი (კლ. ჩხარტიშვილისა). ყველა ზემოხსენებული მოწაფენი სწავლობენ როიალზე დაკვრას. მათი ტეხნიკური ვარჯიშობა მკვიდრო და საფუძვლიანი ხასიათის მატარებელია. როიალზე მოსწავლეთა დანარჩენ მოწაფეებს ახასიათებს ტეხნიკურ ვარჯიშობისადმი ფრიად სერიოზული მოპყრობა, მაგრამ მათი შემოქმედება შეფერხებულია, ან რითმის პროგრესიულ აჩქარებასთან, ან სულიერ უთანასწორობასთან, ან კიდევ რაიმე სხვა იმისთანა მოვლენასთან, რომელიც ხელს უშლის ობიექტიურ მსჯელობას მათი მიღწევების შეფასების დროს. ანსამბლის (ერთად დაკვრა). კლასის შემოქმედება სტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მთელი ყურადღება მიმართულია ტეხნიკურ სიძნელეების და სხვადასხვა ინსტრუმენტების შეთანხმების დაძლევისაკენ. საექსპრესიო ადგილები შესწავლილია და არა შეგრძნებული. ბევრ ადგილებში რითმიული მხარე ან ბუნდოვანი რჩება, ან და აჩქარებით ტარდება. მაგალითად, მოწაფე სლიანოვა, უეჭვო მუსიკალობის პატრონი, ბეთჰოვენის სონატის ვიოლინოსთან ერთად ასრულების დროს რითმიულად ასწრობდა ვიოლონის მიერ აღებულ რითმს და მიუხედავად იმისა, რომ მისი რითმი იყო უფრო სწორი, ვალდებული იყო შეეფარდებინა იგი ვიოლონთან. გაიდნის სიმებიანი ოთხხმოვანის № 6 (კვარტეტის) მრავალი ადგილები კი შესრულებული იყო რითმის დაგვიანებით და ამიტომ კარგავდა სიცოცხლის ხასიათს. ამასთანავე რითმიული ბუნდოვანება იბადებოდა მოწაფე ნასიძის და მისი მასწავლებლის ლ. გოლდმანის მიერ მობლერის კონცერტის ასრულების დროს. კარგი ვოკალური მასალა აქვს დანოვსკაიას (სასიმღერო კლასი გ. კარილლოვასი).

ყველა ზემოხსენებული დეფექტები აუცილებელია ყოველ სასწავლებელში. საერთოდ ტეხნიკუმის მუშაობის ნაყოფიერება ნორმალურზე მაღალია, მეტადრე მცირეწლოვან მოწაფეთა ჯგუფში.

შ. მ.—უ.

ხელოვნების ქრონიკა

სარეპერტუარო-სამხატვრო საბჭოში

დღეს, 14 მარტს, საღამოს სრულ 6 საათზე სარეპერტუარო-სამხატვრო საბჭო იწვევს თათბირს სოფლის თეატრის და მუშათა კლუბების რეპერტუარის შერჩევის საკითხის განსახილველად. თათბირზე მოწვეულია შემდეგი ამხანაგები: იმედაძე, ამაღლობელი, მაჭავარიანი, დუდუჩავა, მზითაროვი, თავდგირიძე; ჩილოვანი; პოლუმორდვინოვი; რონდელი; ბუაჩიძე; ეღენტი; გედევანიშვილი; ქ. კალაძე და რადიანი.

◆ ბარსოვას საგასტროლოთ დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „სევილიელი დალაქი".

◆ „რღვევა". რუსთაველის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „რღვევა".

◆ პლეხანოვის სახელობის კლუბში დღეს გაიმართება მიხ. კავსაძის სახ. მომღერალთა გუნდის დიდი სახალხო კონცერტი.

◆ ვასო ურუშაძის სცენაზე მოღვაწეობის 30 წლის აღსანიშნავად 16 მარტს ბათომის აკადემიურ თეატრში გაიმართება დიდი საღამო.

◆ „ლატავრა". 16, 18 და 21 მარტს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ლატავრა".

◆ კონსერვატორიის დარბაზში მე-12 შრომის სკოლის სასარგებლოდ დღეს გაიმართება დიდი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო.

სასამართლო

როგორ ატყუებდენ პენსიონერებს

საკავშირო სოცდაზღვევის მთავარ სამმართველოს დადგენილების თანახმად, 1926 წლიდან სწარმოებდა პენსიონერების და შრომის ინვალიდების ხელახალი აღრიცხვა და პენსიების გადასინჯვა.

გადასინჯვის მიზანი იყო პენსიების გადიდება შრომის ხელფასის მომატებასთან შეფარდებით.

ყველაზე მეტი პენსიონერი ჰყავდა რკინის გზის დამზღვევ სალაროს. ამიტომ იმის გამოსარკვევად, თუ რომელ პენსიონერს რამდენი ერგება მომატება და განსხვავება, დამზღვევმა სალარომ გამოჰყო სპეციალური შტატი.

ამ შტატის გასაძლიერებლად დამზღვევ სალაროს საერთო განყოფილებიდან გადაყვანილ იქნა ტეხნიკურ მომუშავედ ზაქარია დავითისძე ფარესიშვილი.

მას უნდა გამოენგარიშებია 1926 წლის საშუალო ხელფასის მიხედვით, ვის რამდენი ემატება პენსიაზე, ვის რამდენი განსხვავება ერგებოდა გასულ თვეებისათვის და სხვა.

ფარესიშვილის ხელში იყო ყველა ცნობები პენსიონერების შესახებ, მათი მისამართები, სახელი და გვარი და სხვა.

— რამდენი გამოყრუებული პენსიონერია, რომელმაც არაფერი იცის პენსიის მომატების შესახებ! მოდი გადავისვრი ანკესს, იქნება ვინმე წამოეგოს—ფიქრობს ფარესიშვილი.

ფარესიშვილმა დაიმეგობრა ერთი პენსიონერთაგანი, ბაგრატ კარტაშევი.

— მე ვიცი, ვინ სად ცხოვრობს, ვის რამდენი აქვს პენსია და ვის რამდენი ემატება ახალი დადგენილების ძალით... შენ მიხვალ პენსიონერთან და ეტყვი, რომ მოუხერხებ პენსიის გადიდებას, თუ სათანადო ჯილდოს გაიღებს,—რჩევა დარიგებას აძლევს ფარესიშვილი კარტაშევს, რომელსაც სპეციალურად სტუმრად ეწვია ამ დავალების მისაცემად.

— მაშასადამე, რასაც „დავცანცლავთ", შუაზე უნდა გავიყოთ,—ერთხელ კიდევ მოაგონა კარტაშოვმა ფარესიშვილს.

— კაცო, შენ არხეინად იყავი, საქმე მოაწყვე და ფულის გაყოფაზე არ წავეჩხუბებით ერთმანეთს.

შემუშავდა გეგმა. ანკესი გადასროლილია.

კარტაშევი დატრიალდა. მან განსაკუთრებით მტკიცე კურსი აიღო ხანში შესულ ქვრივ პენსიონერ ქალებზე.

კარტაშევი მიდის პენსიონერთან და ეუბნება:

— ხომ მოგეხსენება, ფული ჯოჯოხეთს ანათებსო. მართალია, მაინცა და მაინც დიდი კაცი არა ვარ, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ნაცნობობა დიდი მაქვს. თქვენი პენსიის საკითხი ძალიან ცუდად არის. შეიძლება მოგისპონ. მე შემიძლია დახმარება გაგიწიო. საქმეს ისე მოვაგვარებ, რომ არა თუ არ მოგისპონ, პირიქით, მოვამატებიებ კიდეც და ერთდროულ დახმარებასაც მიგაღებიებთ,—ელაპარაკება კარტაშევი პენსიონერს.

— მიშველეთ რამე, თქვენ შემოგევლოთ ჩემი თავი! ოღონდ ნუ მომისპობენ და მე მკითხეთ თქვენი პატივისცემა.

არც არავის უფიქრია პენსიის მოსპობა. ყოველგან პენსიის მომატება მიდის. პენსიონერს ერგება გასული თვეებისათვის განსხვავება. ამ განსხვავებას ჰპირდება კარტაშოვი „ერთდროული დახმარების" სახით.

— ამ სამსახურისათვის მე არაფერს გამოგართმევთ, მაგრამ „საქმის გამკეთებელს", თუ არ მივეცი რამე, ისე თავს არ შეიწუხებს.

— რამდენს იკმარებს?

—„ერთდროული დახმარების" ნახევარი მაინც უნდა მივცეთ, ნაკლებს ვერ ვკადრებ..

პენსიონერი სიამოვნებით ეთანხმება. საქმე მოწყობილია.

ფარესიშვილმა კუთვნილი თანხა და განსხვავების ნახევარი შუაზე გაიყვეს მან და კარტაშევმა.

ერთ ლუკმას, მოჰყვა მეორე. აფერისტებს გაეზარდათ მადა. გასამრჯელოზე საათობით ევაჭრებიან პენსიონერებს. კუთვნილი ფულის ნახევარსაც არ სჯერდებიან. ყველაზე მეტი დასტყუეს აფერისტებმა ქვრივ პენსიონერ ქალებს. რომელთაც მართლაც სჯეროდათ, რომ პენსიის კარტაშოვი უნიშნავდა და უდიდებდა.

იჭერდენ თევზებს აფერისტები, სანამ თვითონვე არ მოხვდენ ბადეში.

მათი საქმე გუშინ გაარჩია თბილისის სამაზრო სასამართლომ ამხ. კალანდაძის თავმჯდომარეობით.

ფარესიშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და 6 თვით, კარტაშევს—1 წლით.

სცენა პარტერში

პლეხანოვის სახელობის თეატრში (ლენინის რაიონი) ხალხმა უკვე დაიჭირა ადგილები, მეორე ზარი მიცემულია, საცაა ფარდა აიხსნება და წარმოდგენა უნდა დაიწყოს.

ერთი მოქალაქე სდგას შუა პარტერში ანძასავით და ირხევა, როგორც ალვის ხე ქარში. სჩანს რომ ძალიან უჭირს თავის ზიდვა.

— ამხანაგო, აქ გასავლელია, არ შეიძლება დგომა, დაიკავეთ ადგილი!—ეუბნება მოქალაქეს ცეცხლის მქრობელი რაზმის მორიგე თანამშრომელი.

— არა უშავს, კარგი ადგილია, თავს კარგად ვგრძნობ აქაც.

— თქვენ კარგად გრძნობთ თავს, მაგრამ ერთი სხვებს ჰკითხე!

— სხვებს რას დავეძებ. მე ამ თეატრში ყველაზე „საპატიო" პირი ვარ...

— „საპატიო პირი" ფეხზე არ სდგას შუა პარტერში.

— წადი, მოშორდი ბევრს ნუ ლაპარაკობ.

მისცეს მესამე ზარი. ფარდა უნდა აიხსნას. დარბაზში ჩოჩქოლია. მოდის გამგეობის წევრი და მოქალაქეს სთხოვს ადგილი დაიჭიროს.

— წარმოდგენა უნდა დავიწყოთ, ამხანაგო, რად გვაგვიანებ?—ეუბნება გამგეობის წევრი.

— იცით, მე ვინა ვარ?

— ვინც არ უნდა იყოთ, სულერთია.

— სულერთია? მაშ მე გიჩვენებ,—მოქალაქემ გაუშალა სილა გამგეობის წევრს.

ასტყდა ხმაურობა. წამოცვივდა სკამებიდან ხალხი. გამგეობის წევრს მოეშველენ მილიციელები.

მთვრალი მოქალაქე დააპატიმრეს. ის აღმოჩნდა გიორგი მიხეილისძე ციმაკურიძე.

ციმაკურიძეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 თვით და მისჯილი სასჯელი შეუმცირდა 1 თვემდე.

აფერისტი სტეპანოვი

ეს ის სტეპანოვია, რომელზედაც ჩვენ ამას წინად ვსწერდით.

სტეპანოვმა ხუთჯერ აიღო თავის ბინაში ბე უზნეო მოქალაქეებისაგან.

თავის საკუთარ ბინაში სტეპანოვს მიჰყავდა მოქალაქეები და ეუბნებოდა:

— ეს არის სხვისი ბინა, რომელიც ამ დღეებში დაიცლება. დასტოვეთ ასი მანეთი ბე და ოთახს ამ დღეებში ჩაიბარებთ.

ბევრი სხვა აფიორაც ჩაუდენია სტეპანოვს ბინების გარშემო.

სტეპანოვი გაასამართლა მე-5 უბნის სახალხო სასამართლომ.

ბრალდებულს მიესაჯა 5 თვის თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდადებულმა უნდა დაუბრუნოს მოტყუებულ მოქალაქეებს ბეთ აღებული ხუთასი მანეთი.

ვერ.

შემთხვევები

რეციდივისტის შეპყრობა

გუშინ, სისხლის სამართლის მილიციამ თბილისში დააპატიმრა ედუარდ კონსტანტინეს ძე ალიოხინი, რომელსაც აქვს ქურდობისა და ჯიბგირობის რამოდენიმე რეგისტრაცია. გაჩხრეკისას ალიოხინს აღმოაჩნდა სხვადასხვა ინსტრუმენტები, „ატმიჩკები" და ნაქურდალი ნივთები. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი № 7, ტ. კოპალეიშვილთან.

კინო-ლენტების „მოყვარული"

მოქ. ვერდინატ ჰეგელს (მცხ. ლენინგრადის ქ., № 9) ვიღაც უცნობმა პირებმა გუშინ დღისით ეტლში მოპარეს კინოს ლენტები, ღირებული 2.000 მანეთად.

ქურდობა

გუშინ, დღისით ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს თინა ჯაფარიძის ბინა (კალინინის ქუჩა); წაიღეს 150 მანეთის ნივთები.

ხულიგნების დაპატიმრება

აღმასკომის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ ქუჩაში დებოშის მოხდენისათვის ორი თვით დააპატიმრა სიმონ დავითისძე ცხოვრებაშვილი და თომა გრიგოლისძე სონღულაშვილი. თითო თვით დაპატიმრებულია პეტრე სოლომონისძე ავალიანი, არშაკ გეურქისძე ალავერდოვი, არტემ გეურქისძე გულზაროვი და ზაქარია პარტენისძე ჯანელიძე.

ქურდ-რეციდივისტების დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ქურდი-რეციდივისტები: მიხეილ ივანესძე ასატუროვი, სიმონ სედრაკისძე კილოიანი, მნაცაკან სედრაკისძე გეორქიანი, გიორგი ილიასძე გიუიმყრელი და გრიგოლ ნიკოლოზისძე ბალაშვილი.

მათ ბინაზე მილიციამ აღმოაჩინა სხვადასხვა ინსტრუმენტები და „ატმიჩკები".

ვისია ნივთები?

სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა ნაქურდალი საქიმო ხელსაწყოები. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი № 7, კ. ქუთათელაძესთან.

დოღი

მზადება საგაზაფხულო სეზონისათვის

საქართველოს სახელმწიფო ცხენთსაშენის სამმართველო შეუდგა წინასწარ სამზადისს დოღის საგაზაფხულო სეზონისათვის. უკვე დაწყებულია დოღის გასამართავ ადგილის (დიდუბეში) გაფართოება და კეთილმოწყობა.

განზრახულია გაფართოებული იქნეს იპოდრომის ტრიბუნა, რომელიც თავის სიპატარავის გამო ვერ იტევდა მაყურებლებს.

ტრამვაის გარდა, იპოდრომსა და თავისუფლების მოედნის შორის იწარმოებს „ზაკავტოპრომტორგის" ავტობუსების რეგულიარული მიმოსვლა. დოღის მომავალ საგაზაფხულო სეზონში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს და მეზობელ რესპუბლიკების ცხენთსაშენების საუკეთესო ცხენები. საქართველოს, აზერბეიჯანის, დაღისტანის, აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის ცხენთსაშენების ცხენების გარდა, დოღში მონაწილეობას მიიღებს როსტოვის ცხენთსაშენის 10 საუკეთესო ცხენი.

საქართველოს ცხენთსაშენის იმ ცხენებში, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ დოღში, აღსანიშნავია წმინდა სისხლის ულაყი „ბერგენი", „ბერგენმა" შარშან აიღო ამიერ-კავკასიის დერბი და ამას გარდა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მოსკოვში.

„ბერგენის" გარდა დოღში მონაწილეობას მიიღებს 3 წლიანი კვიცები „დარდიმანდი" და „დარდიანი", რომლებმაც აგრეთვე ჯილდოები მიიღეს შარშან მოსკოვში.

სამხრეთ - ოსეთიდან დოღში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი „როლანდი", რომელიც შეძენილია საფრანგეთში.

აზერბეიჯანიდან სხვათა შორის დოღში გამოყვანილი იქნება ინგლისური ჯიშის 2 ცხენი, რომლებიც გასულ წელს შეიძინეს მოსკოვში. განსაკუთრებით საინტერესო იქნება დაღისტანის ცხენთსაშენის წმინდა ჯიშის 3 წლიანი ფაშატი, რომელიც წარმოადგენს ფრიად სერიოზულ მეტოქს ყველა მონაწილე ცხენებისათვის.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

სამუშაო საათების განმავლობაში თათბირებისა და კრებების მოწვევის აკრძალვის შესახებ

ზოგიერთ სამეურნეო დასავაჭრო ორგანომ განცხადება შემოიტანა იმის გამო, რომ მათ ნორმალურ მუშაობას აბრკოლებს ამა თუ იმ დაწესებულების მიერ სამუშაო დროის განმავლობაში გამართულ სხვადასხვა თათბირსა და კრებაში მონაწილეობის მიღების საჭიროება; საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების შემცირების შემდეგ ყველა თანამშრომელი დატვირთულია მუშაობით და არ შეუძლიათ მიატოვოს იგი საქმისათვის ზიანის მიუყენებლად; ამის შედეგია, სხვათა შორის, მაზრებიდან ჩამოსულ მომუშავეთა და კერძო მთხოვნელთა დაყოვნება, რადგანაც შეუძლებელი ხდება მათი თხოვნების თავის დროზე დაკმაყოფილება; ამის გამო საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოს, აგრეთვე კოოპერატიულ ორგანიზაციას—ის თათბირი და კრება, რომელზედაც მოწვეულ უნდა იქნენ სხვა დაწესებულებისა და საწარმოს წარმომადგენელნი, გამართოს მხოლოდ საღამოობით.

2. სამუშაო საათების განმავლობაში აღნიშნული თათბირი და კრება შეიძლება გაიმართოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც საკითხი სასწრაფო ხასიათისაა და არ გადაიდება სხვა დროისათვის.

3. ამასთანავე წინადადება მიეცეს ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოს ზედმიწევნით განახორციელოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის აპრილის 26 თარიღისა და 13 №-ის დადგენილება — ყოველკვირეული დასვენების შესახებ საბჭოთა დაწესებულებებში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ჟულელი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართვ. მოვალ. აღმასრ.

სტეფანოვი.

1928 წ. მარტის 11.
ქ. თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— დღეს, 15 მარტს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის გაფართოებული პლენუმი.

რაიკომის ყველა წევრ-კანდიდატთა და ქალაქის რაიონის უჯრედთა ბიუროს და სარევიზიო კომისიის წევრთა დასწრება აუცილებელია.

— სახ. უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტ. არსებული ახ. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს სხდომა შესდგება დღეს, 15 მარტს, დღის 1-ლ საათზე. სხდომაზე უნდა გამოცხადდენ ამხ. გ. გაბუნია და ნ. გოგია. აგრეთვე ყველა ის ამხანაგები, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში გადასარიცხად, ან კომკავშირში ახლად მიღების შესახებ.

— სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ა. ლ. კ. კ. უჯრედთა ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს ქვემოთ-ჩამოთვლილ ამხანაგებს, გამოცხადდენ მეოთხე რაიკომის შენობაში, დღეს, 15 მარტს:

შამათავა, ბრეგვაძე, ლაქტიონოვი, ბუალვა, ნუცუბიძე, ცაგარეიშვილი ვლ., ცირეკიძე, ჭიჭინავა, ნადარეიშვილი, ხელაშვილი და არუთინოვი.

ხსენებულ ამხანაგებთან ერთად უნდა გამოცხადდენ აგრეთვე სათანადო უჯრედის მდივნები.

ამ.-კავ. კომუნივერსიტეტის შენობაში დღეს, 15 მარტს, შესდგება სვერდლოვის სახ. კომუნივერსიტეტის მოსწავლეთა („ზაოჩნიკოვ") მეცადინეობა. საღამოს 6-8 საათამდე—რუსეთის ისტორიაში, საღამოს 8-9 საათამდე—დასავლეთის ისტორიაში.

— სახ. უნივერსიტეტის ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა შორის მომუშავე ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 15 მარტს, საღამოს სრულ 6 საათზე შესდგება ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა აქტივის კრება. სავალდებულოა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები:

ვეკუა ივანე, ლამბაშიძე გიორგი, ქლიბაძე გიორგი, ლორთქიფანიძე მარო, გოცაძე გიორგი, მიქაძე ალექსანდრე, ვეფხვაძე ალექსანდრე, ორჯონიკიძე გიორგი, ჟულელი ნიკო, მენაბდე შალვა, გორდაძე პოლიკარპე, ნინიძე შალვა, ჭიჭინაძე შუშანა, ქინქლაძე გერასიმე, კატარმასოვსკი ბორის, გვაზავა გოგუცა, ხოფერია კოტე, ჩოგოვაძე ქსენია, ჩხატარაიშვილი მიხეილ, ცქვიტინიძე დიომიდე, კაშია ილია, დანელია ნიკოლოზ, პაპკორია მიხეილ იაშვილი გიორგი, ტიღურაძე მარგარიტა, ლეჟავა გიორგი, ხვითარია ივანე, ცომაია სერგო, იმნაძე ვლადიმერ, მენაბდე დიომიდე, კახაია ვასილი, სურგულაძე შალვა და შავგულიძე ევგენია.

საქართველოს ს ს. რესპუბლიკის განათლების სახ. კომისარიატის თანამშრომლები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს, რომ 12 მარტს ქ. თბილისში გარდაიცვალა მათი თანამშრომელი და საუკეთესო ამხანაგი

ინჟინერი დავით გიორგის ძე
ჯორჯაძე

გამოსვენება დღეს, 15 მარტს ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა კათოლიკების სასაფლაოზე

საქ. ს.მ.უ.ს. ახალშენებათა სამმართველოს თანამშრომელნი გულითად მწუხარებით იუწყებიან, რომ 12 მარტს გარდაიცვალა ქალ. თბილისში აღნიშნულ სამმართველოს

ინჟინერი დავით გიორგის ძე
ჯორჯაძე

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს. 15 მარტს, 4 საათზე ქაშვეთის ეკლესიიდან 1816

პროფ. პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიური, საფეიქრო და სამიწათმომწყობო ტეხნიკუმების პედაგოგიური საბჭო აუწყებს ამხანაგებს და მეგობრებს თავისი ყოფილი თანამშრომლის

ინჟინერ
დავით ჯორჯაძის

გარდაცვალებას 1813

12 მარტს გარდაიცვალა

დავით გიორგის ძე ჯორჯაძე

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე ნინო დავითის ასული და შვილები ივლიტა, მერაბ და მაკა გამოსვენება დღეს 15 მარტს 4 საათზე ჯორჯაძის ქუჩიდან, დაკრძალვა სოლოლაკის კათოლიკების სასაფლაოზე. 1814

ა/კ. რკ. გზის საშემოსავლო დარგის მოსამსახურეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას უანგარო ადამიანის და საუკეთესო მეგობრის, ყოფილ თანამშრომლის.

დათიკო კაპანაძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. გადასვენება დღეს მარტის 15-ს რ/გზის საავადმყოფოდან ბინაზე, ელისაბედის ქ. № 100. დაკრძალვა შაბათს, 17 მარტს, დღის 2 საათზე კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე. (შ)

სამუდამოდ დამწუხრებულნი და გულმოკლულნი დედა ეკატერინე, დები ელენე და ნინო მჭედლიძეები და სიძე ა. მათურელი აუწყებენ მეგობრებს და ნათესავებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათი საყვარელი შვილი და ძმა

არჩილ ივანეს ძე მჭედლიძე

გამოსვენება პარასკევს, 16 მარტს, დღის 4 საათზე, საკუთარ ბინიდან—წავკისის ქუჩა № 6. ნ. 780

საქართველოს კურორტთა მთავარი სამმართველო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მისი თანამშრომელი

არჩილ ივანეს ძე მჭედლიძე

გამოსვენება პარასკევს, 16 მარტს, დღის 4 საათზე, საკუთარ ბინიდან—წავკისის ქუჩა № 6. ნ. 780

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სინოპტიური განყოფილების თანამშრომლები გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებენ თავის თანამშრომელს ვერა მაჯაგალაძეს მისთვის საყვარელი და დაუვიწყარი მამის

**ივანე (ტაია) ტოტის ძე
მაჯაგალაძის**

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 17 მარტს სოფ. კოტიანეთში (ძვ. სენაკის თემი) 1814

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე სალომე ლაზარეს ასული, და დარუ, შვილები: აკაკი ცოლშვილით, ვერა, კალი, ვარლამი და ბაგრატი გულის ტკივილით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 10 მარტს, ღამის 11 ნახ. საათზე ქ. თბილისში გარდაიცვალა მათი იმედი

**ტაია (ივანე) ტოტის ძე
მაჯაგალაძე**

დაკრძალვა შაბათს, 17 მარტს, სოფ. კოტიანეთში (ძვ. სენაკის თემი) 1803 2—2

ულრმესად დამწუხრებულნი და სამუდამოდ გულმოკლულნი: დედა მარიამი, მამა არშაკ მირველაშვილები, და ნადია და სიძე სამსონი შვილით თინა მახარობლიძეები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა სასიქადულო და ოჯახის სიამაყე

ვლადიმერ მირველაშვილი

დაკრძალვა მოხდება პარასკევს, 16 მარტს, დილის 11 საათზე ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოდან პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. [შ]

ღრმად დამწუხრებულნი: ბაბუა თომა, ბებია ეფემია, ბიძები ხესტორი, კონსტანტინე და ალექსანდრე მეუღლეებით ოლღა, ლიზა და ლოლია თავიანთ შვილებით ირინე, ნუნა, ვახტანგი, ნათელა და ოთარი კორინთლები; დეიდები: ნინა თავის შვილი სევგი ქიტიაშვილები, და ანა თავის ქმრით მიხეილი და შვილით ეთერი გულიკაშვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებთ და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 13 მარტს, ნაშუადღევის 3 საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

**ვლადიმერ (ლადო) არშაკის-ძე
მირველაშვილი**

გამოსვენება მოხდება 16 მარტს, (პარასკევს), დილის 11 საათზე, ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოდან, კამოს ქუჩა. დაკრძალვა მოხდება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. [შ]

სამუდამოთ გულდათუთქულნი და ულრმეს მწუხარებაში მყოფნი დედ-მამა პელაგია (შუშუნდი) და დავით სონისძე მიქელაძეები, დები ვერა და ფატქუ, სიძეები გრიგოლ გრიგოლია და მიშა კუხიანიძე, დისწულები ლარისა და ჯანიკო და გამზრდელი მატრონა ამით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ამხანაგებს, რომ უძვირფასესი და სამუდამოთ დაუვიწყარი

ქიშუ (რომანი) მიქელაძის

მოსაგონებლად კვირას ა/წ. 18 მარტს დღის 12 საათზე განსვენებულის საფლავზე სოფ. კულაშში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 1809

სახელმწიფო ოპერა
ხუთშაბათს, 15 მარტს მოსკოვის დიდი აკადემიური თეატრის პრემიერის ვ. ვ. ბარსოვას პირველი გასტროლი
სევილიელი დალაქი ოპ. 3 მოქმ. მუსიკა როსინის
მონაწ. ბარსოვა, ნეიმანი, კავსაძე, ვენაძე, მესხიშვილი, დემიანენკო, ფროლოვი, გაეცკი, ბარხუდაროვი, შაპოშნიკოვი.
დადგმა ი. ა. ბრეჩნევის დირიჟორი ა. მელიქ-ფაშაევი
ანონსი: პარასკევს, 16 მარტს ზ. ფალიაშვილის ახალი ქართული ოპერა ლატავრა
ნ. 777

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
ოდეონი
პროლეტარი
„განკიცხულნი" გ. ჰიუგოს რომანის მიხედვით 3 და 4 სერია ერთად
მხატვრული ბოევიკი ხაზ-პუშ რეჟ. ბეკ-ნაზაროვი
დადგმის მეორე კვირა რომანოვების დინასტიის დამხობა
საიდუმლოებით მოცული დანაშაული ამერიკაში
მხატვრული შედევრი ძლიერი ახალგაზრდობა მალე გელმედერის ჩრდილები
მხატვრული ბოევიკი ხაზ-პუშ რეჟ. ბეკ-ნაზაროვი
ანონსი მალე მხატვრული შედევრი „Жизнь за жизнь" 0—11

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(კეცხოველის ქ. № 8) ამით აცხადებს, რომ კვირას, 18 მარტს დილის 10 საათზე

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადაგასულ გირაოებისა, გასაყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში. ნ. 779

გამოვიდა და იყიდება გუშიკოვის სახელმძღვანელო
„კბილის სამკურნალო საპროთეზო ტეხნიკა"
ქართულ ენაზე, წიგნის ფასი 2 მან. 75 კაპ. წიგნის შეძენა შეიძლება სახელმწ. უნივერსიტეტის კბილის სნეულებათა კლინიკაში
13 პლეხანოვის პროსპ. № 126 ა. გოგორიშვილთან.

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნეულოდ ამოღება. ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 სა თ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—

ამ.-კავკასიის რკ. გზ. სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 1928 წლის 22 მარტს, დილის 10 საათიდან

თბილისის სალიკვიდაციო საწყობში

(გორის ქ. № 34 რკ. გზის ფარგლებში)

აუქციონით გაიყიდება

ამიერ-კავკასიის რკ. გზის სხვადასხვა სადგურებზე მოუკითხავი ტვირთი და ბარგი.

ს.ს.რ. კავშირის წესდების მე-94 მუხლის თანახმად:

1) პირველ საჯარო ვაჭრობაში შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მხოლოდ სახელმწიფო წარმოებებმა და დაწესებულებებმა და აგრეთვე კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა.

2) იმ შემთხვევაში თუ პირველი ვაჭრობა არ შესდგა ან ყველა ტვირთი არ გაიყიდა, მეორე საჯარო ვაჭრობა დაინიშნება 1928 წლის 26 მარტისთვის.

3) მეორე და შემდგომ საჯარო ვაჭრობებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ყველა მსურველთ.

თებერვლის საჯარო ვაჭრობის დროს გაუყიდავათ დარჩენილ ტვირთის გაყიდვა ეხლანდელ საჯარო ვაჭრობაზე მოხდება ხელახლად შეფასებულ თანხიდან.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება თბილისის სალიკვიდაციო საწყობში მუშაობის საათებში, ხოლო საჯარო ვაჭრობის დღეს ვაჭრობის დაწყებამდე.

დაწვრილებითი განცხადება გამოკრულია თბილისის სალიკვიდაციო საწყობში. ნ. 774

ახალ-სენაკის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი კიზირია

ამით აცხადებს, რომ ქ. ახალ-სენაკში რუსთაველის ქუჩაზე მათე ოჟუჟაავს დუქნის წინ დანიშნულია 19 ამა მარტს 1928 წლ. დილის 10 საათზე საჯარო ვაჭრობით გაყიდვა ერმინე ბესარიონის-ძე ახალაიას ქონების: 1) ტყავის დასამუშავებელი დიდი ბარაბანის, 2) სასწორის, 3) მაგიდების, 4) შკაფების, 5) ტყავები იუხტის და სხ. წონით ექვსი ფუთი და სხ., შეფასებულის ერთად სულ 361 მან. და 1 | 7 ნაწილი ხუთოთავლიანი სახლის ქვედა სარდაფით, ყავრით დახურულის, დგმული ტეხურის პირას, შეფასებული 43 მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან—სარდიონ დადუნავას და სხვების პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ნ. 783

სამშაბათს, 20 მარტს, საღ. 7 საათზე
განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ. № 3)
განათლების მუშაკთა კავშირის
ც.ბ. იწვევს ც.ბ.ში აღრიცხვაზე აყვანილ
ერთეულ წევრთა
საერთო კრებას
დღის წესრიგში: ადგილკომის არჩევნები.
ერთეულ წევრთა დასწრება სავალდებულოა.
ნ. 781. ც. ბ.

ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლ. ქანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 15 მარტს 1928 წელს დილის 11 საათზე ადგილობ. ქ. ქუთაისში თავისუფლების ქუჩაზე № 6, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა გაიყიდება ნიკიფორე იაკობის-ძე ლოსაბერიძის ორი ხარი, ერთი წითელი და მეორე მოწაბლო ლია ფერისა, ბარნაბა ხონელიძის ვალის დასაკმაყოფილებლად, ხარები დაფასებულია 100 მან. საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ნ. 776

ამბროლაურის და ჰრებალოს უბნების სახ. სასამართლოების აღმასრულებელი გ. ავალიანი

ამით აცხადებს, რომ 17 მარტს ამა 1928 წლის დილით შაბათს სოფ. ტბეთში რაჭის მაზრა პოლიკარპე ემნაძის ეზოში გაყიდის საჯარო ვაჭრობით მის მოძრავ ქონებას სახელდობრ ორ ორი წლის მოზვერებს, ერთ შკაფს, ერთ მაგიდას, ერთ 3 წ. უშობელს, ერთ 4 წლის მოზვერს, ერთ ხარს და ერთ ლორს, სულ შეფასებულს 175 მან. აწერილს სპირიდონ ემნაძის ვალის დასაფარავად, საფუძველისა გამო აღმასრულებელი ფურცელი მე-4 უბ. სახ. სასამართლოსი 15 | 17 თებერვლის 1926 წლ. № 1284. ჰრებალოს უბნ. სახ. სასამართლოსი 27 თებერვლით 1928 წლ. № 247. ნ. 782

ექიმი ს. ი. ანდრეევისა
ძვლის და ჯირყვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ელსმენი 11—78 25—1

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.
იღებს ავადმ. დილ 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდიმთავრის ქ.)

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს ხაშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—9.

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—10

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82 25—1

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება ფსიქიატრიის, დარგში; სქესობრივი აშლილობა მავნებელი ჩვეულებანი, უძილობა და სხვ. საღამოს 5-დან 8 საათამდე. მიღება დილით 11-დან 1 საათამდე სიფილისით ავადმყოფების და საღამოთი დანიშნულ დროის მიხედვით. საბჭოთა ქ. (ყოფ. ჩერქეზიშვილის) № 48 ჭოროხის ქ. (ყოფილ კირკის) კუთხე. 25 -21

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90 5—12

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, ხაშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევ პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ექიმი
ა. დ. პეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიღება დილის 9—12 საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 25—1 ტელ. 12—67

ქ. ქუთაისი
ექ. თ. ვ. აკოფაშვილი
შინაგანი სნეულება—სპეციალ. ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოსა აფთიაქის გვერდით) ავადმ. მიღება დილ. 11—1, საღ 4—6 საათ. 25—1

დავკარგე უვადო პასპორტი ნინა დიმიტრის ასული ვაშაკიძეს სახელზე, ჩ. გ. 1808

დავკარგე სოფ. სეფიეთის მცხოვრებ ევთიმე ბოკუჩავას და მელიტონ ქორიავას მიერ ხელმოწერილი ასსამოცდათორმეტი მანეთის და 38 კაპ. თამასუქი ბაგრატ გაბუნიას ძე ლაბარტყავას სახელზე, ჩ. გ. 1810

დავკარგე: საანგარიშო წიგნაკი № 99 შალვა მელიტონის-ძე კვირიკაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 781

დავკარგე სალექციო წიგნაკი № 933, ტ. ს. უ. აგრონ. ფაკულტ. გაცემული 1925 წ. იაკინთე შარვანის-ძე ჭანტურიას სახელზე ჩ. გ. 1811

დავკარგე: პირადობის მოწმობა და სიღარიბის მოწმობა და სხვადასხვა საბუთები იოსებ ანდრიას-ძე მეტრეველის სახელზე ჩ. გ. 1805

დავკარგე: კომპარტიის მანდატი ალექსანდრე ივანეს-ძე ხარებაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1806

დავკარგე პირადი წიგნაკი ფ. № 4, № 774 ტარა ი იაკობის ძე სიჭინავას სახელზე, ჩ. გ. ნ. 775

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 64